დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ-ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვინთის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მაკა ტუკვაძე-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები:

1. კახაბერ ფარცვანია-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
2. მარინა ჯალიაშვილი-საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
3. მანანა სეხნიაშვილი-საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
4. ვარდო გოგილავა-უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
5. ეთერ ქუთათელაძე-ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
6. მაკა აფრიამაშვილი-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
7. თეა გაბისონია-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
8. მაია ჩაჩხიანი-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
9. მურად ფახურიძე-სპორტის საგნობრივი ექსპერტი
10. სალომე ცხვედიანი-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	**სსიპ-ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვინთის საჯარო სკოლა**
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**224081623**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**ახალციხე, სოფელი ჭვინთა**
ფაქტობრივი მისამართი	**ახალციხის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭვინთა**
საფოსტო ინდექსი	**0800**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	**სსიპ-ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვინთის საჯარო სკოლა**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	**chvinta@mes.gov.ge**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	**598097897**

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 20 მარტის MES 9 26 0000337823 ბრძანების საფუძველზე
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	04 და 05 მაისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1.	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	ახალციხე, სოფელი ჭვინთა (ერთი შენობა)
2.	ზოგადი განათლების საბაზო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	ახალციხე, სოფელი ჭვინთა (ერთი შენობა)
3.	ზოგადი განათლების საშუალო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო	საშუალო საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	ახალციხე, სოფელი ჭვინთა (ერთი შენობა)

	პროგრამა			

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 20 მარტის - MES 9 26 0000337823 ბრძანების საფუძველზე, სსიპ-ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელი ჭვინთის საჯარო სკოლაში, 2026 წლის 04 და 05 მაისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასება და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალები. რამდენჯერმე განხორციელდა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა, შეთანხმდა და დაზუსტდა ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას. მასალების შესწავლის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია. ბრძანების შესაბამისად, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა შეფასების პროცესი განახორციელეს ადგილზე ვიზიტით, ჯგუფის სხვა წევრებმა კი დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების (Google Meet) გამოყენებით.

ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში. ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტებმა შეისწავლეს სკოლის ინფრასტრუქტურა მათ შორის კომპიუტერული კლასი , სპორტული ინფრასტრუქტურა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიისთვის განკუთვნილი ოთახი, ინკლუზიური გარემო, სკოლის პერსონალის პირადი საქმეები. ვიზიტის დროს შედგა გასაუბრება: დირექციის წარმომადგენლებთან, პედაგოგებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან. საგნობრივი ექსპერტები გაესაუბრნენ შესაბამისი კათედრის წარმომადგენლებს. ინტერვიურების პროცესში, საგნობრივი ექსპერტების მიერ დაისვა დამაზუსტებელი კითხვები კურიკულუმის შემუშავების და დანერგვის პროცესებთან მიმართებით. დაწყებითი საფეხურის ექსპერტი ჩართული იყო გასაუბრების პროცესში და ვიზიტის შემდეგ მოახდინა დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების შეფასების რევიზია.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა
----------	----------	----------

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

ინფრასტრუქტურა	☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო*

მოსწავლეთა რაოდენობა: 120	ჯგუფი ეთანხმება ☐	*დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☒	სკოლას არა აქვს საკმარისი ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი. კერძოდ, საკლასო ოთახების (10 საკლასო ოთახი) მერხების (56 ერთეული) და სკამების (63 ერთეული) რაოდენობა ერთ ცვლაში მოემსახუროს 120 მოსწავლეს. ექსპერტთა რეკომენდაციით არსებული ინფრასტრუქტურით და მატერიალური რესურსით, ერთ ცვლაში, სკოლას შეუძლია მომსახურეობა გაუწიოს 60 მოსწავლეს.

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	*ხარვეზი*

	(დასყებით, საბაზო, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)	

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(დასყებით ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი 1.1.1.3	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 2026 წლის 7 სექტემბრისთვის უზურნველყოს სკოლის ფილოსოფიის შემუშავება/გადახედვის პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის შესახებ მტკიცებულებების წარმოდგენა.
ინდიკატორი 1.1.1.4	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 2026 წლის 7 სექტემბრისთვის უზურნველყოს სკოლის ფილოსოფიის , სასკოლო საზოგადოებასთან გაზიარების მტკიცებულებების წარმოდგენა

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

ინდიკატორი 1.2.1.3	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 2026 წლის 7 სექტემბრისთვის შეიმუშაოს და უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცდეს სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და სკოლის თვითშეფასებას.
ინდიკატორი 1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 2026 წლის 7 სექტემბრისთვის შეიმუშაოს და უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცდეს სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულ მიზნებს მიზნების შესაბამის ამოცანებს , შესრულების გაზომვად ინდიკატორებს და შესაბამისი რესურსებს, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი 3.1.2.3	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 2026 წლის 15 სექტემბრამდე უზრუნველყოს სამედიცინო პერსონალისთვის (ექთანი) უფლების ჩამორთმევის ცნობის მოპოვება.
ინდიკატორი 3.1.2.4	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 2026 წლის 15 სექტემბრამდე უზრუნველყოს სკოლაში დასაქმებული ყველა პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამებოდეს კანონით განსაზღვრულ და სკოლის მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.
ინდიკატორი 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს:

	უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.	✓ 2026 წლის 30 ოქომბრამდე შენობის ექსპლოატაციის შესაებ დასკვნის მოპოვება ✓ 2026 წლის 1 სექტემბრამდე ეზოს ღობის მთლიანობის აღდგენა
ინდიკატორი 3.4.1.3	სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 2027 წლის 30 ივნისამდე უზრუნველყოს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი აღწურვა ვიდეოსათვალთვალო კამერებით.
ინდიკატორი 3.5.1.1	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსის მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 2028 წლის 30 ივნისამდე უზრუნველყოს სკოლის ინფრასტრუქტურის იმგვარი მოწყობა, რომ იძლეოდეს სრულფასოვანი სასწავლო პროცესის განხორციელებას. კერძოდ სკოლაში ყველა კლასს ჰქონდეს თავისი საკლასო ოთახი, მოეწყოს საბუნებისმეტყველო ლაბოლატორია და ბიბლიოთეკისთვის არსებობდეს ცალკე ოთახი.
ინდიკატორი 3.5.1.3	სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 2028 წლის 30 ივნისამდე უზრუნველყოს სკოლაში ბიბლიოთეკისთვის ცალკე ოთახის გამოყუფა
ინდიკატორის 3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 2028 წლის 30 ივნისამდე უზრუნველყოს სკოლის შენობის შესასვლელი კიბეზე პანდუსის დამონტაჟება
ინდიკატორი 3.6.3.5	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ:	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 2026 წლის 7 სექტემბერამდე

	მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია	უზრუნველყოს ვებგვერდზე ინდიკატორით განსაზღვრული სავალდებულო ინფორმაციის განთავსება.
ინდიკატორი 3.7.1.1	სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 2026 წლის 15 სექტემბერამდე უზრუნველყოს სამოქედო გეგმაში აისახოს დაგეგმილ აქტივობებისთვის საჭირო ფინანსური რესურსები.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამი)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი **2.2.2.3**	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთ ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბოლატორიის მოწყობა. კურიკულუმით გათვალიწინებული კვლევით კომპონენტის განსახორციელებლად.

ინდიკატორი 2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 2026 წლის 15 სექტემბერამდე დაწყებით საფეხურზე უზრუნველყოს, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის დასაქმება.

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*რჩევა*
ინდიკატორი 1.1.1.1	**სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**	სასურველია, ხედვის უკეთ ფორმულირებისთვის სკოლამ გაითვალისწინოს- ხედვა არის მოკლე განაცხადი, რომელიც განსაზღვრავს ორგანიზაციის განვითარების საშუალოვადიან ან გრძელვადიან მიზნებს და ასახავს ორგანიზაციის წარმოდგენაში დანახული სასურველი, იდეალური მომავლის სურათს.
ინდიკატორი 1.2.1.2	**სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**	სასურველია, ამოცანები ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ არ მოხდებს სტრატეგიული მიზნების დუბლირება. ცხრილის სახით დაზუსტდეს ამოცანის/ატივობების განხორციელების ვადები. შესაბამისობაში მოვიდეს ერთმანეთთან: 1.სტრატეგიული გეგმით და საჯაროდ გამოქვეყნებული სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები 2. დაგეგმვის მეთოდოლოგიით განსაზღვრული მიზნების რაოდენობა, სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულ მიზნების რაოდენობასთან.
სტანდარტი N3	*სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა*	*რჩევა*
ინდიკატორი	**სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე**	სასურველია, სკოლას ჰყავდეს სერტიფიცირებული

3.4.1.1	ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანო მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა, აკრედიტებულ ორგანიზაციაში.
ინდიკატორი 3.1.1.1	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული	სასურველია, სკოლის ორგანოგრამა მორგებული იყოს სკოლის რეალურ მდგომარეობაზე.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო საშუალო საფეხურები*	*რჩევა*
ინდიკატორი N. 2.1.1.1	.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას	**ხარისხის ექსპერტი** სასურველია, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია ასახავდეს სკოლაში არსებულ რეალურ გარემოებებს კერძოდ, დირექტორის მოადგილის (რომელიც სკოლას არ ჰყავს) ნაცვლად ფუნქციები გაწერილი იყოს მასზე, ვინც რეალურად ახორციელებს ამ პროცესს, მითუმეტეს ხარისხის უზრუვნელყოფის პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, ხარისხის მართვაზე

		პასუხისმგებელ პირად სკოლაში განსაზღვრულია ისტორიის უფროსი მასწავლებელი.
ინდიკატორი N. 2.1.2.1	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** • სასურველია, ისე დაგეგმოთ აქტივობები,რომ თითოეული თემის შესწავლისას გახვიდეთ ყველა სამიზნე ცნებაზე. • სასურველია, შემოქმედებითი დავალებები დაეფუძნოს კონტექსტ-მაგალითებს. ახალი ცოდნის კონსტრუქტივისტული აგების ხელშესაწყობად მოსწავლეებს შესთავაზეთ მათი ცოდნისა და გამოცდილებისთვის ხელმისაწვდომი კონტექსტ-მაგალითები, როგორიცაა კონკრეტულიშემთხვევები, სიტუაციები ან ამბები. მათი განხილვა და გაანალიზება მოსწავლეებს დაეხმარება სამიზნე ცოდნის - ქვესაკითხების, ქვეცნებებისა და სამიზნე ცნებების - გააზრებასა და გათავისებაში. • გაითვალისწინეთ, რომ შემოქმედებითი დავალების პირობაში მკაფიოდ იყოს აღწერილი შესაქმნელი პროდუქტი. • სასურველია, კურიკულუმში ასახული იყოს მხოლოდ სტანდარტით განსაზღვრული თემები და არა სახელმძღვანელოს თემატური დაყოფა. **საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია, კათედრამ შეიმუშაოს კურიკულუმის საერთო ჩარჩო, სადაც ასახული იქნება: საკითხი, კონტექსტ მაგალითი, დავალების იდეა, რესურსები; კომპლექსური დავალების საკითხთა კლასტერი შინაარსის მიხედვით დაჯგუფდეს; განისაზღვროს კონტექსტ მაგალითები საკითხთა მიმართებაში. **ესთეტიკის მომართულება** სასურველია, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმების გაწერისას ყველა საფეხურზე და კლასში დამუშავდეს ყველა სავალდებულო თემატური ბლოკი.

		სახელმწიფო ენა დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო მცირედ, მაგრამ მაინც განსხვავდება ერთმანეთისგან, კათედრაზე შემუშავებული და შეთანხმებულ იქნას საერთო კურიკულუმის ჩარჩო.აღნიშნული უზრუნველყოფს კურიკულუმების თანმიმდევრულობას, სტრუქტურულ ერთიანობასა. გააგრძელონ მუშაობა კურიკულუმზე და სამომავლოდ გაამდიდრონ ის სხვადასხვა ტიპის შემოქმედებითი დავალებებით.ეს ხელს შუწყობს როგორც მოსწავლეების მოტივაციის გაზრდას, ისე მათი მიღწევების შეფასებას. **მათემატიკა** • მიზანშეწონილია ინფორმაცია საგნობივი კურიკულუმის შესახებ უფრო სრუყოთ და შეიცვდეს: კურიკულუმის სახელწოდებას, სასწავლო საგნის ხანგრძლივობა სემესტრის/ წლის განმავლობაში, ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი; • სასურველია კათედრა შეთანხმდეს ერთი ფორმატის კურიკულუმის ჩარჩო-დოკუმენტზე; • სასურველია კურიკულუმის ჩარჩო-დოკუმენტში გაერთიანებული კომპონენტები „თემა“ და „საკითხი/საკითხთა კლასტერი“ გაიმიჯნოს და ცალ-ცალკე იყოს წარმოდგენილი.
2.1.2.2	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** სასურველია, კურიკულუმში ასახული იყოს მხოლოდ სტანდარტით განსაზღვრული თემები და არა სახელმძღვანელოს თემატური დაყოფა. **სახელმწიფო ენა**

		სასურველია, კურიკულუმებში ცნებები ჩაიშალოს იმ ქვეცნებებად, რომელთა დამუშავებაც ხდება თემის ფარგლებში. ეს ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის უკეთ სტრუქტურირებას და ცნებების ეტაპობრივ გააზრებას. კურიკულუმში საკითხი/დავალებები ზოგ შემთხვევაში არაერთგვაროვნადაა ფორმულირებული. სასურველია , კათედრაზე შეთანხმდნენ და საკითხი და დავალება ჩამოყალიბდეს ერთიანი პრინციპების დაცვით. კურიკულუმის ჩარჩოში დააკონკრეტონ შესასწავლად გამოკვეთილი ყველა საკითხის/თემის შესაბამისი სამიზნე ცნებება. აღნიშნული ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესის თანმიმდევრულ დაგეგმვასა და შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან და ამოცანებთან. **მატემატიკა** მიზანშეწონილია კურიკულუმის შემუშავებისას გაწერილ იყოს მათემტიკის საგნობრივი სტანდარტით განსაზღრული ყველა თემა, სტანდარტში წარმოდგენილი შესაბამისი ფორმულირებით;
2.1.2..3	**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**	**საბუნებისმეტყველო მეცნნიერებები** მიზანშეწონილია, კურიკულუმში დეტალურად იქნას გაწერილი იმ დამხმარე მატერიალური რესურსების ჩამონათვალი, რომლებიც სახელმძღვანელოსთან ერთად გამოიყენება. **საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია, სამივე საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოს ბოლო სვეტში - „რესურსები" - აისახოს დამატებითი რესურსები, მაგალითად: ვიდეო/ანიმაციური ფილმები, ინტერნეტრესურსები და ა.შ. ესთეტიკის მიმართულება

		სასურველია, კიდევ ერთხელ გადაიხედოს რესურსებისათვის განკუთვნილი გრაფა. მიუთითებელი ველები ყველგან უნდა შეივსოს. ასევე სასურველია მოყვანილი რესურსების ვალიდურობის გადამოწმება , მათ უნდა ჰქონდეთ პირდაპირი კავშირი როგორც თემასთან, ისე შემოთავაზებულ დავალებებთან. გარდა ამისა, ელექტრონული ბმულები, რომლებიც ამ ეტაპზე არ იხსნება, უნდა გააქტიურდეს ან ჩანაცვლდეს მოქმედი ბმულებით. **სახელმწიფო ენა** სასურველია, გაამდიდრონ და გაამრავალფეროვნონ კურიკულუმის ჩარჩო რესურსებით. აღნიშნული ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანობას, მოსწავლეთა ჩართულობის ზრდას, საგნობრივი შინაარსის უკეთ გააზრებასა და პრაქტიკულ გამოცდილებასთან დაკავშირებას.
2.1.2.4		**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** მოსწავლეთა ავტონომიურობის გაზრდის მიზნით, სასურველია მათ მიეცეთ არჩევანის შესაძლებლობა შემოქმედებითი პროდუქტის (მაგ. პრეზენტაცია, მოდელი, ვიდეორგოლი და სხვა) ფორმატის შერჩევისას.
2.1.2.5	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** მიზანშეწონილია, შეიქმნას შეფასების რუბრიკები კონკრეტული თემისთვის. გაითვალისწინეთ, რომ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიემართებოდეს გრძელვადიან ორიენტირებს (სამიზნე ცნებებს), ხოლო განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტები უზრუნველყოფდეს ესგ-ით

		გათვალისწინებული სწავლის შედეგების გაზომვას. შეფასების პროცესის კიდევ უფრო მეტი დეტალიზაციისთვის, მიზანშეწონილია რუბრიკების შემუშავება თითოეული სასწავლო თემის თავისებურებების გათვალისწინებით. **სახელმწიფო ენა** სასურველია, მასწავლებლებმა კურიკულუმით გათვალისწინებული ყველა დავალებისთვის შეიმუშაონ ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები.განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში კი აღწერონ თუ რა მოლოდინი უნდა ჰქონდეს მასწავლებელს მოსწავლისგან კონკრეტულ ქვესაკითხთან და მასთან ერთად სამიზნე ცნებასთან მიმართებით. რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებთან, ასევე ზრდის შეფასების ვალიდურობას, სანდოობასა და სამართლიანობას.
2.2.1.3	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია, კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკები დაეყრდნოს დავალების პირობაში ჩაშენებულ კრიტერიუმებს და იყოს ცნებებზე ორიენტირებული, რაც უზრუნველყოფს შეფასების შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან; სასურველია, შემაჯამებელ დავალებებში ჩაიდოს მაღალი სააზროვნო დონის დავალებები; სასურველია, სასწავლო პროცესის დაგეგმვაში სასწავლო პროცესის დაგეგმვაში ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების გათვალისწინე. **სახელმწიფო ენა** სასურველია, მასწავლებლებმა კურიკულუმში წარმოდგენილი ყველა დავალებისთვის შეიმუშაონ ცნებებსა და ქვეცნებებზე

		ორიენტირებული შეფასების რუბრიკები. ეს ხელს შეუწყობს შეფასების სისტემატურობასა და თანმიმდევრულობას,ობიექტურობასა და გამჭვირვალობას.
2.2.1.4	**სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**	**ხარისხის ექსპერტი** სასურველია „მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესი“ მორგებული იყოს სკოლის რეალურ მდგომარეობას და ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელობა დაეკისროს სკოლაში რელურად არსებულ პოზიციაზე დასაქმებულ თანამშრომელს.
2.2.2.1	**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** სასურველია, კურიკულუმში დეტალურად აისახოს ის მატერიალური რესურსებიც, რომლებიც საგაკვეთილო პროცესში საგანმანათლებლო მიზნების მისაღწევად გამოიყენება. **საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია, კურიკულუმებში დაემატოს დამატებითი რესურსები. **სპორტი** სკოლას აქვს მხოლოდ ღია სპორტული მოედანი, გამომდინარე სკოლაში სპორტული დარბაზის არ არსებობიდან, პედაგოგებს მიეცა რჩევა, კურიკულუმები დაიტვირთოს და გაძლიერდეს თეორიული კომპონენტებით, კერძოდ: ოლიმპიზმით, ქართული ეროვნული სპორტის სახეობების ისტორიით, ჯანსაღი ცხოვრების წესის და მავნე ჩვევების პრევენციის მიმართულებით, რაც პედაგოგებს მისცემს მარტივად ლავირების საშუალებას საკლასო სივრცეში (რაც ხშირი შემთხვევა იქნება ზამთრის და უამინდობის პირობებში) დაგეგმონ და წარმართონ საგაკვეთილო პროცესი.

2.2.2.3	**კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** კურიკულუმებში აისახოს დამატებითი სასწავლო რესურსები.
2.3.1.1	**მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**	**ხარისხის ექსპერტი** სასურველია კურიულუმის დაგეგმვის მეთოდოლოგია მეტ ინფორმაციას მოიცავდეს კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების პროცესების შესახებ. კერძოდ, ვინ და რა პერიოდულებით განახორციელებს მონიტორინგს/შეფასებას და რა ინსტრუმენტები გამოიყენება მონიტორინგის და შეფასების პროცესში.
2.3.2.1	**შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**	**ხარისხის ექსპერტი** სასურველია, შეფასების შედეგების ანალიზისა და რეფლექსიის პროცესის უფრო სისტემური ორგანიზება, რაც ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების ხარისხის უწყვეტ განვითარებასა და მოსწავლეთა ინდივიდუალურ საგანმანათლებლო საჭიროებებზე დროულ და ეფექტიან რეაგირებას.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურები*	*რჩევა*
ინდიკატორი N. ***2.1.2.1***	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** დაწყებით საფეხურზე, საგანში „მე და საზოგადოება",

	მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	სასურველია კურიკულუმის ჩარჩოს დაემატოს: საკითხები, კონტექსტ მაგალითები და ა.შ. სასურველია, რომ კათედრამ საჭიროებიდან გამომდინარე შეიმუშაოს კურიკულუმის ერთიანი ჩარჩო, სადაც აისახება დავალების იდეა, რესურსები და ყველა საჭირო კრიტერიუმი რაც კურუკულუმს ქმედითუნარიანს გახდის. სასურველია, შემოქმედებითი დავალებების საკითხთა დაჯგუფება (საკითხი/საკითხთა კლასტერი) მოხდეს ისე, რომ თავიდან იქნეს აცილებული საკითხების მექანიკური გაერთიანება; განისაზღვროს კონტექსტ მაგალითის არსი, რომელიც კონკრეტულ საკითხთთან იქნება შესაბამისობაში.
2.1.2..5	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია, ყველა კლასში ყველა საგნის ფარგლებში შეიქმნას განმსაზღვრელი (V და VI კლასები) და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც დაფუძნებული იქნება კონკრეტული საკითხის შეფასების ინდიკატორებზე და მიემართებოდეს სამიზნე ცნებებს.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურები	*რჩევა*
2.1.2..5	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია, ყველა კლასში და ყველა საგნის ფარგლებში კომპლექსური დავალების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები დაეყრდნოს

	პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	დავალების პირობაში ჩაშენებულ კრიტერიუმებსა და მოთხოვნებს.
2.2.1.3	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** სასწავლო პროცესის სრულყოფილად მართვისა და მონიტორინგის მიზნით, სასურველია, თითოეული თემატური ერთეულისთვის შემუშავდეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. აღნიშნული უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის ხარისხის ობიექტურ შეფასებასა და მოსწავლეთათვის დროული, კონსტრუქციული უკუკავშირის მიწოდებას.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას, რომლის ფარგლებშიც წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა და გარკვეული ხარვეზის გამოსწორების მტკიცებულებები. შესაბამისობის გეგმის საფუძველზე შეიცვალა 1.1.1.3; 1.1.1.4 ; 1.2.1.3; 1.2.1.4; 3.1.2.4; 3.4.1.1; 3.4.1.3; 3.6.3.5; 3.7.1.1 და 2.2.2.4 ინდიკატორების შეფასება და გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში, ხოლო ინდიკატორები: 3.5.1.1; 3.5.1.3 და 3.5.1.4 შეფასდა როგორც ნაწილობრივ შესაბამისი.
3.1.2.3 ხარვეზის ნაწილი სკოლამ გამოასწორა კერძოდ, მასწავლებლების მიერ კანონმდებლობით გათვალიწინებული ნასამართლეობის ცნობების წარმოდგენა, ხოლო რაც შეება სამედიცინო პერსონალის მიერ ,,უფლების ჩამორთმევის“ და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ ცნობებს,

წარმოდგენილია მხოლოდ „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ცნობა. ,,უფლების ჩამორთმევის“შესახებ ცნობისთვის კი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულია ვადა 2026 წლის 15 სექტემბრამდე.
არგუმენტირებული პოზიციით სკოლამ წარმოადგინა შემდეგი მტკიცებულებები:

1. შრომითი ხელშეკრულება (ინდიკატორი 3.4.1.6)
2. ექთნის ცნობა-„სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ (ინდიკატორი 3.1.2.3)
3. სსიპ-ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვინთის საჯარო სკოლის სტრუქტურა (ინდიკატორი 3.1.1.1 და 3.1.1.2)
4. ფიზიკური უსაფრთხების უზრუნველყოფის ფოტომასალა (ინდიკატორი 3.4.1.1)
5. სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთან გაფორმებული საექსპერტო მომსახურეობის ხელშეკრულება (ინდიკატორი 3.4.1.1)
6. წერილი MES 0 26 0000357453; 25/03/2026 -სათვალთვალო კამერების დამონტაჟების შესახებ
7. წერილი MES 6 26 0000226616; 26/02/2026-საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების და ბიბლიოთეკისთვის სივრცეების მოწყობასთან დაკავშირებით
8. ვერიფიკაცის წესი (ინდიკატორი 2.2.1.5)
9. დირექტორის ბრძანება N 51-სსიპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვინთის საჯარო სკოლის მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესში ცვლილების შეტანის შესახებ. (ინდიკატორი 2.2.1.5)
10. სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N6 ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“
11. ბრძანება N50 სსიპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვინთის საჯარო სკოლის საქმის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ (3.6.2.1)
12. მასწავლებლის ცნობები ,,ნასამართლეობის შესახებ“

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს

სსიპ-ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვინთის საჯარო სკოლამ მისია და ხედვა წარმოადგინა ცალკე დოუმენტის სახით. მისია ასევე არის სკოლის სტრატეგიული გეგმის შემადგენელი ნაწილი, თუმცა სხვაგვარი ფორმულირებით.

ექსპერტულ შეფასებას დაექვემდებარება საჯაროდ გაზიარებული და დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომი მისია და ხედვა.

სკოლის მისია ჟღერს შემდეგნაირად, შექმნას უსაფრთხო გარემო სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესებისათვის, რათა ზოგადმა განათლებამ თითოეულ მოსწავლეს მისცეს ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრების, ჯანსაღი ბუნებრივი გარემოს შექმნისა და შენარჩუნების უნარი. ჩამოუყალიბოს მოზარდს უნარი - მთელი ცხოვრების მანძილზე უწყვეტად განავითაროს საკუთარი შესაძლებლობები, აღზარდოს გლობალურად მოაზროვნე ადამიანები, რომლებიც შეძლებენ პოზიტიური ცვლილებების შეტანას ქვეყნისა და საკუთარ ცხოვრებაში.

წარმოდგენილი მისია შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, რამდენადაც ხაზგასმულია ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრების უნარის ფორმირებაზე ორიენტირებული სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესიის განხორციელება.

სკოლამ წარმოადგინა ხედვა, რომელიც მოცემულია როგორც სკოლის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

- ✓ სკოლაში ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სწავლა-სწავლების პარალელურად არაფორმალური სწავლების მეთოდების დახვეწა-განვითარება;
- ✓ მოსწავლეების შესაძლებლობების, ნიჭისა და ინტერესების რეალიზება, ძლიერი მხარეების აღმოჩენა და განვითარება, სკოლაში შექმნილი შესაბამისი ინკლუზიური, ინდივიდუალური მიდგომების კიდევ უფრო მეტად დახვეწა;
- ✓ სკოლაში „მწვანე ინიციატივების განვითარება“. ენერგოეფექტურობისა და ნარჩენების მართვის პროგრამები;
- ✓ ჯანსაღი ცხოვრების წესის გაძლიერების მიზნით, სპორტული აქტივობების გააქტიურება;
- ✓ სკოლის ყველა საფეხურებზე განათლების მაღალი ხარისხის სასკოლო კურიკულუმების შეთავაზება;
- ✓ მოსწავლისათვის იმ უნარ-ჩვევების განვითარება, რომლებიც თითოეულ მათგანს მისცემს საშუალებას, უკვე არსებული გამოცდილება და მიღწევები გამოიყენოს ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად;
- ✓ თანამედროვე მოთხოვნებისა და გამოწვევების შესაბამისად, მოსწავლის თავისუფალ და წარმატებულ პიროვნებად ჩამოყალიბებაზე ზრუნვა;
- ✓ საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის მიღება.

სკოლის ხედვა გარკვეულ წილად ეხმიანება ზოგადი განათლებისს ეროვნულ მიზნებს, რამდენადაც სკოლის განვითარების მიმართულებად განსაზღვრავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა ინტელექტუალური და სულიერი ღირებულებები, ფიზიკურად ჯანსაღი, გარემოსდაცვითი ცნობიერების და თანამედროვედ მოაზროვნე პიროვნების ჩამოყალიბება. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ პუნქტობრივად გაწერილი მიმართულებები თვისი ფორმით შესასრულებელ ამოცანებს და გრძელვადიან და/ან მოკლევადიან მიზნებს უფრო ჰგავს ვიდრე ხედვის არსებით მახასიათებლებს. კერძოდ, როგორიცაა გაზომვადობა, რომელიც დაწესებულებას აძლევს ზუსტ მიმართულებას სტრატეგიული გეგმის შემუშავებისთვის.

რჩევა: სასურველია, ხედვის უკეთ ფორმულირებისთვის სკოლამ გაითვალისწინოს- ხედვა არის მოკლე განაცხადი, რომელიც განსაზღვრავს ორგანიზაციის განვითარების საშუალოვადიან ან გრძელვადიან მიზნებს და ასახავს ორგანიზაციის წარმოდგენაში დანახული სასურველი, იდეალური მომავლის სურათს.

ინდიკატორი 1.1.1.1 დაკმაყოფილებულია

2.სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს

მისიით და ხედვით სკოლას გაცხადებული აქვს უსაფრთხო გარემოში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის განხორციელება, რომელიც ხელს შეუწყობს თანამედროვე მოთხოვნებისა და გამოწვევების შესაბამისად, მოსწავლის თავისუფალ და წარმატებულ პიროვნებად ჩამოყალიბებას. სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუთი და წარმოდგენილი დოკუმენტაციით (დამრიგებლის პორტფოლიო, არაფორმალური განათლების განხორციელებული პროექტები, მოსწავლის პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული განვითარების აქტივობები) გამოიკვეთა, რომ ფორმალური თუ არაფორმალური განათლების ფარგლებში განხორციელებული აქტივობები მიმართულია მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე და პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ შემუშავებული ფილოსოფიით სკოლას განსაზღვრული აქვს საკუთარი როლი სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურული სივრცის ჩამოყალიბებაში.

ინდიკატორი 1.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

3.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლას ავტორიზაციის განაცხადით წარმოდგენილი აქვს მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელსაც არ ახლდა უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცების მტკიცებულება. აღნიშნული დოკუმენტი დამტკიცდა ვიზიტის დროს.

დასკვნის პროექტის მიხედვით, სკოლი მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მე-9 თავი განსაზღვრავს სკოლის ფილოსოფიის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. აღწერს ფილოსოფიის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართვის ფორმას და განხორციელების ეტაპებს. კერძოდ, მისიის, ხედვისა და ღირებულებების

შემუშავებისთვის დირექტორი ქმნის სამუშაო ჯგუფს, რომლის წევრები შერჩეულია სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებისგან (თავი-5). მეთოდოლოგია განსაზღვრავს სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელს დირექტორის მოადგილის სახით, რომელიც სკოლას არ ჰყავს.

სკოლის მიერ წარმოდენილ მასალებში არ გვხვდება მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავების მასალები.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლამ მეთოდოლოგიის შესაბამისად ვერ წარმოადგინა მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავების სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მტკიცებულებები. კერძოდ, დირექტორის ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ და სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები. ასევე, მეთოდოლოგიით განსაზღვრულია სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი, დირექტორის მოადგილე, რომელსაც სკოლის სტურუქტურა არ მოიცავს. **არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში, ინდიკატორთან მიმართებით, წარმოდგრნილია შესაბამისობის გეგმა, რომელიც განსაზღვრავს ხავეზის გამოსწორების პერიოდს 2026 წლის 7 სექტემბრამდე და დაგეგმილ აქტივობებს ხარვეზის აღმოსაფხვრელად.ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის პოზიციას და ინდიკატორის შეფასება იცვლება**

ინდიკატორი 1.1.1.3. მეტწილად დაკმაყოფილებულია

4.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

დასკვნის პროექტის მიხედვით, მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მე-6 თავი განსაზღვრავს გაზიარების მექანიზმებს. კერძოდ, სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებების პროექტების გაზიარება ხდება სასკოლო საზოგადოებასთან ელექტრონული ფოსტის ან/და ღია შეხვედრის და საჯაროდ სამეურვეო საბჭოს, პედსაბჭოს სხდომის ან/და სკოლის ვებგვერდის ან/და სოციალური გვერდის საშუალებით. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლის ფილოსოფიის პროექტის გაზიარების მტკიცებულებები სკოლამ ვერ წარმოდგინა. ასევე, სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუც ვერ ადასტურებს სკოლის ფილოსოფიის გაზიარების ფაქტს. **არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში, ინდიკატორთან მიმართებით, წარმოდგრნილია შესაბამისობის გეგმა, რომელიც განსაზღვრავს ხავეზის გამოსწორების პერიოდს 2026 წლის 7 სექტემბრამდე და დაგეგმილ აქტივობებს ხარვეზის აღმოსაფხვრელად.ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის პოზიციას და ინდიკატორის შეფასება იცვლება**

ინდიკატორი 1.1.1.4. მეტწილად დაკმაყოფილებულია

5.**სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

მისია, ხედვა, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად, საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით სკოლის ფილოსოფია განთავსებულია სკოლის ვებგვერზე და სკოლის შენობაში საინფორმაციო დაფაზე.

ინდიკატორი 1.1.1.5. დაკმაყოფილებულია

6.სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მის საქმიანობასა და კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სკოლის წესდების" მიხედვით,

სკოლის სახელწოდება, სსიპ-ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვინთის საჯარო სკოლა სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობას.

ინდიკატორი 1.1.1.6. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ-ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვინთის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N 35-ით დამტკიცებული-მისია, ხედვა, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- სკოლის ვებ- გვერდი:სსიპ-ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვინთის საჯარო სკოლა
- მისია, ხედვა, ღირებულებები
- 2023-20230 სტრატეგიული გეგმა
- გადასახადის გადამხდელის საგადასახადო აღრიცხვის (რეგისტრაცის)მოწმობა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს

სსიპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვინთის საჯარო სკოლის დირექტორის 2026 წლის 5 მაისის ბრძანება N35-ით დამტკიცებული მისია, ხედვა, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ძირითად პრინციპებს, მათ შორის სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინებას. მეთოდოლოგიური დოკუმენტი აღწერს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების ეტაპებს: სამუშაო ჯგუფის მიერ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავება და სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის გაზიარება, მიღებული უკუკავშირის განხილვა/გათვალისწინება, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტების საბოლოო სახით ფორმირება და სკოლის დირექტორისთვის წარდგენა. სკოლის დირექტორის მიერ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტების განხილვა და სამეურვეო საბჭოსთან წარდგენა შესათანხმებლად. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დამტკიცება დირექტორის მიერ და გაზიარება სასკოლო საზოგადოებისათვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მეთოდოლოგიური დოკუმენტი ასახავს იმ ძირითად მიდგომებსა და პროცედურებს, რომლებზეც დაფუძნებით უნდა განხორციელდეს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალიწინებით. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ მეთოდოლოგია განსაზღვრავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგბის დამტკიცებას დირექტორის მიერ, რაც არ შეესაბამება საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრულ რეგულაციებს, რომლის მიხედვით სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები მტკიცდება სამეურვეო საბჭოს მიერ, სასურველის, აღნიშული რეგულაცია გაითვალიწინოს სკოლამ და გადახედოს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიას.

ინდიკატორი1.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

2.სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

საავტორიზაციო განაცხადით სკოლამ წარმოადგინა 2023-2030 წლების სტრატეგიული გეგმა. სტრატეგიულ გეგმაზე მითითებული დამტკიცების რეკიზიტები (პედ. საბჭო) არ შეესაბამება არც დაგეგმვის მეთოდოლოგიით განსაზღვრულ დამტკიცებაზე უფლებამოსილ პირს (სკოლის დირექტორს) და არც კანონდებლობით განსაზღვრულ უფლებამოსილ ორგანოს(სამეურვეო საბჭოს). ასევე, სტრატეგიული გეგმის შინაარსი სკოლის სტრუქტურული ერთეულებში დასაქმებული პირების ფუნქციებს აღმწერი უფროა, ვიდრე სტრატეგიული მიზნების და ამოცანების განმსაზღვრელი. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა 2023-20230 წლის სტარეტგიული გეგმა, რომელიც დამტკიცებულია კანონდებლობის შესაბამისად სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 11 სექტემბრის სხდომაზე. წარმოდგენილია შესაბამისი სხდომის ოქმი (სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N6 ; 11.09.2023), აღნიშნულიდან

გამომდინარე, ექსპერტული შეფასება განხორციელდა ვიზიტის დროს წარმოდგენილი, უფლებამოსილ ორგანოს მიერ დამტკიცებული 2023-2030 წლების სტრატეგიული გეგმის.

სკოლა, სტრატეგიულ გეგმას შეიმუშავებს ყოველ შვიდ წელიწადში ერთხელ, რაც მიუთითებს მის ციკლურობას. 2023-2030 წ. სტატეგიული გეგმის შემადგენელი ნაწილებია: შესავალი, სკოლის შესახებ ინფორმაცია, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები (წარმოდგენილია განსხვავებული ფორმულირებით, ვიდრე საჯაროდ გაზიარებული), სკოლის მიზნები, SWOT - ანალიზი, სტრატეგიული მიმართულებები. თითოეული სტარტეგიული მიმართულებისთვის განსაზღრულია შესაბამისი ამოცანები, ნარატივის სახით აღწერილია სტრატეგიული მიმართულების არსი და მნიშნველობა, ასევე ცხრილის სახით წარმოდგენილია 7 წლის მანძილზე განსახორციელებელი აქტივობები, პასუხისმგებელი პირებისა, შესრულების ინდიკატორისა და პასუხისმგებელი პირების მითითებით. სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულია 7 სტრატეგიული მიმართუება/მიზანი: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, ადამიანური რესურსის განვითარება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა; სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება, ორგანიზაციული განვითარება. სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული მიზნები თავსებადია სკოლის მისიასთან, რამდენადაც მოცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა; მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება. მიზნების შესაბამისია ამოცანებიც. კერძოდ, მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის სისტემის უზრუნველყოფა; დამატებითი სერვისების განვითარება. აქვე უნდა ითქვას, რომ ზოგ შემთხვევაში სტრატეგიული მიზნების ფარგლებში განსაზღვრული ამოცანების შინაარსი ერთნაირია. კერძოდ, მიზანი -სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, ამოცანა-სასწავლო პროცესის ხარისხის გაზრდა. მიზანი-მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, ამოცანა-ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. ასევე, ცხრილის სახით წარმოდგენილი სტრატეგიული მიზმების განხორციელებული ვადებით არ არის მონიშნული, თუ რომელ წელს რომელი ამოცანის, აქტივობის განხორციელებას გეგმავს სკოლა სტრატეგიული მიზნის მისაღწევად. გასათვალისწინებია სტარტეგიული დაგეგმვის მეთოდოლაგიაში არსებული ჩანაწერი, სტრატეგიული მიზნების განსაზღვრის რაოდენობასთან მიმართებით (სტრატეგიული გეგმა შედგება 3-5 მსხვილი მიზნისგან). აღნიშნულ საკითხებთან მიმართებით, ინდიკატორის უკეთ დაკმაყოფილების მიზნით, სკოლას ეძლევა რჩევები

რჩევა: სასურველია, ამოცანები ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ არ მოხდებს სტრატეგიული მიზნების დუბლირება. ცხრილის სახით დაზუსტდეს ამოცანის/ატივობების განხორციელების ვადები. შესაბამისობაში მოვიდეს ერთმანეთთან: 1.სტრატეგიული გეგმით და საჯაროდ გამოქვეყნებული სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები 2. დაგეგმვის მეთოდოლოგიით განსაზღვრული მიზნების რაოდენობა, სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულ მიზნების რაოდენობასთან.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა არის შვიწლიანი ციკლური, ეფუძნება მისია, ხედვა, ღირებულებებს. განსაზღვრული მიზნები და ამოცანები თავსებადია მისიასთან. შესაბამისად,

ინდიკატორი 1.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

3.სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

დასკვნის პროექტის მიხედვით, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით განსაზღვრულია, რომ სტრატეგიული გეგმიდან და სკოლის ყოველწლიური თვითშეფასებიდან გამომდინარე იქმნება სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმა დგება ერთწლიანი პერიოდისათვის და ის ემთხვევა სასწავლო წელს . სამოქმედო გეგმის მიზანია ხელი შეუწყოს სტრატეგიულ გეგმაში დეკლარირებული მიზნების განხორციელებას.

მეთოდოლოგიური დოკუმენტით სამოქმედო გეგმას ამტკიცებს სკოლის დირექტორი, რაც ეწინააღმდეგება საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრულ რეგულაციებს.

სკოლამ წარმოადგინა 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმა, რომელსაც არ ახლავს უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ დამტკიცების რეკვიზიტები. თუმცა წრმოდგენილ მასალებში არის პედ. საბჭოს სხდომის ოქმი N 1, რომელიც ადასტურებს 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცებას არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ. (პედ. საბჭოს სხდომაზე დამტკიცდა 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმა). წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში გაწერილი სტრატეგიული მიზნები არ ეფუძნება სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულ სტრატეგიულ მიზნებს. კერძოდ, სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია 10 სტრატეგიული მიზანი (სტრატეგიული გეგმა განსაზღვრავს 7 მიზანს), ასევე მიზნებიც სხვაგვარადაა ფორმურებული. სამოქმედო გეგმით არ არის წარმოდგენილი ამოცანები. არ არის წარმოდგენილი სკოლის ყოველწლირი თვითშეფასებაც.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლას არა აქვს უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ დამტკიცებული სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და სკოლის თვითშეფასებას. **არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში, ინდიკატორთან მიმართებით, წარმოდგრნილია შესაბამისობის გეგმა, რომელიც განსაზღვრავს ხავეზის გამოსწორების პერიოდს 2026 წლის 7 სექტემბრამდე და დაგეგმილ აქტივობებს ხარვეზის აღმოსაფხვრელად.ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის პოზიციას და ინდიკატორის შეფასება იცვლება**

ინდიკატორი 1.2.1.3 მეტწილად დაკმაყოფილებულია

4.სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

დასკვნის პროექტის მიხედვით, სკოლას წარმოდგენილი აქვს 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც განსაზღვრავს 10 სტრატეგიულ მიზნს, აქტივობებს, ვადებს და პასუხისმგებელ პირებს. სამოქმედო გეგმა არ მოიცავს ამოცანებს, შესრულების გაზომვად ინდიკატორებს და შესაბამის რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია . ასევე სამოქმედო გეგმით განსაზღვრული სტრატეგიული მიზნები არ შეესაბამება სტრატეგიული გეგმით დეკლარირებულ სკოლის სტრატეგიულ მიზნებს

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლას არა აქვს უფლებამისოლი პირის/ორგანის მიერ დამტკიცებული 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმა არ მოიცავს სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, მიზნების

შესაბამის ამოცანებს, შესრულების გაზომვადი ინდიკატორებს და შესაბამისი რესურსების, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. **არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში, ინდიკატორთან მიმართებით, წარმოდგრნილია შესაბამისობის გეგმა, რომელიც განსაზღვრავს ხავეზის გამოსწორების პერიოდს 2026 წლის 7 სექტემბრამდე და დაგეგმილ აქტივობებს ხარვეზის აღმოსაფხვრელად.ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის პოზიციას და ინდიკატორის შეფასება იცვლება**

ინდიკატორი1.2.1.4 მეტწილად დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ-ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვინთის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N 35-ით დამტკიცებული-მისია, ხედვა, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- სსიპ-ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვინთის საჯარო სკოლის 2026 წლის 8 სექტემბრის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N1
- სსიპ-ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვინთის საჯარო სკოლის 2023 წლის 11 სექტემბრის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N6-სტრატეგიული გეგმის დამტკიცება
- 2023-2030 წლიანი სტრატეგიული გეგმა
- 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმა

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგის და შეფასების მექანიზმებს. მეთოდოლოგიის მე-12 თავით განსაზღვრულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების მონიტორინგის და შეფასების საკითხები. კერძოდ, განსაზღვრულია სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების მონიტორინგის და შეფასების განხორციელების პერიოდულობა, პროცესის განმახორციელებელი ორგანო და მონაცემთა შეგროვების მეთოდი. სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასება ხორციელდება ყოველი წლის ბოლო, ხოლო სტრატეგიული გეგმის სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხოცრილების შუაში და ბოლოს. სამოქმედო გეგმის მონიტორინგის დროს ხდება პასუხისმგებელი პირების მიერ ანგარიშების

წარდგენა. სამუშაო ჯგუფის ორგანიზებით იმართება გაერთიანებული შეხვედრა, რომელსაც ესწრებიან სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. სხდომის თავმჯდომარე დეტალურად გადის სამოქმედო გეგმა და თითოეული აქტივობისთვის ხდება შესაბამისი სტატუსის მინიჭება „შესრულდა“, „არ შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“. წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის/სამი წლის ბოლოს სტრატეგიული გეგმის შესრულების შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით და წარედგინება დირექტორს, რომელიც მიღებულ ინფორმაციას დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს. აღნიშნულიდან გამომდინარე,

ინდიკატორი 1.2.2.1 დაკმაყოფილებულია.

2.მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით

სკოლა პირველდი ავტორიზაციის რეჟიმშია. „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის“ მე-12 თავის მიხედვით სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის ვადა ჯერ არ დამდგარა. სკოლის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგია არის წინაპირობა იმისა, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი განხორციელდება სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ინდიკატორი 1.2.2.2 დაკმაყოფილებულია.

3.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია განსაზღვრავს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების გასაჯაროვების მექანიზმებს.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების გეგმის მონიტორინგის და შეფასების პროცესი ჯერ არ განხორციელებულა, შესაბამისად მონიტორინგის და შეფასების შედეგებიც ვერ იქნება საჯაროდ გაზიარებული. სკოლას, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების საჯაროობის ვალდებულება განსაზღვრული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით. შესაბამისად.

ინდიკატორი 1.2.2.3 დაკმაყოფილებულია

4.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიხედვით, სკოლა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში იყენებს SWOT მეთოდოლოგიას, რაც გულისხმობს სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების, ასევე, საფრთხეებისა და შესაძლებლობების გაანალიზებას. სტრატეგიული გეგმიდან და სკოლის ყოველწლიური თვითშეფასებიდან გამომდინარე იქმნება სამოქმედო გეგმა. სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილებები დასაშვებია. მონიტორინგისა და შეფასების შედეგების საფუძველზე სასკოლო

საზოგადოების წევრთა უკუკავშირის გათვალისწინებით. დაგეგმვის მეთოდოლოგიით სკოლა იღებს ვალდებულებას სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენოს დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის **ინდიკატორი 1.2.2.4 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ-ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვინთის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N 35-ით დამტკიცებული-მისია, ხედვა, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- მშობლის კითხვარი
- სტრატეგიული გეგმა
- 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმის პროექტი

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა
3.1. პერსონალის მართვა
3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

დასკვნის პროექტის მიხედვით, სკოლამ საკუთარი ორგანიზაციული მოწყობა წარმოადგინა გრაფიკული სახით. სკოლის სტრუქტურა მოიცავს: სკოლის დირექცია, სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს, 5 საგნობრივ კათედრას, დისციპლინური კომიტეტის. სკოლის ადმინისტრაცია დაყოფილია საშტატო და შტატგარეშე პოზიციებად. სკოლის საშტატო განრიგი ადგენს საგანმანათლებლო პროცესისთვის საჭირო პოზიციაზე დასაქმებულ პირთა რაოდენობას. საშტატო განრიგით სკოლას ჰყავს შემდეგი ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი: დირექტორი, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი და 20 მასწავლებელი, ხოლო შტატგარეშედ დასაქმებულია: სკოლის ექთანი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი, დამლაგებელი-2, დარაჯი-3, ენისა და მეტყველების სპეციალისტი და 2 ცეცხლფარეში, რომლებიც სკოლაში დასაქმებულია სეზონურად. დასაქმებულთან გაფორმებული ხელშეკრულებებით განსაზღვრულია პოზიციაზე დასაქმებული პირების მოვალეობები და ვალდებულებები. სკოლის ორგანოგრამა არ გამოსახავს დაწესებულების იერარქიულ დაქვემდებარების და ანგარიშვალდებულების სისტემას, რაც სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს შესასრულებელი ფუნქციების მკაფიოობას. აღსანიშნავია, რომ სკოლის ორგანოგრამით განსაზღვრულია დირექტორის მოადგილის პოზიცია, რომელიც საშტატო განრიგით სკოლას არ ჰყავს. აღნიშნული პოზიციის არსებობა არ დასტურდება eSchool ბაზა მონაცემებით. სასურველია, სკოლის ორგანოგრამა მორგებული იყოს სკოლის რეალურ მდგომარეობაზე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლის მიერ შემუშავებული სტრუქტურა ვერ გამოხატავს სკოლაში არსებული სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების მკაფიოობას, რამდენადაც არ არსებობს სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის იერარქიული დაქვემდებარების და ანგარიშვალდებულების განსაზღვრული სისტემა. **არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში, ინდიკატორთან მიმართებით, წარმოდგრნილია სკოლის სტრუქტურა, რომელიც მკაფიოდ ასახავს სკოლაში არსებულ სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის იერარქიული დაქვემდებარების და ანგარიშვალდებულების სისტემას. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის პოზიციას, ხარვეზი სრულად გასწორებულია, შესაბამისად იცვლება ინდიკატორის შეფასება ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას

დასკვნის პროექტის მიხედვით, სკოლის ორგანოგრამიდან ჩანს სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის არ არსებობს ურთიერთდაქვემდებარების სისტემა. პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით განსაზრვრულია მათი ფუნქცია-მოვალეობები. სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებისათვის განსაზღვრული პასუხისმგებელი პირების ფუნქციები დაკავებული პოზიციების შესაბამისია. თუმცა, რამდენადაც, სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის არ არსებობს ანგარიშვალდებულებების და ურთიერთდაქვენდებარების მკაფიოდ განსაზღვრული იერარქიული სისტემა, ვერ

დგინდება ფუნქციების და პასუხიმგებლობების გადანაწილება რამდენად უწყობს ხელს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. **არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში, ინდიკატორთან მიმართებით, წარმოდგრნილია სკოლის სტრუქტურა, რომელიც მკაფიოდ ასახავს სკოლაში არსებულ სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის იერარქიული დაქვემდებარების და ანგარიშვალდებულების სისტემას. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის პოზიციას, ხარვეზი სრულად გასწორებულია, შესაბამისად იცვლება ინდიკატორის შეფასება**

ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის გრაფიკული სტრუქტურა-ორგანოგრამა
- სკოლის საშტატო ნუსხა
- თანამშრომელთან დადებული შრომითი ხელშეკრულება
- 2025-2026 წ.სამოქმედო გეგმა

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად

დასკვნის პროექტის მიხედვით, სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც აღწერს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზნებს, სტრატეგიას, ამოცანებს, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის როლს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში, პროფესიული განვითარების საკითხებს, ადამიანური რესურსების მართვას, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას. წარმოდგენილი დოკუმენტით არ არის განსაზღვრული პერსონალის მოზიდვა-შერჩევის, დანიშვნის, ახალი თანამშრომლის ინტეგრაციის, წახალისების საკითხები, ასევე შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის წესები. აღნიშნული საკითხები, გარდა წახალისებისა (შინაგანაწესი), თანამშრომლის ადაპტაცია (დებულება) და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა (შრომით ხელშეკრულება) , არ რეგულირდება სხვა დოკუმენტით.

პერსონალის მართვის გარკვეული წესები და პირობები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში, რომელიც განსაზღვრავს შრომითი ურთიერთობის ნორმებსა და წესებს. სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს, რომელზეც ხელმოწერით დასტურდება დასაქმებულის მიერ შინაგანაწესის გაცნობის ფაქტი.

სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც შედგენილია საქართველოს შრომის კოდექსის გათვალსიწინებით. პედაგოგების შერჩევის მიზნით ვაკანსიის გამოცხადება ხდება, საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“ დადგენილი მოთხოვნების გათვალიწინებით. სკოლაში დასაქმებულია სქემით განსაზღვრული სტატუსის მასწავლებლები.

ზემოთ აღნიშნულიდან შეიძლება ითქვას, რომ სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ, აღნიშნული ეწინააღმედება ,,საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობების'' მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტით განსაზღვრულ რეგულაციას, სამეურვეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს ,,ადამინური რესურსების მართვის პოლიტიკა“. სკოლას ასევე არა აქვს განსაზღვრული პერსონალის მოზიდვის საკითხები, რომლების მნიშვნელოვანია ადამიანური რესურსების პოლიტიკის განსაზღვრის დროს. ასევე ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილი მარეგულირებელი აქტები არ არის ქმედითი („ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანების, „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 21 ნოემბრის N1014 ბრძანების, „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N68 დადგენილების) აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლას არა აქვს შემუშავებული სანდო და საკმარისი მექანიზმები პერსონალის მართვის განსახორციელებლად. **არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში, ინდიკატორთან მიმართებით, წარმოდგრნილია სამეურვეო საბჭოს N6 სხდომის ოქმი, რომელის ეხება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დამტკიცებას. წარმოდგენილი დოკუმენტი ასევე არეგულირებს პერსონალის მოზოდვა-შერჩევის საკითხებს. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის პოზიციას, შესაბამისად იცვლება ინდიკატორის შეფასება**

სასურველია დოკუმენტის დამტკიცების სხომის ოქმში ჩანდეს, ადამიანური რესურსების პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების პროცესი. კერძოდ, პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრული ძირითადი საკითხების განხილვის, მსჯელობის და შეჯერების პროცესის.

ინდიკატორი 3.1.2.1 დაკმაყოფილებულია

2.სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სკოლის დირექცია გააანალიზებს თუ რა პოზიციაზე შეიძლება დასჭირდეს კადრი მომდევნო სასწავლო წლიდან და საჭიროების შემთხვევაში, წინასწარ გამოაცხადებს

კონკურსს იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს შეუფერხებლად. მტკიცებულებად წარმოდგენილია ვაკანსიის მასალები (საკონკურსო კომისიის შექმნის ბრძანება, ღია კონკურსის კომისიის სხდომის ოქმები).

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია, სამუშაო ადგილზე დაგვიანებით გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის შემთხვევაში შეტყობინების წესი, სადაც გაწერილია სამსახურში არ გამოცხადების შემთხვევაში შეტყობინების ვადები. ამ რეგულაციით სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ განხორციელებისთვის მყისიერი ზომების მიღებას. კერძოდ, მასწავლებლის არ ყოფნის შემთხვევაში ჩაანაცვლოს შესაბამისი კათედრის მასწავლებლით. აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის მექანიზმები.

ინდიკატორი 3.1.2.2 დაკმაყოფილებულია.

3.პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

დასკვნის პროექტის მიხედვით, სკოლაში მასწავლებლის დასაქმება ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყების და შეწყვეტის წესის“ გათვალიწინებით. წარმოდგენილია მასწავლებლის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების დოკუმენტაცია. რაც შეეხება სხვა პერსონალის შერჩევის საკითხებს არ არის გაწერილი რომელიმე დოკუმენტით, თუმცა ინტერვიუთი დგინდება, რომ სკოლაში მასწვლებლის გარდა სხვა პერსონალის დასაქმება ხდება დირექტორის ბრძანებით, გასაუბრების საფუძველზე.

დასაქმებულთა პირადი საქმეების შესწავლით დგინდება, რომ 1-3-4 კლასებში ხელოვნებას და სპორტის გაკვეთილებს ატარებს დაწყებითის მასწავლებლი, რომელსაც არა აქვს დადასტურებული საგნობრივი კიმპეტენცია აღნიშნულ საგნებში. ასევე, ისტ-ს ასწავლის ინგლისურის მასწავლებლი, მე და საზოგადოებას მე-3 კლასში ასწავლის დაწყებითის მასწავლებლი, ხოლო მე-4 კლასს ქიმიის მასწავლებლი, რომელსაც გავლილი აქვს ტრეინინგი აღნიშნული საგნის მიმართულებით, თუმცა არა აქვს დადასტურებული კომპეტენცია. სკოლამ ვერ წარმოადგინა, 2020 წლის ივნისის შემდეგ დასაქმებული პირის (ექთანი) კანონმდებლობით გათვალიწინებული ცნობები:,,უფლების ჩამორთმევის“ და ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“. ასევე კანონმდებლობით განსაზრვრული ნასამართლეობის ცნობა არა აქვს 13 მასწავლებელს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლა ვერ უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვას, **არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში, ინდიკატორთან მიმართებით გარკვეულ საკითხებზე წარმოდგენილია ხარვეზის გამოსწორების მტკიცებულებები, კერძოდ 13 მასწავლებლის ცნობები ,, ნასამართლეობის შესახებ“. ექთანმა ამ ეტაპზე წარმოდგინა ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ცნობა, ხოლო ,,უფლების ჩამორთმევის“ ცნობას წარმოადგენს 15 სექტემბერს , რაც განსაზღვრულია შესაბამისობის გეგმით. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის პოზიციას და ინდიკატორის შეფასება იცვლება**

ინდიკატორი 3.1.2.3 მეტწილად დაკმაყოფილებულია.

4.პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

დასკვნის პროექტის მიხედვით, სკოლას შემუშავებული აქვს დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ დებულება (ბრ. N33;05/05/2026) . ვიზიტის დროს, eSchool ბაზა მონაცემებით სკოლაში დასაქმებული იყო 32 თანამშრომელი, აქედან 20 მასწავლებელია: უფროსი-19; წამყვანი-1. მასწავლებლების უმეტესობა შერჩეული არიან „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტების შესაბამისად დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. მხოლოდ დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებს, რომლებიც ასწავლიან მე და საზოგადოებას, ისტ-ს, ხელვნებას (1-3-4 კლასი) და სპორტს (1-3-4) არ აქვთ შესაბამისი საგნების კომპეტენციები დადასტურებული. ასევე ვერ დადასტურდა რამდენად შეესაბამება ორი დარაჯის კომპეტენცია, სკოლის მიერ დადგენილ მოთხოვნებს, რამდენადაც მათ პირად საქმეებში არ იყო შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში დასაქმებული ყველა პერსონალის კვალიფიკაცია არ შეესაბამება კანონით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. კერძოდ, დაწყებითი საფეხურის მე და საზოგადოების, ისტ-ს, ხელვნებას (1-3-4 კლასი) და სპორტი (1-3-4) მასწავლებლების და ასევე ორი დარაჯის. **არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში, ინდიკატორთან მიმართებით, წარმოდგრნილია შესაბამისობის გეგმა, რომელიც განსაზღვრავს ხავეზის გამოსწორების პერიოდს 2026 წლის 15 სექტემბრამდე და დაგეგმილ აქტივობებს ხარვეზის აღმოსაფხვრელად.ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის პოზიციას და ინდიკატორის შეფასება იცვლება**

ინდიკატორი 3.1.2.4 მეტწილად დაკმაყოფილებულია

5.პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

სკოლის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, რომელიც ასახულია სკოლის ღირებულებებში. კათედრების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ კათედრების მუშაობა ეფუძნება გუნდური მუშაობის პრინციპს. კათედრის თითოეული წევრი ჩართული იყო კურიკულუმების შემუშავების პროცესში. ხდებოდა გამოცდილების გაზიარება, ერთად იგეგმება სასკოლო პროექტები. აქტიურია კათედრებს შორის თანამშრომლობა, რასაც მოწმობს სკოლის სივრცეში გამოფენილი განხორციელებული პროექტები.

ინდიკატორი 3.1.2.5 დაკმაყოფილებულია.

6.სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

თანამშრომელთა წარმატებული საქმიანობის აღიარებისა და გაზიარების მიზნით, სკოლის შინაგანაწესში გაწერილია წახალისების სისტემა. კერძოდ, პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი

სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: მადლობის გამოცხადება; სიგელით დაჯილდოება; ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. როგორც პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისას ძალიან დაეხმარათ ერთმანეთის წარმატებული პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარება. წაროდგენილია ბრაძანება წახალისებაზე.

ინდიკატორი 3.1.2.6 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი
- თანამშრომელთან დადებული შრომითი ხელშეკრულება
- eSchool ბაზა მონაცემებით
- საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ დებულება (ბრ. N33;05/05/2026)
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- სსიპ-ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვინთის საჯარო სკოლის დირექტორის ბრ. N53 მასწავლებლის წახალისების შესახებ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები

ადამიანური რესურსების მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი განსაზღვრავს პერსონალის სამუშაოს შესრულების შეფასებისა და პროფესიული განვითარებისთვის საჭიროებათა დადგენის მექანიზმებს. კერძოდ, სამუშაოს შეფასება უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე დაწესებულება გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს. აღნიშნული გულისხმობს შემდეგ ეტაპებს: პროფესიული განვითარების მოთხოვნების იდენტიფიცირებას სამუშაოს კატეგორიის, ცალკეული ფუნქციის, თანამდებობრივი მოთხოვნებისა და ინდივიდუალური საჭიროებების ანალიზის საფუძველზე; გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად სხვადასხვა ღონისძიების შერჩევა/დაგეგმვა; შესაბამისი კანდიდატების შერჩევა; მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასება.აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლას განსაზღვრული აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები.

ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებული.

2.პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით განსაზღვრულია თანამშრომელთა პროფესიული განვითარების მექანიზმები, რომელიც ითვალიწინებს: კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საჭირო ღონისძიებების ორგანიზებას; დასაქმებულთა მოტივაციის გაზრდის მიზნით წახალისების სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას;. თანამშრომელთა გუნდური მუშაობის და მათ შორის არაფორმალური ურთიერთობების განვითარებას, საკონსულტაციო და სადისკუსიო შეხვედრებს. სკოლა ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მიზნით ახორციელებს თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას. შემუშავებულია შესაბამისი კითხვარი, რომელიც სკოლას ეხმარება თანამშრომლის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობების და რისკების განსაზღვრაში. მოცემული მონაცემებზე დაყრდობით სკოლა გეგმავს პერსონალის პროფესიულ განვითარების გზებს. სკოლაში დასაქმებულ პირთა შეფასებისა და მათი შემდგომი მოტივაციისათვის სკოლა ნერგავ შეფასების სისტემას (მონიტორინგი, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, შეფასების სისტემების ერთობლივად შემუშავება), რომელიც ხელს შეუწყობს დასაქმებულთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას. ერთწლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული პედაგოგების პროფესიული განვითარების აქტივობებს შორისაა გამოცდილების გაზიარების შეხვედრები, გაკვეთილების დაკვირვება და უკუკავშირი. შემუშავებულია მასწავლებლის ტვითშეფასების კითხვარი. პედაგოგთა პირადი

საქმეებში განთავსებულია მათ პროფესიული განვითარების დამადასტურებელი სერთიფიკატები. პროფესიული განვითარების მიმართულებით სერთიფიკატები წარმოდგენილია ადმინისტრაციული პერსონალის პირად საქმეებშიც.

ინდიკატორი 3.2.1.2 დაკმაყოფილებული.

3.სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ წინსვლას. კარიერული წინსვლა ნებაყოფლობითია და დამოკიდებულია კონკრეტული თანამშრომლის სურვილზე. სურვილის შემთხვევაში სკოლა აცხადებს მზადყოფნას დაეხმაროს თანამშრომელს კარიერულ ზრდაში. სკოლამ წარმოადგინა შესაბამის მტკიცებულებები მასწავლებლის წარდგენა სტატუსის ამაღლებაზე.

ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებულია

4.სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის ადაპტაციის წესი, რომელიც განსაზღვრავს ადაპტაციის პროცესს და პროცედურებს. დოკუმენტს დანართის სახით აქვს ცხრილი, სადაც გაწერილია ადაპტაციის აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და განხორციელების პერიოდი. ინტერვიურების პროცესში გამოიკვეთა რომ სკოლა ეხმარება ახალ თანამშომელს ინტეგრაციის პროცესში. კერძოდ, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ხდება წარდგინება კატედრაზე და კათედრის სამუშაო გეგმის გაცნობა.

ინდიკატორი 3.2.1.4 დაკმაყოფილებულია

5.წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

პერსონალთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერა დასაქმებულიდან წამოსული ინიციატივების განსახორციელებლად. მასწავლებლებმა ისუბრეს სკოლის ჩართულობით პროფესიული მიმართულის გავლილი ტრეინიგების შესახებ. სკოლის ადმინისტრაცია მზად არის წაახალისოს პერსონალიდან წამოსული ინიციატივები ეს იქნება სასკოლო პროექტების თუ საგაკვეთილო პროცესისთვის საჭირო რესურსების შესაძენად ან პროფესიული განვითარებისთვის. ასევე, მუდმივად ხდება რესურსოთახის ინვენტარის განახლება მოსწვლეთა საჭიროებების მიხედვით, სპეც მასწავლებლის მოთხოვნის საფუძველზე. აღნიშნულიდან გამომდინარე,

ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვინთის საჯარო სკოლის დირექტორის ბრ. 29 პერსონალის ადაპტაციის წესის დამტკიცების შესახებ.
- პერსონალის პირადი საქმეები.

- კათედრის სხდომის ოქმები.
- მასწავლებლის თვითშეფასების კითხვარი

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს

სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი (ბრN 38; 05/05/2026), რომელიც მიზნად ისახავს სკოლაში ხარისხის მართვის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას. პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს-დირექტორის მოადგილეს, ახდენს სკოლაში მიმდინარე პროცესების იდენტიფიცირებას და განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის წესს. იდენტიფიცირებული პროცესების განხორციელება რეგულირდება შესაბამისი მეთოდოლოგიური დოკუმენტებით, დებულებებით და წესებით, სადაც აღწერილია პროცესების და ქვეპროცესების

განხორციელების ეტაპების მონაცვლეობა, რაც დამადასტურებელია იმისა, რომ სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობა განხორციელდება, ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის, დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე პრინციპის დაცვით.

ინდიკატორი 3.3.1.1 დაკმაყოფილებულია.

2.იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებულია ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში, ხოლო პროცესები აღწერილია შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტებში. კერძოდ, სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, სკოლის შინაგანაწესი და სასკოლო სასწავლო გეგმა აღწერს საგანმანათლებლო საქმიანობის ძირითად პროცესებს. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკით-ძირითადი პროცესები. ხოლო დამხმარე პროცესები აღწერილია: ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით, ბიბლიოთეკის დებულებით, საქმისწარმოების წესით.

ინდიკატორი 3.3.1.2 დაკმაყოფილებულია.

3.სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

სკოლას შემუშავებული აქვს საჩივრის განხილვის მარეგულირებელ წესი , რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით(ბრ. N26; 05/05/2026). დოკუმენტი მოიცავს შემდეგ საკითხებს: საჩივრის წარდგენის უფლებას და საგანს, საჩივრის წარდგენის ფორმას და წესს,საჩივრის განხილვის ორგანოს და პროცედურას. სკოლას აქვს საჩივრის ფორმის ნიმუში. დოკუმენტი განთავსებულია სკოლის ვებგვერზე, რაც უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომობას. გასაჩივრების რეგულაციების უფრო სრულყოფილი რეგულაციები წარმოდგენილია ,,სსიპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვინთის საჯარო სკოლისმოსწავლის, მათი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვისა და გასაჩივრების მარეგულირებელ დოკუმენტში (ბრ.N27; 05/05 2026) აღნიშნულიდან გამომდინარე,

ინდიკატორი 3.3.1.3 დაკმაყოფილებულია.

4.სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლას შემუშავებული აქვს „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის“ მექანიზმები. დოკუმენტის თანახმად, სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების კანონიერი უფლებების დაცვა. ამ მიზნით შემუშავებულია შემდეგი მარეგულირებელი დოკუმენტები და ფუნქციონირებს სტრუქტურული ორგანოები: სკოლას აქვს შინაგანაწესი, რომელიც არეგულირებს სკოლის თანამშრომლისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრების წესს,

მასწავლებლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში საქმისწარმოებას და სხვა კანონით გათვალისწინებულ პროცედურებს. შინაგანაწესში ასევე, გაწერილია წახალისების ფორმები. დაწესებულებაში მოქმედებს საჩივრების განხილვის სისტემა. სკოლაში ფუნქციონირებს სკოლის სამეურვეო საბჭო; სკოლას ჰყავს დისციპლინური კომიტეტი, სკოლის ექთანი. თითოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი, სადამრიგებლო პროგრამა ითვალისწინებს მშობლებისთვის მათი უფლებებისა და მოვალეობების გაცნობას, რაც გაწერილია სკოლის შინაგანაწესში, სასკოლო სასწავლო გეგმაში და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტებში. სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა. დასაქმებულთან და მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებებში დეტალურადაა გაწერილი მათი უფლება-მოვალეობები. სკოლის შინაგანაწესი და საჩივრების განხილვის მექანიზმები განთავსებულია ვებგვერდზე და საჯაროდაა ხელმისაწვდომი. მშობლებს აქვთ უფლება აქტიურად იყვნენ ჩართული სასკოლო ცხოვრებაში და სკოლის ადმინისტრაციასთან ერთად იზრუნონ სკოლის განვითარებისთვის. ინტერვიუს დროს მშობლებმა ისაუბრეს მათი ჩართულობით განხორციელებულ ღონისძიებებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე,

ინდიკატორი 3.3.1.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- სკოლაში საჩივრის განხილვის მარეგულირებელი მექანიზმი
- თანამშრომლებთან და მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
- სკოლის ვებგვერდი:სსიპ-ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვინთის საჯარო სკოლა
- მშობელთა ურთიერთობის დებულება

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები

სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები. კერძოდ, სკოლის ვებ/გვერდზე გამოქვეყნებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ: სტრუქტურა, შინაგანაწესი, განცხადებების და საჩივრების განხილვის წესი. მითითებულია სკოლის მისამართი, ელ. ფოსტა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა რაოდენობა, სწავლების ენა და საგანმანათლებლო სტატუსი, პირველკლასელთა ლიმიტი, მათ შორის სსსმ

მოსწავლის. სკოლა საკომუნიკაციოდ აქტიურად იყენებს მესინჯერ ჯგუფებს, მშობელთა კრებებს, მშობლებთან ინტერვიურებით ირკვევა, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებისთვის ინფორმირებისთვის მნიშვნელოვანი საშუალებაა ელ. ჟურნალი. ასევ ისაუბრეს დამრიგებლის როლზე სკოლასა და მშობელს შორის ინფორმაციის მიღების მიმართულებით. შემუშავებულია მშობელთან ურთიერთობის დებულება, რომელც განსაზღვრავს მშობელთან ურთიერთობის წესებსა და ნორმებს. სამეურვეო საბჭოში წარმოდგენილია სასკოლო საზოგადეობის წევრები, რომლებიც გადწყვეტილებას იღებენ სკოლის მართვის მნიშვნელოვან საკითხებზე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული მექანიზმები ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობას, უკუკავშირის მიღებასა და მიღებული შედეგების საფუძველზე საჭირო ცვლილებების განხორციელებას. რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს სკოლის მართვის პროცესი გახდეს საჭიროებებზე მორგებული და გაიზარდოს საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტურობა.

ინდიკატორი 3.3.2.1. დაკმაყოფილებულია

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

სკოლის სტრუქტურა მოიცავს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, პედაგოგიური საბჭო, რომელთა ფუნქციები განსაზღვრულია კანონმდებლობით და უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის ჩართულობას სკოლის მართვაში. ყველა სტრუქტურული რგოლის მუშაობის მთავარი მიზანი სკოლის მისიისა და სტრატეგიული მიზნების შესრულების ხელშეწყობა.

ინდიკატორი 3.3.2.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურა-ორგანოგრამა
- სკოლის ვებ- გვერდი:სსიპ-ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვინთის საჯარო სკოლა
- მშობელთან ურთიერთობის დებულება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.

დასკვნის პროექტის მიხედვით, ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მიზნით სკოლას აქვს: უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რას დასტურდება შესაბამისი კორესპოდენციით. (MIA 2 23 02056829; 17/07/2023). მიმართვა სახანძრო უსაფრთხოების სამსახურთან (MES 8 26 0000532591; 05/05/2026).

სკოლას ამ ეტაპზე არა აქვს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, თუცა გაგზავნილია წერილი აღნიშნული მომსახურეობის გასაწევად სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტრიზის ეროვნულ ბიუროში (MES 6 26 0000243824; 02/03/2026). აღნიშნულ საკითხთან მიმართებით წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა, რომელიც ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრვას 2026 წლის 30 მაისს. რამდენადაც აღნიშნული პროცესი მხოლოდ წერილის მიწერის ეტაპზეა და შემდგომის ნაბიჯების (მომსახურეობაზე ხელშეკრულება) დამადასტურებელი მტკიცებულებები არ არის წარმოდგენილი, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებს ექსპერტთა ჯგუფი ვერ იზიარებს. ფიზიკური უსაფრთხოების მიზნით შემოღობილია სკოლის ტერიტორია, თუმცა ალაგ-ალაგ დარღვეულია პერიმეტრის მთლიანობა, შესაკეთებელია ეზოს ჭიშკარიც. სკოლის ტერიტორია საკმაოდ დიდია, ღობის გარკვეული ნაწილები სკოლამ თავისი ძალებით განაახლა, თუმცა პრობლემა სრულად ვერ გამოსწორდა.

სკოლაში დასაქმებულია 3 დარაჯი. ჰყავს უფლებამოსილი პირი, შესაბამისი ტრეინინგ-მოდულით გადამზადებული, რაც დასტურდება სერთიფიკატით. სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი არ არის აღჭურვილი ვიდეოსათვალთვალო კამერებით. აღსანიშნავია, რომ სკოლის ეზოში განთავსებულია ორი ძველი ნაგებობა (ერთი ყოფილი სველი წერტილები და მეორე საწყობი გასათბობი საშუალებებისთვის), უსაფრთხოების მიზნით აღნიშნული შენობები დაკეტილია და არ წარმოდგენს საფრთხეს ბავშვისთვის. აქვე უნდა ითქვას, რომ ერთ-ერთ შენობასთან დასაწყობებულია გამოცვლილი სახურავი ე.წ შიფერი, რომელიც აზბესტის შემცველია და წარმოდგენს საფრთხეს ადამიანის ჯამრთელობისთვის. სკოლის ეზოში ასევე არის ძველი, გამოუყენებელი რკინის ნარჩენები, აღნიშნული საფრთხის შემცველია ფიზიკური დაზიანებისთვის.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას რომ სკოლის ინფრასტრუქტურა ვერ უზრუნველყოფს ფიზიკურად უსაფრთხო გარემის შექმნას, რამდენადაც სკოლა არა აქვს:

- ✓ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა
- ✓ დარღვეულია ეზოს ღობის მთლიანობა
- ✓ გასატანია ან შემოსაღობია სკოლის ეზოში არსებული რკინის ნარჩენები
- ✓ სკოლის ეზოს ტერიტორიიდან გასატანია აზბესტის ფილები

არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში, ინდიკატორთან მიმართებით გარკვეულ საკითხებზე წარმოდგენილია ხარვეზის გამოსწორების მტკიცებულებები, კერძოდ ფოტომასალა ეზოდან რკინის ნარჩენების და აზბესტის ფილების გატანის შესახებ. რაც შეეხება შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვებასა და ეზოს ღობის მთლიანობის აღდგენას, წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა, რომელიც განსაზღვრავს ხარვეზის გამოსწორების ვადებს 12 თვის განმავლობაში. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას და ცვლის ინდიკატორის შეფასებას. სკოლამ წარმოადგინა საექსპერტო მომსახურებუსლი ხელშეკრულება სამხარაულის ბიუროსთან.

რჩევა: სასურველია, სკოლას ჰყავდეს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა, აკრედიტებულ ორგანიზაციაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 3.4.1.1 მეტწილად დაკმაყოფილებულია

2.სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით, სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით.

სკოლის საშტატო ნუსხა მოიცავს ექთნის შტატს. ექთანს აქვს შესაბამისი განათლება. სკოლაში ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ კანონმდებლობით გათვალიწინებულ დოკუმენტაციის წარმოება, აღნიშნულიდან გამომდინარე,

ინდიკატორი 3.4.1.2 დაკმაყოფილებულია

3.სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

დასკვნის პროექტის მიხედვით, სკოლას ჰყავს გადამზადებული უფლებამოსილი პირი, 3 დარაჯი, რომლებიც უზრუნველყოფენ პირთა გადაადგილების კონტროლს სკოლის მთელ ტერიტორიაზე. შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებს სკოლის ტერიტორიაზე, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე. სკოლას არ ჰყავს მანდატურის სამსახური. სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი არ კონტროლდება ვიდეოსათვალთვალო კამერებით, რაც ვერ უზრუნველყოფს მუდმივ რეჟიმში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის გარანტიას.**არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში, ინდიკატორთან მიმართებით, წარმოდგრნილია შესაბამისობის გეგმა, რომელიც განსაზღვრავს ხავეზის გამოსწორების პერიოდს 2027 წლის 30 ივნისამდე და დაგეგმილ აქტივობებს ხარვეზის აღმოსაფხვრელად. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის პოზიციას და ინდიკატორის შეფასება იცვლება**

ინდიკატორი 3.4.1.3. მეტწილად დაკმაყოფილებულია

4.სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველსაყოფად დასაქმებულია ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალიტი სპეც. მასწავლებელი, რომელიც უზრუნველყოფს განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფის სსსმ მოსწავლეების ემოციურ, ფსიქოლოგიურ სტაბილურობასა და უსაფრთხოებას. ასევე სკოლას ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი და ენისა და მეტყველების სპეციალისტი. სკოლაში თითოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი, რომლებიც სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში ატარებენ ,, კლასის საათს", რომლის ფარგლებში განხილული საკითხები მოსწავლეებს ეხმარება პრივნულ ზრდაში და უზრუნველყოს სასკოლო გარემო გახდეს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო. მოსწავლეებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში განხილულ საკითხებზე, რომლებიც ეხება ბულინგს და ძალადობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლას აქვს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოსც შექმნის მექანიზმები.

ინდიკატორი 3.4.1.4 დაკმაყოფილებულია.

5.სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით, სკოლაში დასაქმებულია 2 დამლაგებელი, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შენობის შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას. სკოლაში არის სველი წერტილები. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათი. სკოლას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი. აღნიშნულიდან გამომდინარე

ინდიკატორი 3.4.1.5.დაკმაყოფილებულია

6.სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

დასკვნის პროექტის მიხედვით, სკოლაში პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით შემუშავებულია შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტი-,,პერსონალური მონაცემთა დაცვის პოლიტიკა" (ბრ.N34; 05.05.2026). წესი განსაზღვრავს სკოლაში

არსებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესებს და პროცედურებს, უზრუნველყოს დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვას, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.
ახალციხის რესურსცენტრის მიერ განსაზრვრულია პერსონალური მონაცემთა დაცვის ოფიცერი (MES 4 25 0000598640; 30/05/2025) განსაზღვრულია მისი სამუშაო აღწერილობაც (MES 6 25 0000607650; 02/06/2025). სკოლას აქვს პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე წერილობითი თანხმობის ფორმა. თუმცა შრომით ხელშეკრულებებში მაინც გვხვდება პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მუხლები, რაც ეწინააღმდეგება ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონს (მუხლი 32. პუნქტი-2.)კერძოდ, ხელშეკრულებაში პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე თანხმობის მოპოვების ჩაშენება არღვევს ნებაყოფლობითობის პრინციპს. ფაქტობრივად დასაქმებული ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, იძულებულია დაეთანხმოს პერსონალური მონაცემების დამუშავების ნაწილსაც. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლა ვერ უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას კანონმდებლობის შესაბამისად. **არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში, ინდიკატორთან მიმართებით, ნიმუშის სახით წარმოდგრნილია უფროსი მასწავლებლის შრომით ხელშეკრულება, რომელიც აღარ მოიცავს პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე თანხმობის მოპოვების საკითხებს, აღნიშნული ფორმები სკოლას აქვს ცალკე დოკუმენტის სახით. ხარვეზი აღმოფხვრილია და შესაბამისად იცვლება ინდიკატორის შეფასება**

ინდიკატორი 3.4.1.6 დაკმაყოფილებულია

7.სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები. სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა/ვებგვერდი არის ლიცენზირებული. დირექტორი და ადმინისტრაციული პერსონალი, რომლებიც მუშაობენ პერსონალურ მონაცემებზე, იყენებენ ინდივიდუალურ კომპიუტერებს, რომელთა ხელმისაწვდომობა შეზღუდულია პაროლების გამოყენებით. სხვადასხვა ელექტრონულ პლატფორმებზე (eschool, eflow, ელექტრონული ფოსტა, ელექტრონული ჟურნალი) წვდომა ხორციელდება პერსონალური მომხმარებლის სახელისა და პაროლის მეშვეობით. პირადი საქმეები ინახება დაკეტილ კარადაში, მის შენახვასა და დაცვაზე პასუხისმგებელი პირია სკოლის საქმისმწარმოებელი.

ინდიკატორი 3.4.1.7 დაკმაყოფილებულია.

8.სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო და განსაზღვრულია უსაფრთხოების მიმართულებით პასუხისმგებელი პირი, რომელიც რეგულარულად ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მონიტორინგს. მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე განხილული საკითხები ადასტურებს, რომ სკოლა სისტემურად აკონტროლებს უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვას, აფასებს არსებულ მდგომარეობას და გეგმავს შესაბამის გაუმჯობესების ღონისძიებებს. აღნიშნული სხდომები გამოიყენება იმ აქტივობების დაგეგმვისთვის, რომლებიც მიზნად ისახავს

ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების გაძლიერებას მშობლებთან და მოსწავლეებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ ისინი სკოლაში თავს უსაფრთხოდ და დაცულად გრძნობენ
ინდიკატორი 3.4.1.8 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ-ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვინთის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N 34-ით დამტკიცებული-პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი
- ახალციხის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის 2025 წლის 30 მაისი ბრ.MES 4 25 0000598640; პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის განსაზღვრისა
- უფლებამოსილ ორგანოსთნა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების წერილი MIA 2 23 02056829; 17/07/2023
- წერილი MES 6 26 0000243824; 02/03/2026 -სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის
- მიმართვა სახანძრო უსაფრთხოების სამსახურთან- MES 8 26 0000532591; 05/05/2026
- ექთანის პირადი საქმე
- ხელშეკრულება დარაჯთან
- ხელშეკრულება დამლაგებელთან
- შესაბამისობის გეგმა
- საშტატო განრიგი
- დამრიგებლის პორტფოლიო
- კლასის საათის სამოქმედო გეგმა
- უფლებამოსილი პირის პირადი საქმე
- საექსპერტო მომსახურეობის ხელშეკრულება

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

დასკვნის პროექტის მიხედვით, საჯარო რეესტრის ამონაწერით, სსიპ- ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვინთის საჯარო სკოლა ფუნქციონირებს ახალციხის მუნიციპალიტეტში სოფელ ჭვინთაში განთავსებულ ერთსართულიან შენობაში. სკოლის შენობა, შესაბამისი მიწის ფართით სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაეცა არსებობის ვადით. სკოლის შენობის საერთო ფართია-490 კვ.მ. მიწის განაშენიანების ფართია-14361 კვ.მ

სკოლის შენობა ახლი გარემონტებულია. შენობის ინფრასტრუქტურა მოიცავს ერთ დერეფანს და მის ორივე მხარეს განლაგებულ ოთახებს. სკოლაში სულ 10 საკლასო ოთახია. გარდა საკლასო ოთახებისა, არის სამასწავლებლო, რესურსოთახი, სამედიცინო კაბინეტი, დირექციის ოთახი, სადაც მოწყობილია დირექტორისა და საქმისმწარმოებლის სამუშაო სივრცეები. კომპიუტერული კლასი განთავსებულია ერთ-ერთ საკლასო ოთახში. ასევეა ბიბლიოთეკაც. სველი წერტილებისთვის გამოყოფილია ერთი სივრცე, სადაც პრივატულობის დაცვით განთავსებულია ბიჭების, გოგონების, თანამშრომლები და შშმ პირისთვის საპირფარეშოები.

საკლასო ოთახები აღჭურვილია მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი მერხებით, სკამებით, მასწავლებლის მაგიდით, სკამით და სასწავლო დაფით. სკოლას არა აქვს სპორტული დარბაზი და საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. სკოლას აქვს დიდი ეზო, სადაც მოწყობილია სპორტული მოედანი. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების და ბიბლიოთეკისთვის სივრცეების გამოყოფის შესახებ სკოლას დახმარების წერილი აქვს მიწერილი საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსთან. სკოლას აქვს ცენტრალური გათბობა.

სახელმწიფოსგან ქონება გადაცემულია არსებობის ვადით, რაც იძლევა გარანტიას სკოლა, ავტორიზაციის პერიოდში, უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი ინფრასტრუქტურით და მატერიალურ რესურსით. თუმცა არსებული ინფრასტრუქტურა და მატერილური რესურსი არ არის საკმარისი სრულფასოვანი სასწავლო პროცესის განსახორციელებლად. კერძოდ, სკოლას აქვს 56 -

მოსწავლის მერხი, 63-სკამი, კომპიუტერი -20. როგორც აღვნიშნეთ სკოლაში 10 საკლასო ოთახია. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ერთ ცვლაში. ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს ერთი კლასი (მე-9კლასი), ხოლო მე-12 კლასისთვის გათვალიწინებულია ე.წ შეჭრილი ცვლა, პირველი კლასის სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ. მიზანშეწონილია ყველას კლასს ჰქონდეს თავისი საკლასო ოთახი, რათა მოსწავლეებმა იგრძნონ თავი სასკოლო საზოგადოების სრულფასოვან წევრად. რამდენადაც სკოლაში სასწავლო პროცესი, ერთ ცვლაში უნდა განხორციელდეს სამივე საფეხურზე, სკოლას სჭირდება 12 საკლასო ოთახი. ასევე, სასწავლო პროცესის სრულფასოვანი განხორციელებისთვის საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, საბიბლიოთეკო სერვისი მიწოდება და კომპიუტერული კლასის მომსახურეობა. მნიშვნელოვანია რეგიონის კლიმატური პირობებიც, გარე სპორტული ინფრასტრუქტურა ვერ იქნება სასწავლო პროცესის უმეტეს პერიოდში გამოყენებული. საჭიორა შიდა სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობაც. ამ ეტაპისთვის არსებული მატერიალური რესურსი არ არის დამაკმაყოფილებელი ავტორიზაციის განაცხადით მოთხოვნილი 120 მოსწავლისთვის.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა არ იძლევა შესაძლებლობას სრულფასოვანი სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის, ხოლო მატერიალური რესურსი, კერძოდ, მერხები და სკამები არ არის საკმარისი ერთ ცვლაში მოემსახუროს 120 მოსწავლეს. **არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში, ინდიკატორთან მიმართებით, წარმოდგრნილია შესაბამისობის გეგმა, რომელიც განსაზღვრავს ხავეზის გამოსწორების პერიოდს 2028 წლის 30 ივნისამდე და დაგეგმილ აქტივობებს ხარვეზის აღმოსაფხვრელად. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის პოზიციას და ინდიკატორის შეფასება იცვლება**

ინდიკატორი 3.5.1.1 ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.

2.დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

სკოლის აქვს საერთო სარგებლობის ეზო, ფართო დერეფანი, რომელიც გამოიყენება სასკოლო ღონისძიებებისთვის, რაც თვალსაჩინო იყო ვიზიტის დროს, კერძოდ, მოწყობილი იყო თეატრის დეკორაციები. სკოლაში არის სამასწავლებლო, რომელიც აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით. სკოლა უზრუნველყოფილია სამედიცინო კაბინეტით. კომპიუტერული მომსახურეობით, შეძლებისდაგვარად სთავაზობს საბიბლიოთეკო სერვისს. სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსით სარგებლობის და ბიბლიოეკით სარგებლობის წესები. აღნიშულიდან გამომდინარე,

ინდიკატორი 3.5.1.2. დაკმაყოფილებულია

3.სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

დასკვნის პროექტის მიხედვით, სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისის მიწოდებას, მის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკა მოწყობილია ერთ-ერთ საკლასო ოთახში. წიგნები განთავსებულია დახურულ კარადებში. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი. სკოლაში სულ აღრიცხულია 847 ერთეული წიგნი. შემთხვევითობის პრინციპით წიგნების დათვალიერებით დგინდება, რომ წიგნების დამუშავება ხდება საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. სკოლას განსაზღვრული აქვს ბიბლიოთეკის სამუშაო გრაფიკი და ითვალისწინებს დღის მეორე ნახევარს, რამდენადაც ბიბლიოთეკა განთავსებულია ერთ-ერთ საკლასო

ოთახში. სკოლას სურვილი აქვს გაიუმჯობესოს საბიბლიოთეკო სერვისის მიწოდებისთვის ინფრასტრუქტურა, რისთვისაც მიმართა საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლა სრულფასოვნად ვერ უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისის მოწოდებას, რამდენადაც არა აქვს შესაბამისი ინფრასტრუქტურა (განთავსებულია ერთ-ერთ საკლასო ოთახში) და იზღუდება მთელი სასწავლო დღის განმავლობაში ბიბლიოთეკით სარგებლობის ხელმისაწვდომობა. (სამუშაო საათები გათვალიწინებული დღის მეორე ნახევარში) **არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში, ინდიკატორთან მიმართებით, წარმოდგრნილია შესაბამისობის გეგმა, რომელიც განსაზღვრავს ხავეზის გამოსწორების პერიოდს 2028 წლის 30 ივნისამდე და დაგეგმილ აქტივობებს ხარვეზის აღმოსაფხვრელად.ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის პოზიციას და ინდიკატორის შეფასება იცვლება**

ინდიკატორი 3.5.1.3 ნაწილორივ დაკმაყოფილებულია

4.სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

დასკვნის პროექტის მიხედვით, სკოლის ინფრასტრუქტურა სრულად ვერ ქმნის ინკლუზიურ გარემოს, რამდენადაც შენობის შესასვლელი კიბე არ არის პანდუსით უზრუნველყოფილი. სკოლას აქვს ადაპტირებული სველი წერტილი და სათანადო რესურსებით აღჭურვილი რესურსოთახი. პანდუსთან მიმართებით სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, თუმცა ხარვეზის აღმოფხვრისთვის გაწერილია ვადები (23/02/2026-2026 წლის სექტემბერი) და შესაბამისი შეფასება (ნაწილობრივ) არ არის ერთმანეთან შესაბამისობაში. პანდუსის მოწყობის შესახებ სკოლამ დახმარებისთვის მიმართა საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს (MES 6 26 0000226616; 26/02/2026). თუმცა ამ ეტაპზე კონკრეტული ნაბიჯები არ იკვეთება 2026 წლის სექტემბრისთვის ხარვეზის აღმოსაფხვრელად, აღნიშნულიდან გამომდინარე შესაბამისობის გეგმა არ არის გაზიარებული ექსპერთა მიერ. **არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში, ინდიკატორთან მიმართებით, წარმოდგრნილია შესაბამისობის გეგმა, რომელიც განსაზღვრავს ხავეზის გამოსწორების პერიოდს 2026 წლის 30 ივნისამდე და დაგეგმილ აქტივობებს ხარვეზის აღმოსაფხვრელად.ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის პოზიციას და ინდიკატორის შეფასება იცვლება.**

ინდიკატორის 3.5.1.4 ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.

5.სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლის ინფრასტრუქტურა მეტ-ნაკლებად იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ იგი ჩამოყალიბდეს სოციო-კულტურულ სივრცედ. სკოლას აქვს დიდი ეზო, სპორტული მოედანი, რომლებიც იძლევა შესაძლებლობას ჩატარდეს მრავალფეროვანი სპორტული და გასართობი ღონისძიებები, სამასწავლებლო, თავისი აღჭურვილობით წარმოადგენს ინდივიდუალური, გუნდური და თანამშრომლობით საქმიანობის გარემოს. სკოლის ფართე დერეფანი საშუალებას იძლევა მრავალფეროვანი აქტივობების განსახორციელებლად. სკოლის შენობის სივრცის ვიზუალური დათვალიერებით ნათლად ჩანს, რომ სკოლა ეკუთვნის სასკოლო საზოგადოებას და იგი წარმოადგენს სოციო-კულტურულ სივრცეს.

ინდიკატორი 3.5.1.5 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერით საჯარო რეესტრიდან
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი
- სსიპ-ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვინთის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N 24-ით დამტკიცებული-მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი
- 2026 წლის 26 თებერვლის წერილი MES 6 26 0000226616-საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს.
- ინვენტარიზაციის სხდომის ოქმი
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას

სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. ერთ-ერთ საკლასო ოთახში მოწყობილია კომპიუტერული კლასი, სადაც დგას ინტერნეტქსელში ჩართული 7 კომპიუტერი. სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი, რომელიც მოიცავს ისტ ლაბოლატირიის გამოყენების წესებს.

კომპიუტერებით უზრუნველყოფილია სკოლის დირექტორი, საქმისმწარმოებელი და სამსწავლებლო დამრიგებლები. სკოლას აქვს ინტერნეტი. მოსწავლეებს და დასაქმებულებს შესაძლებლობა აქვთ სასწავლო მიზნებისათვის ისარგებლონ სკოლის კომპიუტერული ინფრასტრუქტურით. სკოლის ბალანსზეა- 20 კომპიუტერული ტექნიკა. სამი პრინტერი, მათ შორის ერთი ფერადი. პროექტორი -2,

ინდიკატორი 3.6.1.1. დაკმაყოფილებულია.

2.ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, სადაც გაწერილია ისტ-ის ლაბოლატორიით სარგებლობის რეგულაციები. კომპიუტერული კლასი განთავსებულია ერთ-ერთ საკლასო ოთახში, როგორც დირექტორმა აღნიშნა სკოლას აქვს მოქნილი მექანიზმი (საგაკვეთილო ცხრილი), რაც საშუალებას აძლევს საჭიროების შემთხვევაში ყველაკლასისთვის ხელმისაწვდომი იყოს კომპიუტერული ტექნიკა.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 3.6.1.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ-ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვინთის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N 24-ით დამტკიცებული- მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი
- სკოლის ინვენტარიზაციის დოკუმენტი

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი

დასკვნის პროექტის მიხედვით, სკოლამ ავტორიზაციის განაცხადით წარმოადგინა საქმისწარმოების წესი, რომელიც არ არის დამტკიცებული უფლებამოსილი პირის მიერ და მასში იკითხება სხვა სკოლის დასახელება. რაც ექსპერტული შეფასებით ვერ მიიჩნევა სანდო მტკიცებულებად.

ადგილზე ვიზიტის დროს საქმისწარმოების პროცესის შესწავლის შედეგედ დგინდება, რომ სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული („eflow") და მატერიალური ფორმით. სკოლა აწარმოებს: შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო, საკადრო ბრძანებების აღრიცხვის და საერთო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალებს. ასევე გასული და შემოსული დოკუმენტაციის აღრიცხვას. საქმისწარმოების ჟურნალები დანომრილია, აკინძულია და აქვს სკოლის ბეჭედი. სკოლას შრომით ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული ჰყავს საქმისმწარმოებელი.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლას არა აქვს უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული საქმისწარმოების სანდო წესი, რომლის შესაბამისად უნდა განახორციელოს პროცესი. **არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში, ინდიკატორთან მიმართებით წარმოდგენულია ბრძანება N50 სსიპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვინთის საჯარო სკოლის საქმის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ, რაც უზრუნველყოფს დადგენილი ხარვეზის გამოსწორებას, შესაბამისად**

ინდიკატორი 3.6.2.1. დაკმაყოფილებულია.

2.სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემას.

სკოლას აქვს eschool.emis.ge-ს ერთიანი ბაზა. ინფორმაციისა და კორესპოდენციის მისაღებად გამოიყენება ელექტრონული ფოსტა:**chvinta@mes.gov.ge**. პირველკლასელთა რეგისტრაციას სკოლა ახორციელებს ბმულზე:registration.emis.ge .

ინდიკატორი 3.6.2.2 დაკმაყოფილებულია.

3.სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში eSchool.emis.ge კანონმდებლობით დადგენილი წესით ასახული აქვს სკოლის ძირითადი ინფორმაცია. საინფორმაციო ბარათში შეყვანილია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და საბანკო რეკვიზიტები. ბაზაში ასახული სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეთა და მათ მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა მონაცემები,საკონტაქტო ინფორმაციები. ხდება მოსწავლეთა მობილობის, ჩარიცხვა ამორიცხვის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცესები. ასევე შეყვანილია ინფორმაცია სამეურვეო საბჭოს წევრების შესახებ.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 3.6.2.3. დაკმაყოფილებული

4.სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან, რაც დასტურდება მტკიცებულებებით. კერძოდ, სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად რეგულარულად აწვდიდა ინფორმაციებს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს და თანამშრომლობს მათთან.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 3.6.2.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი
- ბრძანება N50 სსიპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვინთის საჯარო სკოლის საქმის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ
- ხელშეკრულება საქმისმწარმოებელთან
- საქმისწარმოების ჟურნალები
- ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული პროფილი.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით

სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით . სკოლას აქვს ვებ გვერდი სსიპ-ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვინთის საჯარო სკოლა, რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. კერძოდ, საკომუნიკაციოდ მასზე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია: სკოლის ელ.ფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი, მისამართი. საინფორმაციო

ფუნქციის შესრულების მიზნით ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის საქმიანობის შესახებ. გარკვეული სახის ინფორმაციის მიღება და დამუშავება ხდება სკოლის ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. ასევე სკოლის ფოიეში განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც ხდება სასკოლო ცხოვრებაში მიმდინარე სიახლეების გამოქვეყნება. მშობლებთან ურთიერთობას არეგულირებს მშობელთან ურთიერთობის დებულება. მშობლებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ აქტიურად გამოიყენებენ კლასის მესინჯერ ჯგუფებს, სისტემატიური კომუნიკაცი აქვთ დამრიგებელთან მესინჯერ ჯგუფების საშულებით და დამრიგებელი წარმოადგენს სკოლასა და მშობელს შორის მნიშვნელოვან საკომუნიკაციო ხიდს.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 3.6.3.1. დაკმაყოფილებულია

2.სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას

სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას სკოლის ვებ/გვერდზე და სოციალურ ქსელში ინფორმაციის გამოქვეყნებაზე დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პასუხისმგებელი. სკოლის სივრცეში, საჯაროდ განთავსებულია მოსწავლეთა მიერ განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალები, რომლების სანდო და უტყუარია.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 3.6.3.2. დაკმაყოფილებულია.

3.საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად

სასკოლო საზოგადოების აზრის კვლევის მიზნით სკოლა იყენებს გამოკითხვის მეთოდს. სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ სკოლა ითავლიწინებს მათ აზრს. კერძოდ, მშობლების და მოსწავლეების სურვილი იყო სკოლაში არაფორმალური განათლების გააქტიურება. ამ მიმართულებით სკოლაში ფუნქციონირებს ჭადრაკის წრეს, ისტორიის წრე „მემატიანე". წარმოდგენილი მშობელთა კითხვარით ჩანს, რომ სკოლა იკვლევს მათ სურვილებს და ინტერესებს, თუ როგორი ტიპის ღონისძიებების და ექსკურსიების განხორციელებას ისურვებდნენ სკოლაში და სახის საკითხების განხილვას ,, კლასის საათზე" ასევე რა ფორმის ჩართულობა იქნება მათთვის მისაღები.

ინდიკატორი 3.6.3.3 დაკმაყოფილებულია

4.სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი სსიპ-ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვინთის საჯარო სკოლა რომელზეც განთავსებულია სკოლის შესახებ ინფორმაცია ქართულ ენაზე

ინდიკატორი 3.6.3.4 დაკმაყოფილებულია

5.ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

დასკვნის პროექტის მიხედვით, სკოლას აქვს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ შექმნილ სკოლების პორტალზე skolebi.emis.ge შესაბამისი გვერდი სსიპ-ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვინთის საჯარო სკოლა , სადაც გასაჯაროებულია სასკოლო დოკუმენტაცია (ხედვა, მისია, ღირებულებები, შინაგანაწესი, სტუქტურა, სამოქმედო გეგმა, საჩივრების განხილვის წესი, დისციპლინური კომიტეტის დებულება სკოლის ინფრასტრუქტურის ფოტომასალა, ინვენტარიზაციის შედეგების ოქმი) და ძირითადი ინფორმაცია სკოლის შესახებ (მისამართი, საკონტაქტო მონაცემები, მოსწავლეთა და პედაგოგთა რაოდენობა, პირველკლასელთა ლიმიტი, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები.

სკოლის ვებგვერდი არ მოიცავს იდიკატორით გათვალიწინებულ შემდეგ საკითხებს: მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისებს, სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგებს, პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურებს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიშს. რაც შეეხება სტრატეგიული გეგმის შესრულების შედეგების გამოქვეყნებას, ამის დრო სკოლისთვის ჯერ არ დამდგარა. **არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში, ინდიკატორთან მიმართებით, წარმოდგრნილია შესაბამისობის გეგმა, რომელიც განსაზღვრავს ხავეზის გამოსწორების პერიოდს 2026 წლის 7 სექტემბრამდე და დაგეგმილ აქტივობებს ხარვეზის აღმოსაფხვრელად.ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის პოზიციას და ინდიკატორის შეფასება იცვლება**

ინდიკატორი 3.6.3.5. მეტწილად დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ/გვერდი: სსიპ-ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვინთის საჯარო სკოლა
- კითხვარი
- სსიპ-ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვინთის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N 28-ით დამტკიცებული-მშობელთან ურთიერთობის დებულება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

დასკვნის პროექტის მიხედვით, სკოლას აქვს უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებული 2026 წლის ბიუჯეტი. წარმოდგენილი დოკუმენტაციით (სკოლის ფინანსური შედეგების აქტი, ინვენტარიზაციის შედეგების ანგარიში და 2025 წლის ფინანსური ანგარიშგების მასალები) დგინდება, რომ ბიუჯეტი შემუშავებულია რეალური გათვლებისა და გაანგარიშების საფუძველზე, როგორც შემოსავლების ასევე ხარჯვით ნაწილში. სკოლის მიერ წარმოდგენილი 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმა არ მოიცავს დაგეგმილი აქტივობებისთვის რესურსებით, მათ შორის ფინანსური რესუსებით უზრუნველყოფის საკითხებს. შესაბამისად ვერ გდინდება სკოლის ბიუჯეტი რამდენად შეუწყობს ხელს სამოქმედო გეგმის განხორციელებას. **არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში, ინდიკატორთან მიმართებით, წარმოდგრნილია შესაბამისობის გეგმა, რომელიც განსაზღვრავს ხავეზის გამოსწორების პერიოდს 2026 წლის 15 სექტემბრამდე და დაგეგმილ აქტივობებს ხარვეზის აღმოსაფხვრელად.ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის პოზიციას და ინდიკატორის შეფასება იცვლება**

ინდიკატორი 3.7.1.1 მეტწილად დაკმაყოფილებულია

2.სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

საჯარო სკოლის წესდებით დადგენილია სკოლის ფინანსური რესურსების დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის სისტემა. სკოლის მიმდინარე ხარჯების დაფინანსება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფოს მიერ ვაუჩერის გაცემით. სკოლა ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება. სკოლის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტრო, სახელწიფო კონტროლი გულისხმობს სკოლის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობის და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას. სკოლის ბიუჯეტს შეიმუშავებს ბუღალტერი წინა წლის ბიუჯეტის ანალიზის, სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით და წარუდგენს დირექტორს. დირექტორს საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ცვლილება და მომზადებულ ბიუჯეტის გეგმის პროექტს წარუდგენს სამეურვეო საბჭოს წევრებს განსახილველად. მოწოდებული რეკომენდაციების და შენიშვნების კორექტირების შემდეგ უკვე ხდება მისი დამტკიცება სამეურვეო საბჭოზე და ფორმდება ოქმი. საჭირო ცვლილებების შეტანის შემთხვევაში კვლავ ხდება სამეურვეო საბჭოს მოწვევა და ბიუჯეტის კორექტირებული გეგმის დამტკიცება. ყოველი წლის ბოლოს სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს წლიური ბიუჯეტის ანგარიშს, სადაც ხდება სამეურვეო საბჭოს წევრებისთვის, დაგეგმილი ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯვითი ნაწილის დეტალური გაცნობა.

ინდიკატორი 3.7.1.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის 2026 წლის ბიუჯეტი
- 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმა
- სამეურვეო საბჭოს ოქმი-ბიუჯეტის დამტკიცება
- 2025 წლის ფინანსური ანგარიშგების მასალები
- ფინანსური შედეგების აქტი
- ინვენტარიზაციის შედეგების ანგარიში

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა

სკოლაში შექმნილია და მოქმედებს მოსწავლეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისკენ მიმართული მარეგულირებელი დოკუმენტების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების პრაქტიკაში რეალიზებასა და დაცვას. დაწესებულებაში დამტკიცებულია შინაგანაწესი, რომელიც არეგულირებს სასწავლო პროცესის ორგანიზების საკითხებს, უსაფრთხო და თანასწორი გარემოს უზრუნველყოფას, დისკრიმინაციის პრევენციას, მოსწავლეთა ქცევის ნორმებს, აგრეთვე წახალისებისა და დისციპლინური ღონისძიებების გამოყენების წესებსა და მექანიზმებს.

სკოლაში მოქმედი სასკოლო სასწავლო გეგმა და საგნობრივი კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებზე და ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმითა და ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. ამასთანავე, აღნიშნული დოკუმენტები ხელს უწყობს ხარისხიან განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას ყველა მოსწავლისათვის.

უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიმართულებით სკოლა საქმიანობას წარმართავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით განსაზღვრული წესებისა და პირობების შესაბამისად. გარდა ამისა, სკოლაში მოქმედებს სპეციალური დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლეთა უფლებების დაცვის ვალდებულებებს.

დაწესებულებაში ასევე დანერგილია „პერსონალური მონაცემების დაცვის წესი“, რომელიც არეგულირებს მონაცემთა დამუშავების, დაცვისა და კონტროლის პროცედურებს.

სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ მონაწილეობას სკოლის მართვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

აღნიშნულის გათვალიწინებით ინდიკატორი 4.1.1.1 დაკმაყოფილებულია

2.მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

სკოლაში მოსწავლეთა კანონით განსაზღვრული უფლებების დაცვის მექანიზმები არის გამჭვირვალე, ხელმისაწვდომი და ყველასათვის გასაგები. დაწესებულებას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი და სხვა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები, რომლებიც განთავსებულია ღია და ხელმისაწვდომ სივრცეში, რაც უზრუნველყოფს მათი საჯაროობისა და გაცნობის შესაძლებლობას სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის.

მოსწავლის უფლებებთან დაკავშირებული ძირითადი დოკუმენტები მათ შორის შინაგანაწესი, განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის რეგულაციები ხელმისაწვდომია სკოლის ვებგვერდზე ყველა დაინტერესებული პირისთვის. ამასთანავე, სკოლასა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს შინაგანაწესთან დაკავშირებულ დებულებებს, ხოლო მისი გაცნობა დასტურდება შესაბამისი ხელმოწერით.

სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებსა და მათ მშობლებს აცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტაციას, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობას, საერთო წესების გაცნობიერებასა და ერთიან, წესებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო გარემოს ჩამოყალიბებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 4. 1.1.2. დაკმაყოფილებულია

3.მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება

მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს და არეგულირებს მხარეებს შორის ურთიერთობებს. ხელშეკრულება მოიცავს ძირითად საკითხებს, მათ შორის: ხელშეკრულების თარიღსა და ნომერს, საგანს, სკოლის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს, მოქმედების ვადას, შეწყვეტის პირობებსა და სხვა მნიშვნელოვან დებულებებს.

ამასთანავე, შინაგანაწესი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, რაც უზრუნველყოფს მის ფარგლებში განსაზღვრული ნორმებისა და მოთხოვნების სავალდებულო შესრულებას და ქმნის ერთიან მარეგულირებელ ჩარჩოს სკოლასა და კანონიერ წარმომადგენელს შორის ურთიერთობების წარმართვისათვის.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 4.1.1.3. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა და საგნობრივი კურიკულუმები;
- შინაგანაწესი;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- მშობელთა კრების ოქმი;
- ხელშეკრულება მშობელთან/ კანონიერ წარმომადგენელთან;
- განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი;
- ვებგვერდი სკოლების პორტალზე;
- დამრიგებლის მუშაობის დებულება;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები

მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცესებში სკოლა მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, მათ შორის ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №04/ნ ბრძანებით განსაზღვრული რეგულაციებით.

ამასთანავე, სკოლაში შემუშავებულია შიდა მარეგულირებელი დოკუმენტი - „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“ (ბრ N21; 04.05.2026), რომელიც მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში განსაზღვრავს მოსწავლის რეგისტრაციის, ჩარიცხვის, სტატუსის ცვლილებისა და კლასიდან კლასში გადაყვანის პროცედურებს. კლასისა და საფეხურის დაძლევის პირობები ასევე გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში.

აღნიშნული პროცედურები და რეგულაციები არის საჯარო, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი როგორც სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის, ისე სხვა დაინტერესებული პირებისთვის.

ინდიკატორი 4.1.2.1. დაკმაყოფილებულია

2.სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს

სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვასთან, საფეხურის დაძლევასთან, მობილობასა და სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებული ყველა პროცედურა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით. მოსწავლის ჩარიცხვა ხდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე, დადგენილი წესებისა და ვადების შესაბამისად და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენით.

მოსწავლეთა მიღების პროცესში სკოლა ხელმძღვანელობს განათლების ხელმისაწვდომობისა და თანასწორობის პრინციპით, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლისათვის თანაბარ პირობებსა და შესაძლებლობებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.1.2.2. დაკმაყოფილებულია

3.სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებითა და მშობელთა კრების ოქმებით დადგინდა, რომ დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს, სასკოლო სასწავლო გეგმასა და სკოლაში დაგეგმილი პროექტების შესახებ ინფორმაციას. სასწავლო წლის დასაწყისშივე ხდება მოსწავლისა და მისი მშობლების ინფორმირება მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენის შემთხვევაში მოსალოდნელი სავარაუდო შედეგების შესახებ. დამრიგებლების მიერ მშობლებსა და მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია წლის განმავლობაში გამოცხადებული კონკურსების, ოლიმპიადების და ღონისძიებების შესახებ, აგრეთვე, სასკოლო ექსკურსიებისა და სკოლაში კონკრეტულ სასწავლო წელს დაგეგმილი პროექტების შესახებ. მოსწავლეთა სურვილებისა და ინტერესების გათვალიწინებით სკოლაში ფუნქციონირებს ისტორიის მოყვარულთა წრე „მემატიანე“ და ჭადრაკის წრე „მძლეოსანი“, ინგლისური ენის წრე.

 წარმოდგენილ ინფორმაციზე დაყრდნობით შეიძლება დავადგინოთ, რომ სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.1.2.3. დაკმაყოფილებულია

4.სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

სკოლის მიერ სასწავლო, სააღმზრდელო და დამატებითი აქტივობების, სერვისებისა და პროგრამების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია არის საჯარო, გამჭვირვალე და რეგულარულად განახლებადი. სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგები სისტემატურად უზრუნველყოფენ საზოგადოების ინფორმირებას როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისა და ინიციატივების შესახებ.

გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ თანამშრომლები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ინფორმაციის სიზუსტეს, ობიექტურობასა და დროულ გავრცელებას. ინფორმაცია ხელმისაწვდომია როგორც სკოლის საინფორმაციო დაფაზე, ისე სოციალურ ქსელში (Facebook), ხოლო მშობლებთან კომუნიკაცია ხორციელდება რეგულარული შეხვედრების ფორმატში.

მასწავლებლების განმარტებით, სკოლის ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსებას უზრუნველყოფს საქმის მწარმოებელი, ხოლო სოციალურ ქსელში ინფორმაციის გავრცელებაზე პასუხისმგებელია ინგლისური ენის მასწავლებელი.
სკოლასა და მშობლებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ასევე ითვალისწინებს სასწავლო წლის დასაწყისში სასკოლო სასწავლო გეგმის ძირითადი საკითხების გაცნობას. სკოლა ზრუნავს, რომ გავრცელებული ინფორმაცია იყოს სანდო, თანაბრად ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის და არ შეიცავდეს დისკრიმინაციულ ან შეუსაბამო შინაარსს.

ინდიკატორი 4.1.2.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ხელშეკრულება მშობელთან/ კანონიერ წარმომადგენელთან;
- მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის,სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;
- დამრიგებლის დებულება;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- მოსწავლის ჩარიცხვის ბრძანება;
- დაწესებულების გვერდი სკოლების პორტალზე და სოციალურ ქსელში;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი

სკოლას შემუშავებული და სკოლის დირექტორის 2026 წლის 4 აპრილის N 23 ბრძნებით დამტკიცებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, რომელიც წარმოადგენს შიდა მარეგულირებელ დოკუმენტს და მიზნად ისახავს მოსწავლეების სასკოლო ცხოვრებაში ეფექტიან ინტეგრირებას. დოკუმენტი განსაზღვრავს ადაპტაციის პროცესის ძირითად მექანიზმებსა და პროცედურებს. მისი მოქმედება ვრცელდება მოსწავლეებზე, მათ მშობლებზე და სკოლის პერსონალზე. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ახალი მოსწავლის სწრაფ სოციალიზაციასა და შესაბამისი უნარების განვითარებაზე, ამასთან ითვალისწინებს ინდივიდუალურ თავისებურებებსა და სასკოლო მზაობის დონეს. ადაპტაციის წესი დეტალურად აღწერს პირველკლასელთა, სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლის და მობილობით გადმოსული მოსწავლის ადაპტაციის პროცესები. პროცესის წარმატებით განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია მასწავლებლებისა და მშობლების აქტიური და პოზიტიური ჩართულობა.

ინდიკატორი 4.2.1.1. დაკმაყოფილებულია

2.სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

მოსწავლის ადაპტაციის წესის მე-7 მუხლით განსაზღვრულია ,,მოსწავლეთა მიღება, სწავლის დაწყების პირველი დღე", სადაც აღნიშნულია, რომ სასწავლო წლის დაწყებისას პირველ დღეს სასწავლო პროცესი ტარდება განსხვავებული ფორმატით. სკოლის ეზოში ეწყობა საზეიმო დახვედრა. აღნიშნული ღონისძიების/აქტივობის მიზანია სხვადასხვა აქტივობების მეშვეობით მოსწავლეების უკეთ გაცნობა და დაახლოება.

სკოლა ადასტურებს მზადყოფნას, „მოსწავლეთა ადაპტაციის წესის" შესაბამისად უზრუნველყოს მოსწავლეთა ეფექტიანი ინტეგრაცია სასკოლო გარემოში. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, აღნიშნულ პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დამრიგებლის როლს. დამრიგებელი უზრუნველყოფს ახალი მოსწავლის კლასში წარდგენას, ხელს უწყობს თანატოლებს შორის კომუნიკაციის ჩამოყალიბებას და აქტიურად თანამშრომლობს მშობლებთან, მათ შორის ახალი მოსწავლის მშობლის დანარჩენ მშობლებთან გაცნობას. დებულების შესაბამისად, მოსწავლის ადაპტაციის პროცესში მხარდაჭერა დამრიგებლის ერთ-ერთ ძირითად ვალდებულებას წარმოადგენს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.1.2. დაკმაყოფილებულია

3.მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების ხელშეწყობას. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სწავლა-სწავლების პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა პროგრესსა და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურ განვითარებაზე. ამ მიზნით გამოიყენება თანამედროვე სწავლების მეთოდები და უზრუნველყოფილია ეფექტური უკუკავშირი, მათ შორის განმავითარებელი კომენტარები. საჭიროების შემთხვევაში იგეგმება დამატებითი კონსულტაციები და მხარდაჭერის

ღონისძიებები, განსაკუთრებით აკადემიური სირთულეების დაძლევის მიზნით. სკოლა ასევე რეგულარულად აწვდის მშობლებს ინფორმაციას მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.1.3. დაკმაყოფილებულია

4.სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა კანონით განსაზღვრული უფლებების რეალიზებას შესაბამისი ადმინისტრაციული მხარდაჭერის გზით. პირველკლასელთა რეგისტრაციის პროცესის შესახებ ინფორმაცია დროულად ქვეყნდება საჯარო სივრცეში, რაც მშობლებს შესაძლებლობას აძლევს რეგისტრაცია განახორციელონ კანონით დადგენილ ვადებში.

ამასთან, უზრუნველყოფილია მოსწავლეთა პირადი საქმეებისა და ელექტრონული ბაზების დროული და მოწესრიგებული წარმოება. სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად, დირექტორი განიხილავს მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვების საკითხს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში სკოლა ახორციელებს ექსტერნატის გამოცდების ორგანიზებას. აღნიშნული ადმინისტრაციული პროცესები ხელს უწყობს განათლების ხელმისაწვდომობისა და უწყვეტობის უზრუნველყოფას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.1.4. დაკმაყოფილებულია

5.სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სკოლა ხელს უწყობს დამატებითი და არაფორმალური აქტივობების განვითარებას, ასევე მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის ჩართულობით.

დანერგილია ინიციატივების წარდგენის მექანიზმი, რომლის ფარგლებში მოსწავლეებს შეუძლიათ თავიანთი იდეებით მიმართონ თვითმმართველობას, დამრიგებელს ან დირექციას, მათ შორის სპორტული, კულტურული, შემეცნებითი და სხვა მიმართულებებით. წარმოდგენილი ინიციატივები განიხილება თანასწორობის პრინციპის დაცვით, ხოლო დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში სკოლა უზრუნველყოფს შესაბამის მხარდაჭერას არსებული რესურსების ფარგლებში.

სკოლას აქვს საგანმანათლებლო პროექტების განხორციელების გამოცდილება - სკოლაში ფუნქციონირება შემდეგი წრეები: 1. ჭადრაკის წრე „მძლეოსანი“ 2. ისტორიის წრე „მემატიანე“, 3. ინგლისური ენის წრე. ჩამოთვლილ წრეებს აქვთ თავიანთი წესდება ან დებულება, სამუშაო გეგმები და განხორციელებული აქტივობები. სკოლაში განხორციელდა სასკოლო-სოციალური პროექტი: „სიკეთის გემო სიყვარულის ფერებში“. ასევე, ჭვინთის საჯარო სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს არაფორმალური განათლება (მათ შორის ფინანსური განათლების, გარემოსდაცვითი, წიგნიერების აქტივობებსა თუ კამპანიებში ჩართულობა, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევს ქართული ენისა და ლიტერატურის წამყვანი მასწავლებელი. მისი უშუალო ხელმძღვანელობით ჭვინთის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს „დაზოგვის მსოფლიო დღის“, „მსოფლიო დასუფთავების დღის“, „წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღის“ კამპანიაში. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი გახდა ფინედუს დესპანი

სკოლაში ფინანსური განათლების კუთხით. მან მოსწავლეებთან ჩაატარა ინტერაქტიული გაკვეთილი თემაზე - „შენი ფული, შენი ფინანსური მომავალი“. პროექტი „დაფიქრე სანამ გაავრცელებ — პერსონალური მონაცემები დაცვას იმსახურებს“

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.1.5. დაკმაყოფილებულია

6.მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

სკოლა გამოხატავს მზაობას, სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის საფუძველზე გაუმჯობესოს მოსწავლეთა მომსახურება. „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის“ შესაბამისად, სკოლა ითვალისწინებს უკუკავშირს, რომელიც შესაძლებელია ასახულ იქნეს სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანისას. ასევე, კურიკულუმის მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმის შემუშავებისა და გადახედვის პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების მოსაზრებები და არსებული გამოცდილების ანალიზი, რაც ემსახურება საგანმანათლებლო პრაქტიკის გაუმჯობესებას, სკოლა აქტიურად იყენებს და აწარმოებს ელექტრონულ გამოკითხვებს, რომელთა შინაარსიც დეტალურად ეხმიანება სასკოლო საზოგადოების საჭიროებებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.1.6. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- მოსწავლის ადაპტაციის წესი
- საგანმანათლებლო პროექტები
- არაფორმალური განათლების პროექტები
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- სკოლაში არსებული წრეების წესდებები და დებულებები, სამოქმედო გეგმები
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- შემუშავებული კითხვარები
- სადამრიგებლო პროგრამები

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის

სკოლაში კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის სერვისი ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის. სკოლას შემუშავებული აქვს „პროფესიული ორიენტაციისა დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის წესი“ და ასევე ინტეგრირებულია სადამრიგებლო საათების ფარგლებში, სადაც განიხილება პროფესიის შერჩევასთან დაკავშირებული საკითხები. დამრიგებლის

დებულების შესაბამისად, დამრიგებელი ეხმარება მოსწავლეებს საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირებაში და სამომავლო გეგმების ფორმირებაში. სკოლას მაღალი კლასის მოსწავლეებთან განხორციელებულია პროექტი: „ჰკითხე ხელოვნურ ინტელექტს პროფესიების შესახებ“.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.2.1. დაკმაყოფილებულია

2.სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

„პროფესიული ორიენტაციისა დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის წესის“ თანახმად, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირებას პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული განვითარების საკითხებზე. პროცესის ორგანიზებას ძირითადად ახორციელებენ დამრიგებლები, რომლებიც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში გეგმავენ და ატარებენ შესაბამის სადამრიგებლო საათებს, ასევე აწყობენ ერთობლივ შეხვედრებს მოსწავლეებთან და მშობლებთან. სკოლა ცდილობს, რომ გავრცელებული ინფორმაცია იყოს სანდო, აქტუალური და პერიოდულად განახლებადი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.2.2. დაკმაყოფილებულია

3.სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს

სკოლის თვითშეფასების შედეგები მიუთითებს, რომ დაწესებულება მუდმივად ახორციელებს კურსდამთავრებულთა პროფესიული განვითარების მონიტორინგს და აფასებს მათ მიღწეულ შედეგებს. გარდა ამისა, დამრიგებლები ყოველი სასწავლო წლის ბოლოს წარადგენენ ანგარიშებს საკუთარი საქმიანობის შესახებ და აანალიზებენ განხორციელებული აქტივობების ეფექტიანობასა და გავლენას სასწავლო პროცესზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.2.3. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- დამრიგებლის ანგარიში;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სადამრიგებლო პროგრამა.
- პროფესიული ორიენტაციისა დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის წესი
- პროექტი: „ჰკითხე ხელოვნურ ინტელექტს პროფესიების შესახებ“.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი

სკოლას შემუშავებული აქვს „ინკლუზიური განათლების პროგრამა და დებულება“, რომლის საფუძველზეც, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმები. სასწავლო წლის დასაწყისში მუშავდება ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილია შესაბამისი აქტივობები, ვადები და პასუხისმგებელი პირები. სკოლას ჰყავს 1 სსსმ მოსწავლე.

გეგმა მოიცავს საჭიროებების შეფასებას, სტატუსის მინიჭება-მოხსნის პროცედურებს და სწავლის პროცესში არსებული სირთულეების იდენტიფიცირებას. თითოეული სსსმ მოსწავლისთვის იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლის შემუშავებასა და განხორციელებას უზრუნველყოფს ისგ ჯგუფი, დაკომპლექტებული დამრიგებლით, საგნის მასწავლებლებით, სპეცმასწავლებლით, სხვა სპეციალისტებითა და მშობლით/კანონიერი წარმომადგენლით.

ისგ ჯგუფი საჭიროებისამებრ იკრიბება, ახორციელებს მონიტორინგს, აფასებს პროგრესს და საჭიროების შემთხვევაში განიხილავს ინდივიდუალურ გეგმაში ცვლილებებს. აღნიშნული პროცესი უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეთა მხარდაჭერასა და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ სწავლას. სკოლაში, ყველა საგანში არსებობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.3.1. დაკმაყოფილებულია

2.სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს

სკოლაში სსსმ მოსწავლის მხარდაჭერის მიზნით დირექტორის ბრძანებით ფორმირდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებას, განხორციელების კოორდინაციასა და მათი ეფექტიანი დანერგვის მუდმივ მხარდაჭერას. დაწესებულებას გააჩნია რესურსოთახი შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, რომელიც გამოიყენება როგორც სასწავლო პროცესის მხარდამჭერი სივრცე, და ჰყავს ერთი სპეციალური მასწავლებელი.

ინკლუზიური განათლების ორგანიზება ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული ისგ ჯგუფის სისტემური მუშაობის ფარგლებში, რომელიც ეფუძნება მასწავლებელთა, სპეციალისტებისა და მშობლების აქტიურ, პარტნიორულ თანამშრომლობას. სკოლაში შემუშავებულია ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, რომელიც განსაზღვრავს ძირითად მიმართულებებსა და პასუხისმგებლობებს; მისი მონიტორინგი ხორციელდება სასწავლო წლის დასაწყისში შექმნილი სამუშაო

ჯგუფის მიერ, ხოლო წლის ბოლოს მზადდება დეტალური შემაჯამებელი ანგარიში განხორციელებული საქმიანობისა და მიღწეული შედეგების შესახებ.
სპეციალური მასწავლებელი ახორციელებს მოსწავლეთა საგანმანათლებლო საჭიროებების სიღრმისეულ იდენტიფიცირებას, რის საფუძველზეც საგნის მასწავლებლებს აწვდის ინდივიდუალურ რეკომენდაციებს სწავლების მეთოდებისა და ადაპტაციის მიმართულებით.
აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.3.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ინკლუზიური განათლების პროგრამა და დებულება
- ინდივიდუალური გეგმები
- ისგ ჯგუფის დოკუმენტაცია

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
სკოლა ამ ეტაპზე არ ახორციელებს დამატებითი, არასავალდებულო სერვისების მიწოდებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.4.1. დაკმაყოფილებულია

2.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას

სკოლა ამ ეტაპზე არ ახორციელებს დამატებითი, არასავალდებულო სერვისების მიწოდებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.4.2. დაკმაყოფილებულია

3.შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს

სკოლა ამ ეტაპზე არ ახორციელებს დამატებითი, არასავალდებულო სერვისების მიწოდებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.4.3. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

დაწყებითი საფეხური

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

საბაზო საფეხური

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის)	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

სსიპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვინთის საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია ეფუძნება სასკოლო საზოგადოების საჭიროებების, შესაძლებლობებისა და მონაწილეობითობის პრინციპებს (მუხლი-1. პინქტი-1). ასევე, კურიკულუმის ფუნქციად განსაზღვრულია სკოლის პრიორიტეტების წარმოჩენა და სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის შეთანხმების უზრუნველყოფა (მუხლი 2, პუნქტი-2). მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის თანამშრომლობითი მონაწილეობა განსაზღვრულია მუხლი 5-ის 1-3 პუნქტებით, რაც ქმნის ინტერესებისა და შეხედულებების გათვალისწინების შესაძლებლობას.

შესაბამისად, მეთოდოლოგია უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებას თანამშრომლობითი და მონაწილეობითი მიდგომების საფუძველზე.

რჩევა: სასურველია, კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია მეტად მორგებული სკოლაში არსებულ რეალურ გარემოებებს (მაგ. დირექტორის მოადგილის (რომელიც სკოლას არ ჰყავს) ნაცვლად ფუნქციები გაწერილი იყოს მასზე, ვინც რეალურად ახორციელებს ამ პროცესს, მითუმეტეს ხარისხის უზრუვნელყოფის პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელ პირად სკოლაში განსაზღვრულია ისტორიის უფროსი მასწავლებელი).

ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა სკოლის ტრადიციებისა და პრიორიტეტების წარმოჩენა და სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის შეთანხმების უზრუნველყოფა (მუხლი 2, პუნქტი 2). აღნიშნული მიუთითებს, რომ კურიკულუმი ორიენტირებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და საჭიროებების ასახვაზე. ამასთან, დოკუმენტი

განსაზღვრავს, რომ სკოლა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან ერთად საკუთარი მისიის, ხედვისა და პრიორიტეტების შესაბამისად გეგმავს სასწავლო პროცესს (მუხლი 3, პუნქტი 2). სკოლას აქვს შესაძლებლობა შეარჩიოს სასწავლო თემები, საგნობრივი საკითხები, დამატებითი რესურსები, სწავლებისა და შეფასების მეთოდები მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით (მუხლი 3; მუხლი 9, ქვეპუნქტი „ა"). ასევე, კურიკულუმის განვითარების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეების, მშობლებისა და მასწავლებლების ჩართულობა (მუხლი 5, პუნქტები 1-2), რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების ინტერესების ასახვას როგორც დაგეგმვის, ისე განხორციელების ეტაპზე.

ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლაში კურიკულუმის შემუშავების პროცესი ეფუძნება სასკოლო საზოგადოების აქტიურ ჩართულობას და თანამშრომლობის პრინციპს. აღნიშნული საკითხები რეგულირდება კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიური დოკუმენტით (მუხლი 5, პუნქტი 1), რომელიც ასევე განსაზღვრავს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების ეტაპებს, მონაწილე მხარეების როლებსა და პასუხისმგებლობებს (მუხლი-4 და მუხლი 9, პუნქტი,,ა"). კერძოდ, სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებელი ვალდებულია აქტუალური და პრობლემური საკითხები განიხილოს მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან, რაც აჩენს მეტ შესაძლებლობებს კურიკულუმის განვითარების პროცესში მათი ჩართულობისთვის. მშობელთა სასწავლო პროცესში ჩართულობის გაზრდის მიზნით, მშობელთა ინფორმირების გზად სკოლამ აირჩია სოციალური ქსელის დახურული ჯგუფებით ინფორმირება და საჭიროებისას პირადი შეხვედრა. კურიკულუმის განვითარების პროცესში მასწავლებლებისა და დირექციის უმთავრესი ვალდებულებები უკავშირდება უშუალოდ სასწავლო პროცესს. ეს ფუნქციამოვალეობები მკაფიოდ და კონკრეტულად არის გაწერილი შიდა სასკოლო დოკუმენტებში

ინდიკატორი 2.1.1.3. დაკმაყოფილებულია

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიისა და სასკოლო სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით იკვეთება, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ და მისი შემუშავება/დამტკიცება თანამონაწილეობრივი პროცესის საფუძველზე ხორციელდება. „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის" მიხედვით, სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარება მიმდინარეობს „მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის თანამშრომლობის რეჟიმში" (მუხლი 5, პუნქტი 1). ამავე მუხლში აღნიშნულია, რომ პროცესი ეფუძნება ინტენსიურ თანამშრომლობასა და გამჭვირვალე ანგარიშვალდებულებას, რაც კურიკულუმის საერთო გაზიარებას უწყობს ხელს.

დოკუმენტი ასევე განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების ინფორმირების მექანიზმებს - სოციალური ქსელების დახურული ჯგუფები, შეხვედრები და მუდმივი კომუნიკაცია (მუხლი 5, პუნქტი 3; მუხლი 7, პუნქტი 1.5). სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026-ის მიხედვით, სასწავლო გეგმა შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოს სხდომაზე (ოქმი N1, 06.09.2025) და დამტკიცებულია

პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე (ოქმი N1, 07.09.2025), რაც ადასტურებს, რომ კურიკულუმი განხილული და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან.

ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილი ბუნებისმეტყველების კურიკულუმი სამივე საფეხურზე ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. შუალედურ მიზნებად განსაზღვრულია შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომლებიც ხელს უწყობს სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებასა და საგნობრივი საკითხების გააზრებას. აღნიშნული დავალებები ორიენტირებულია მოსწავლეზე, ითვალისწინებს მის ინტერესებს და მიზნად ისახავს შესასწავლი საკითხებისადმი მოტივაციისა და დაინტერესების გაზრდას. **რჩევები: დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე** • სასურველია, ისე დაგეგმოთ აქტივობები,რომ თითოეული თემის შესწავლისას გახვიდეთ ყველა სამიზნე ცნებაზე. • სასურველია, შემოქმედებითი დავალებები დაეფუძნოს კონტექსტ-მაგალითებს. ახალი ცოდნის

	კონსტრუქტივისტული აგების ხელშესაწყობად მოსწავლეებს შესთავაზეთ მათი ცოდნისა და გამოცდილებისთვის ხელმისაწვდომი კონტექსტ-მაგალითები, როგორიცაა კონკრეტული შემთხვევები, სიტუაციები ან ამბები. მათი განხილვა და გაანალიზება მოსწავლეებს დაეხმარება სამიზნე ცოდნის - ქვესაკითხების, ქვეცნებებისა და სამიზნე ცნებების - გააზრებასა და გათავისებაში. • გაითვალისწინეთ, რომ შემოქმედებითი დავალების პირობაში მკაფიოდ იყოს აღწერილი შესაქმნელი პროდუქტი. • სასურველია, კურიკულუმში ასახული იყოს მხოლოდ სტანდარტით განსაზღვრული თემები და არა სახელმძღვანელოს თემატური დაყოფა. **2.1.2.1ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	**დაწყებით საფეხურზე** საზ. მეცნიერებების მიმართულებით საგნის ,,მე და საზგადოების" (III - IV კლასი) საგნის ფარგლებში შექმნილი კათედრის მიერ მომზადებული კურიკულუმები, ძირითადად, ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. საგნობრივი ჯგუფის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია კომპლექსური დავალებები, რომლებიც სამიზნე ცნებების დამუშავებაზეა ორიენტირებული. თუმცა IV კლასის კრიკულუმის ჩარჩოში მხოლოდ საკითხთა კლასტერი და მწირი რესურსებია ჩამოთვლილი. III კლასის კურიკულუმში საკითხებსა და საკითხთა კლასტერების ჩამონათვალს შორის კავშირი არ იკვეთება. V–VI კლასის „ჩვენი საქართველოს" საგნის კურიკულუმი ნაწილობრივ ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს, ცოდნასა და საჭიროებებს და ხელს უწყობს ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების გამთლიანებულად წარმოჩენას კონკრეტული პროდუქტის სახით. აქაც საკითხები მექანიკურადაა გაერთიანებული, ხოლო კონტექსტ მაგალითების გრაფაში მხოლოდ კითხვებია მოცემული. **რჩევა:** დაწყებით საფეხურზე, საგანში „მე და საზოგადოება", სასურველია კურიკულუმის ჩარჩოს დაემატოს: საკითხები, კონტექსტ მაგალითები და ა.შ. სასურველია, რომ კათედრამ საჭიროებიდან გამომდინარე შეიმუშაოს კურიკულუმის ერთიანი ჩარჩო, სადაც აისახება დავალების იდეა, რესურსები და ყველა საჭირო კრიტერიუმი რაც კურუკულუმს ქმედითუნარიანს გახდის. სასურველია, შემოქმედებითი დავალებების საკითხთა დაჯგუფება (საკითხი/საკითხთა კლასტერი) მოხდეს ისე, რომ თავიდან იქნეს აცილებული საკითხების მექანიკური გაერთიანება; განისაზღვროს კონტექსტ მაგალითის არსი, რომელიც კონკრეტულ საკითხთთან იქნება შესაბამისობაში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

	საბაზო და საშუალო საფეხურზე საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის მიერ მომზადებული კურიკულუმები - ისტორია, საქართველოს ისტორია, გეოგრაფია და მოქალაქეობის მიმართულებები - ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე და უმეტესად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მოცემული კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ძირითადად სწორად იყო შევსებული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შემოქმედებითი დავალების იდეები და კონტექსტ მაგალითები შესაბამისი რესურსებით. საბაზო საფეხურის ყველა კლასში დაგეგმილია შემოქმედებითი დავალებები (მინიმუმ ერთი ან ორი). თუმცა იყო რიგი უზუსტობებიც: 1. საკითხები გაერთიანებულია (საკითხთა კლასტერი) მექანიკურად, რაც გამოიწვევს შემოქმედებითი დავალების დროში გაჭიანურებას და დაიკარგება შუალედური მიზნის არსი; 2. კონტექსტ მაგალითები სწორად არ არის გააზრებული - წარმოდგენილია კითხვებისა და სხვადასხვა საკითხების სახით. ზოგიერთ კლასის კურიკულუმში საერთოდ არ არის კონტექსტ მაგალითები და საკითხები; 3. კურიკულუმის ჩარჩო საგნებსა და კლასებში განსხვავებულია. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროსაც გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, საკითხებისა და ქვესაკითხების ერთმანეთთან ურთიერთმიმართების არსი. მათ წარმოადგინეს შემოქმედებითი დავალებები, რომლებიც აგებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნისა და საჭიროებების გათვალისწინებით. **რჩევა:** სასურველია, კათედრამ შეიმუშაოს კურიკულუმის საერთო ჩარჩო, სადაც ასახული იქნება: საკითხი, კონტექსტ მაგალითი, დავალების იდეა, რესურსები; კომპლექსური დავალების საკითხთა კლასტერი შინაარსის მიხედვით დაჯგუფდეს; განისაზღვროს კონტექსტ მაგალითები საკითხთა მიმართებაში. **2.1.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ასახავს პროცესის განვითარებას. კერძოდ, მასში წარმოდგენილია სამიზნე ცნებები, რომელიც დაზუსტებული ქვეცნებებით. მათთკენ პროცესის მიმართება კი აისახება კურიკულუმში, როგორც საკითხთა შესაბამისობით, კონტექსტ მაგალითებით და უმთავრესად დავალების პირობით. კურიკულუმებში წარმოდგენილი დავალების პირობებების დაზუსტება ვთხოვეთ პედაგოგებს, აგრეთვე რიგ კურიკულუმებში იკვეთებოდა ქვეცნებების ქაოტური განლაგება და მათი სხვადასხვა სვეტებში გადანაწილება. საბოლოო ჯამში, პედაგოგებმა გადმოაგზავნეს ჩასწორებული კურიკულუმები, გადმოგზვნილი კურიკულუმები გვაძლევს საშუალებას აღინიშნოს, კურიკულუმის შესაბამისობა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის

	მიმართებით. **რჩევა**: სასურველია დაეყრდნონ ერთ ჩარჩოს რათა იყოს მათი პროგრამები თანმიმდევრული. **2.1.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრის წარმოდგენილ კურიკულუმში (მუსიკა/ხელოვნება) ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომლებიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. **რჩევა:** სასურველია, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმების გაწერისას ყველა საფეხურზე და კლასში დამუშავდეს ყველა სავალდებულო თემატური ბლოკი. **2.1.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილ კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე,უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. კურიკულუმებში ასახულია აქტუალური, ნაცნობი თემები, კონტექსტ მაგალითები და მრავალფეროვანი რესურსები, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **რჩევა:** დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო მცირედ, მაგრამ მაინც განსხვავდება ერთმანეთისგან, კათედრაზე შემუშავებული და შეთანხმებულ იქნას საერთო კურიკულუმის ჩარჩო.აღნიშნული უზრუნველყოფს კურიკულუმების თანმიმდევრულობას, სტრუქტურულ ერთიანობასა. გააგრძელონ მუშაობა კურიკულუმზე და სამომავლოდ გაამდიდრონ ის სხვადასხვა ტიპის შემოქმედებითი დავალებებით.ეს ხელს შუწყობს როგორც მოსწავლეების მოტივაციის გაზრდას, ისე მათი მიღწევების შეფასებას. **2.1.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილ მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია მათემატიკის საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით, აკმაყოფილებენ კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნებს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომონენტს. გაწერილია რა გრძელვადიან მიზნებს ემსახურება მათი სწავლება, მიმართულია სტანდარტით მოცემული შედეგების მიღწევაზე. კურიკულუმებში გაწერილია შემოქმედებითი დავალების იდეა, რომლებიც შუალედური მიზანზე გასვლით, ემსახურება გრძელვადიანი მიზანზე გასვლას. გრძელვადიანი მიზნები წარმოდგენილია

	სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით. რაც იმის მანიშნებელია, რომ კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესიის დაგეგმვისა და განვითარების გზას. იგივე დაადასტურეს კათედრის წევრებმაც გასაუბრების დროს. **რჩევა:** • მიზანშეწონილია ინფორმაცია საგნობივი კურიკულუმის შესახებ უფრო სრუყოთ და შეიცვდეს: კურიკულუმის სახელწოდებას, სასწავლო საგნის ხანგრძლივობა სემესტრის/ წლის განმავლობაში, ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი; • სასურველია კათედრა შეთანხმდეს ერთი ფორმატის კურიკულუმის ჩარჩო-დოკუმენტზე; • სასურველია კურიკულუმის ჩარჩო-დოკუმენტში გაერთიანებული კომპონენტები „თემა“ და „საკითხი/საკითხთა კლასტერი“ გაიმიჯნოს და ცალ-ცალკე იყოს წარმოდგენილი. **2.1.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმები, მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას წარმოადგენს. სამიზნე ცნებები, რომლებიც გრძელვადიან მიზნებს აზუსტებს, გამოდინარეობს საგნობრივი სტანდარტის შედეგებიდან, რაც საფეხურის ბოლოს უნდა იქნეს მიღწეული. გაწერილი თემები, აქტივობები, საკითხები, ცნებები და ქვეცნებები მოსწავლეს საგნობრივ ცოდნას აძლევს თითოეული თემიდან გამომდინარე, ხოლო გათვალისწინებული კომპლექსური დავალებები მოსწავლის გააქტიურებას განაპირობებს. **2.1.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით, სასწავლო პროცესი არის მოსწავლეზე ორიენტირებული, კურიკულუმი დაგეგმილია მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით. აქცენტი კეთდება არა მხოლოდ ცოდნის შეძენაზე არამედ საჭირო უნარების გამომუშავებასა და ცოდნის ტრანსფერზე. გათვალისწინებულია ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესი. **2.1.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის სისტემური დაგეგმვის, ორგანიზებისა და უწყვეტი განვითარების საფუძველს, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების, შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებას სასწავლო შედეგების მიღწევის პროცესში. **2.1.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2.კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილი კურიკულუმებიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ყურადღება გამახვილებულია გრძელვადიან მიზნებზე, ხოლო მისაღწევი შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. კურიკულუმებში ნათლად ჩანს, თუ რა საგნობრივ საკითხებს, თემებს, დავალებებს, ძირითად და დამატებით რესურსებს სთავაზობს სკოლა მოსწავლეებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად და მათი პიროვნული განვითარების ხელშესაწყობად. კურიკულუმები ძირითადად აგებულია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო თემების საფუძველზე. აღნიშნული თემები წარმოადგენს იმ კონტექსტს, რომლის ფარგლებშიც ხდება სამიზნე ცნებებისა და სწავლის შედეგების გააზრება, დამუშავება და ეტაპობრივად მიღწევა. **რჩევა: დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე** სასურველია, კურიკულუმში ასახული იყოს მხოლოდ სტანდარტით განსაზღვრული თემები და არა სახელმძღვანელოს თემატური დაყოფა. **2.1.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივი ჯგუფის მიერ **დაწყებით** საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს, ძირითადად, გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, შემოქმედებითი დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს, დავალებები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ ხორციელდება პროექტები, სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში ფუნქციური უნარების განვითარებას. **საბაზო და საშუალო** საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართება და შემოქმედებითი დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებს და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. ინტერვიუს პროცესში ასევე გამოიკვეთა, რომ სკოლაში ხორციელდება მრავალფეროვანი პროექტები და ღონისძიებები. რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში

	გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებასა და გააქტიურებას. **2.1.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	კურიკულუმში სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნები, იკვეთება, როგორც შესაბამისი სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების შერჩევით, შემდგომ აქტივობების დაგეგმვთ და საბოლოო შემოქმედებითი პროდუქტის წარმოდგენით. სკოლის მიერ წარმოდგენლ კურიკულუმებში აგრეთვე შესაბამისია ის ძირითადი თუ დამატებითი სასწავლო მასალები, რომელის ესაჭიროება მოსწავლეს, მიზნების მისაღწევად. სკოლას აქვს წარმოდგენილი, დამატებითი, არაფორმალური განათლების შემცველი პროქტებიც, რომელიც აძლიერებს მოსწავლის მიერ პროცესში ეფექტურად ჩართვის შემთხვევებს. სკოლის მიერ კურიკულუმში წარმოდგენილი სასწავლო წლის კალენდარი და დატვირთვა პასუხობს სკოლის მიერ დასახული მისაღწევი მიზნების შესაძლებლობას. სადამრიგებლო პროგრამებში ჩანიშნული და განხორციელებული აქტოვებები პასუხობს ეროვნული გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. აღსანიშნავია პროექტი World Clenup Day რომელიც მიზნად ისახავდა მოსწავლეებში (სასკოლო საზოგადოებაში) გარემოზე პასუხისმგებლობის, ცნობიერების გაზრდას, სისუფთავის კულტურის ჩამოყალიბებას და აქტიური მოქალაქეობის ხელშეწყობას. აგრეთვე სკოლამ წარმოადგინა არაფორმალური განათლების კონტექსტში პროექტი „წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე“ რომელიც ცდილობს უპასუხოს გამოწვევას ციფრულ ერაში, წიგნების კითხვის შემცირებულ ტენდენციის შესახებ. **2.1.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	შექმნილი კურიკულუმები (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზანს, სასწავლო კურიკულუმებში გაწერილი სამიზნე ცნებები მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საკუთარ გამოცდილებასთან გამოიყენოს ახალი ცოდნა და უნარები. თუმცა იკვეთება ცალკეულ კლასებთან მიმართებაში გარკვეული ხარვეზები. **2.1.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმი ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში იკითხება თემები, სამიზნე ცნებები, დასამუშავებელი საკითხები, კონტექსტ მაგალითები. დავალებები და აქტივობები იმგვარადაა შერჩეული, რომ ხელს უწყობს ინფორმაციის გააზრებას პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით და ეხმარება მოსწავლეებს მიღებული ცოდნის გამოყენებაში. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, იცნობენ და იყენებენ

	საგნობრივ სტანდარტს კურიკულუმების შემუშავებისას და გამოიყენებენ მომავალში მათ დასახვეწად. **რჩევა:** (დაწყებითი, საბაზო , საშუალო საფეხურები) სასურველია, კურიკულუმებში ცნებები ჩაიშალოს იმ ქვეცნებებად, რომელთა დამუშავებაც ხდება თემის ფარგლებში. ეს ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის უკეთ სტრუქტურირებას და ცნებების ეტაპობრივ გააზრებას. კურიკულუმში საკითხი/დავალებები ზოგ შემთხვევაში არაერთგვაროვნადაა ფორმულირებული. სასურველია , კათედრაზე შეთანხმდნენ და საკითხი და დავალება ჩამოყალიბდეს ერთიანი პრინციპების დაცვით. კურიკულუმის ჩარჩოში დააკონკრეტონ შესასწავლად გამოკვეთილი ყველა საკითხის/თემის შესაბამისი სამიზნე ცნებება. აღნიშნული ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესის თანმიმდევრულ დაგეგმვასა და შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან და ამოცანებთან. **2.1.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია სამიზნე ცნებები და შედეგები გრძელვადიანი მიზნებზე ორიენტირით. სამიზნე ცნებები, საკითხები კავშირშია ერთმანთთან. საკითხი/საკითხთა კლასტერი, ამუშავებს სამიზნე ცნებებს. შემოქმედებითი დავალების იდეა, უზრუნველყოფს სტანდარტით განსაზღრულ შედეგებზე გასვლას, რაც დადასტუდა კათედრის წევრებმა გასაუბრების დროსაც და გამოხატეს მზაობა კურიკულუმები მიმართული იყოს ესგ-ით განსაზღრული მიზნებისაკენ. **რჩევა:** მიზანშეწონილია კურიკულუმის შემუშავებისას გაწერილ იყოს მათემტიკის საგნობრივი სტანდარტით განსაზღრული ყველა თემა, სტანდარტში წარმოდგენილი შესაბამისი ფორმულირებით; **2.1.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლის მხრიდან წარმოდგენილი კურიკულუმები სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს. გათვალისწინებული საგნობრივი პროგრამა იძლევა სამიზნე ცნებებამდე მისვლის საშუალებას. ხოლო თემები, აქტივობები, საკითხები, დავალებები და სხვა დამატებითი რესურსები მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობას უწყობს ხელს, ორიენტირებულია მის პიროვნულ განვითარებაზე და ფუნქციური უნარების დახვეწას უწყობს ხელს. **2.1.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლას აქვს მწირი სპორტული ინფრასტრუქტურა და შესაბამისი სპორტული ინვენტარი, მაგრამ გამომდინარე აქედან პედაგოგის საგაკვეთილო პროცესის სწორი დადგეგმვით დაუბრკოლებლად ხორციელდება საგაკვეთილო-სასწავლო პროცესი, ამ მიმართულებით 2.2.2. 1-ში სპორტის

	მიმართულებით ექსპერტის მხირდან გაიცა რჩევა, რაც დაეხმარება პედაგოგებს გამოწვევის დაძლევაში და უფრო მეტი საშუალებების გაჩენაში საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვის და წარმართვის პროცესში. გამომდინარე აქედან, კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. **2.1.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, თუმცა ავტორიზაციის პროცესში გამოიკვეთა გარკვეული ხარვეზები მიზნების კონკრეტულ საგნობრივ სტანდარტებთან/სამიზნე ცნებებთან ან თემებთან შესაბამისობის თვალსაზრისით. კერძოდ, საწყის ეტაპზე არასაკმარისად იყო წარმოდგენილი კავშირი კურიკულუმის ცალკეულ კომპონენტებსა და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ თემებს შორის შორის. გაწეული რჩევებისა და რეკომენდაციების საფუძველზე სკოლამ შეიტანა არსებითი კორექტივები, დააზუსტა მიზნების ფორმულირება და უზრუნველყო მათი გამჭვირვალე კავშირი სახელმწიფო სტანდარტებთან. საბოლოო ჯამში, წარმოდგენილი კურიკულუმი სათანადოდ ასახავს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და პასუხობს დადგენილ საგანმანათლებლო სტანდარტებს. **2.1.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3.კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო კურიკულუმით დასახული მიზნების რეალიზება პირდაპირ არის დამოკიდებული რესურსების ეფექტურ გამოყენებაზე. მიუხედავად იმისა, რომ პედაგოგებისთვის გრიფირებული სახელმძღვანელო კვლავ რჩება სწავლების მთავარ რესურსად, პროცესს მნიშვნელოვნად აფართოებს კურიკულუმში ინტეგრირებული ციფრული ინსტრუმენტები. ეს უკანასკნელი მოსწავლეებს საკითხების სიღრმისეულ და მრავალმხრივ გააზრებაში ეხმარება. გარდა ამისა, თვალსაჩინოებისთვის აქტიურად გამოიყენება მატერიალური მასალები: მოდელები, პლაკატები. **რჩევა: დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე** მიზანშეწონილია, კურიკულუმში დეტალურად იქნას გაწერილი იმ დამხმარე მატერიალური

	რესურსების ჩამონათვალი, რომლებიც სახელმძღვანელოსთან ერთად გამოიყენება. **2.1.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	**დაწყებით , საბაზო და საშუალო** საფეხურზე სასწავლო პროცესში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსები - სახელმძღვანელოები, დამხმარე მასალები, ციფრული თუ ბეჭდური საშუალებები - შერჩეულია იმგვარად, რომ პირდაპირ უზრუნველყოს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა. თითოეული რესურსი შეესაბამება საგნის სტანდარტებს, მოსწავლის ასაკობრივ თავისებურებებს და ხელს უწყობს როგორც ცოდნის, ისე უნარების განვითარებას. პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ აქტივობებში, სთავაზობენ მრავალფეროვან რესურსებს. **რჩევა:** სასურველია, სამივე საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოს ბოლო სვეტში - „რესურსები" - აისახოს დამატებითი რესურსები, მაგალითად: ვიდეო/ანიმაციური ფილმები, ინტერნეტრესურსები და ა.შ. **2.1.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	კურიკულუმში აღინშნული რესურსების და კიდევ სხვა მასში არ ასახული ციფრული თუ თავად შექმნილი რესურსების გამოყენებით, პედაგოგები ახორციელებენ კურიკულუმში გაწერილ შემოქმედებით დავალებას, რომელიც თავისთავად მიმართულია კონკრეტული სამიზნე ცნებისა და ქვეცნებების შესაბამისად. აქტიურად იყენებენ დოკუმენტში მითითებულ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოს. **2.1.2.3.ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევებს.კურიკულუმში მითითებულია სასწავლო რესურსები, რაც აადვილებს მიზნების მიღწევას. **რჩევა** :სასურველია, კიდევ ერთხელ გადაიხედოს რესურსებისათვის განკუთვნილი გრაფა. მიუთითებელი ველები ყველგან უნდა შეივსოს. ასევე სასურველია მოყვანილი რესურსების ვალიდურობის გადამოწმება , მათ უნდა ჰქონდეთ პირდაპირი კავშირი როგორც თემასთან, ისე შემოთავაზებულ დავალებებთან. გარდა ამისა, ელექტრონული ბმულები, რომლებიც ამ ეტაპზე არ იხსნება, უნდა გააქტიურდეს ან ჩანაცვლდეს მოქმედი ბმულებით. **2.1.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვალისწინებულია რესურსები - ძირითადად გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, როგორც აღნიშნეს, იყენებენ ციფრულ და მატერიალური რესურსებს. ეს ყველაფერი უფრო საინტერესოს და მიმზიდელს ხდის სასწავლო პროცესს და

	განაპირობებს კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. **რჩევა:** სასურველია, გაამდიდრონ და გაამრავალფეროვნონ კურიკულუმის ჩარჩო რესურსებით. აღნიშნული ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანობას, მოსწავლეთა ჩართულობის ზრდას, საგნობრივი შინაარსის უკეთ გააზრებასა და პრაქტიკულ გამოცდილებასთან დაკავშირებას. **2.1.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მათემატიკის კურიკულუმებში თითოეული თემის დამუშავებისას გაწერილია სწავლის და სწავლების მიზნის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი, როგორიცაა ძირითადად გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო, შესაბამისი გვერდების მითითებით, ასევე სხვადასხვა სასწავლო ელექტონული რესურსი, შესაბამისი ბმულებით. იგივე დადასტურდა პედაგოგებმაც გასაუბრების დროსაც. **2.1.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში და დოკუმენტებში ასახული საგანმანათლებლო რესურსები: სახელმძღვანელოები, პოსტერები, თვალსაჩინოებები, განხორციელებული სპორტული აქტივობები, ონლაინ რესურსები, ორიენტირებულია მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, ხელს უწყობს მოსწავლის სწავლა-სწავლების აქტიურ პროცესში ჩართვას და უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას. **2.1.2.3.ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და ხელს უწყობს მრავალმხრივ განვითარებას, შერჩეულია შედეგების მიღწევისათვის საჭირო შესაფერისი ინსტრუმენტები. **2.1.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	შერჩეული რესურსები მჭიდროდ უკავშირდება სასწავლო მიზნებს და თანმიმდევრულად მხარს უჭერს სასწავლო პროცესს ყველა საფეხურზე. რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების, სასწავლო სტილებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებას, რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის მიერ დასახული სწავლის შედეგების წარმატებით მიღწევას. **2.1.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4.სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი ეფუძნება დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს. კომპლექსური დავალებები და პროექტული სწავლება მასწავლებელს აძლევს შესაძლებლობას, სასწავლო აქტივობები მოსწავლეთა ინდივიდუალურ ინტერესებსა და საჭიროებებს მოარგოს. კურიკულუმებში ინტეგრირებული თემატური მატრიცები დეტალურად განსაზღვრავს დავალების პირობასა და განხორციელების ეტაპებს. მრავალფეროვანი აქტივობები უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის ჩართულობას. **რჩევა: დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე** მოსწავლეთა ავტონომიურობის გაზრდის მიზნით, სასურველია მათ მიეცეთ არჩევანის შესაძლებლობა შემოქმედებითი პროდუქტის (მაგ. პრეზენტაცია, მოდელი, ვიდეორგოლი და სხვა) ფორმატის შერჩევისას. **2.1.2.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოვლინდა, რომ დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები წარმოდგენილია ინდივიდუალური გეგმების სახით. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით შესაბამის ცვლილებებს შეაქვთ სასწავლო აქტივობებში და გამოიყენეს კონკრეტული მეთოდების. სსსმ მოსწავლეებისთვის შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და ადაპტირებული შემოქმედებითი დავალებები. პედაგოგები გეგმავენ აღნიშნული მიდგომების შემდგომ დახვეწასა და სრულყოფას კომპლექსური დავალებების მოდიფიცირების გზით, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს ინკლუზიური განათლების პრაქტიკას სკოლაში. **2.1.2.4.ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში წარმოდგენილია ინკლუზიური განათლების სერვისების ხელმისაწვდომობა. სკოლამ წარმოადგინა ინდ. გეგმა, რომელშიც იკვეთება სასწავლო პროცესის კონკრეტულ მოსწავლეზე მორგების შემთხვევა. სკოლის მიერ გამოგზავნილ ისგ-ს ოქმში მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი-სპეციალური მასწავლებელი მუდმივად მუშაობს სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლესთან, ეხმარება საგნის მასწავლებელებს სსსმ მოსწავლისათვის საჭირო სასწავლო გარემოს შექმნაში, სასწავლო პროცესის

	დაგეგმვაში, რაც ხელს უწყობს სსსმ მოსწავლის მიერ სასწავლო პროგრამის ათვისებას, ინდივიდუალური შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენას და მოსწავლის ინტეგრირებას სასწავლო პროცესში. **2.1.2.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	**ხელოვნებისა** და **მუსიკის** სასწავლო პროგრამების ანალიზმა აჩვენა, რომ შეთავაზებული აქტივობები მრავალმხრივი და ინტეგრირებული ხასიათისაა. ეს მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, საკუთარი ცოდნა, შეხედულებები და დამოკიდებულებები გამოხატონ მათთვის მისაღები და კრეატიული ფორმებით. მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრებები მიუთითებს, რომ სასწავლო პროცესში დავალებები ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს: ხდება სამუშაო პირობების შეგნებული მოდიფიცირება, სირთულის ხარისხის დარეგულირება და შესაბამისი რესურსების შერჩევა თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებით. **2.1.2.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლა ითვალისწინებს სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ მიდგომებს,ქმნის ინკლუზიურ გარემოს. ამის დასტურია წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები/აქტივობები, რესურსები,რომლებიც მორგებულია მოსწავლეზე და იწვევს მათ დაინტერესებას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საშუალებას აძლევენ მოსწავლეებს საკუთარი ინტერესებიდან, მზაობიდან გამომდინარე აარჩიონ დავალება,საჭიროების შემთხვევაში ახდენენ სასწავლო შინაარსისა და დავალებების ადაპტირებას.სასწავლო მასალის წარდგენისას იყენებენ ვიზუალურ, პრაქტიკულ და თეორიულ მასალას,რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა სწავლის სტილის, მოდალობების, გათვალისწინებასა და ეფექტურ ჩართულობას. **2.1.2.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კათედრის წევრებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს, რომ აქვთ სსსმ მოსწავლესთან მუშაობის გამოცდილება., შესაბამისად შემუსავებულ აქვთ ისგ-ები. მათ დაადასტურეს რომ სწავლა-სწავლების პროცესში იყენებენ ინკლუზიურ/დიფერენცირებულ მიდგომების გამოყენებას, ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, მათ საჭიროებებსა და ინტერესებს და სასწავლო პროცეს ამ საჭიროებებზე მორგებულად გეგმავენ და ახორციელებენ, აქტიურად თანამშრომლობენ სპეცმასწავლებელთან და ერთობლივად იმუშავებენ ისგ-ას, დავალებებს მოდიფიცირებას უკეთებენ მოსწავლეთა შესაძლებლობების მიხედვით და შესაბამისად სასწავლო პროცესს დიფერენცირებული მიდგომების გამოყენებით წარვმართავთ დაადასტურეს კიდეც კათედრის წევრებმა.

	2.1.2.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
სპორტი	სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებულდ მისი ინტერესებისა და შესაძლებლობიდან გამომდინარე. მასწავლებელი მოსწავლეს მასზე მორგებულ რესურსებსა და სასწავლო მასალას სთავაზობს, რაც მოსწავლეს სასწავლო პროცესში პროდუქტიულ ჩართულობას განაპირობებს. კომპლექსური ტიპის სამუშაო მოსწავლეს საშუალებას აძლევს ერთი და იგივე საკითხის, ერთი და იგივე სამიზნე ცნების დამუშავებისას, აირჩიოს სხვადასხვა დავალებები. **2.1.2.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში იკვეთება, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებელი ცდილობს გამოიყენოს დიფერენცირებული სწავლების ელემენტები. მოსწავლეებს სთავაზობს მის საჭიროებებზე, უნარებსა და შესაძლებლობებზე მორგებული დავალებებს, ყოველთვის ახდენს დავალების მოდიფიცირებას და ადაპტირებას საჭიროებიდან გამომდინარე და მათ შესასრულებლად აძლევს შესაბამისის დროს. **2.1.2.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლა უზრუნველყოფს თანასწორ საგანმანათლებლო გარემოს, სადაც ყველა მოსწავლეს, მიუხედავად მისი შესაძლებლობებისა თუ გამოწვევებისა, საშუალება ეძლევა სრულფასოვნად ჩაერთოს სასწავლო პროცესში და მიაღწიოს კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგებს. **2.1.2.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5.მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის **საბაზო და საშუალო საფეხურების** საბუნებისმეტყველო საგნების (ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა) მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად და მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით დასტურდება, რომ სკოლა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის I თავის მე-7 მუხლით გასაზღვრულ მოსწავლის შეფასების სისტემის პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. პედაგოგები შეფასებისას იყენებენ ანალიტიკურ რუბრიკებს, მოლოდინების ცხრილის რუბრიკებს, თუმცა

	არასრულად წარმოადგინილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები თემების მიხედვით. წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სამივე საფეხურის სწავლებისთვის, თუმცა ეს რუბრიკები ძირითადად ზოგადი ხასიათისაა. რჩევა: **დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე** მიზანშეწონილია, შეიქმნას შეფასების რუბრიკები კონკრეტული თემისთვის. გაითვალისწინეთ, რომ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიემართებოდეს გრძელვადიან ორიენტირებს (სამიზნე ცნებებს), ხოლო განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტები უზრუნველყოფდეს ესგ-ით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გაზომვას. შეფასების პროცესის კიდევ უფრო მეტი დეტალიზაციისთვის, მიზანშეწონილია რუბრიკების შემუშავება თითოეული სასწავლო თემის თავისებურებების გათვალისწინებით. **2.1.2.5 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	**დაწყებით საფეხურზე** მოცემულია შეფასების რუბრიკების ნიმუშები, სადაც ჩაშენებულია კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც ეყრდნობა სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებსა და საფეხურის შედეგებს. თუმცა შეფასების რუბრიკები ძირითადად ზოგადია ან მრავალკომპონენტიანი და ხშირ შემთხვევაში არ უკავშირდება კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმებს - აფასებს მხოლოდ მოსწავლის გარკვეულ უნარებს: მოსწავლის ჩართულობა, დისკუსიის უნარი და ჯგუფური მუშაობის ეფექტურობა. მათ აქვთ მიზნობრივი ხედვა და ცდილობენ, შეფასებისას ორიენტირებულნი იყვნენ გრძელვადიან მიზნებზე შუალედური მიზნების საშუალებით - ყოველივე ეს ნათლად გამოიკვეთა ინტერვიუს დროს. პედაგოგები შექმნიან როგორც განმავითარებელ, ისე განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკებს, რომლებიც გრძელვადიან მიზნებზე იქნება ორიენტირებული შუალედური მიზნების საშუალებით. **რჩევა:** სასურველია, ყველა კლასში ყველა საგნის ფარგლებში შეიქმნას განმსაზღვრელი (V და VI კლასები) და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც დაფუძნებული იქნება კონკრეტული საკითხის შეფასების ინდიკატორებზე და მიემართებოდეს სამიზნე ცნებებს. **საბაზო და საშუალო** საფეხურისთვის შემუშავებულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. შეფასების სისტემა მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. თუმცა შეფასების რუბრიკები ძირითადად ზოგადი ან მრავალკომპონენტიანია . ხშირ შემთხვევაში არ უკავშირდება კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმებს - აფასებს მხოლოდ მოსწავლის გარკვეულ უნარებს, როგორიცაა პრეზენტაციის ან შემოქმედებითი პროდუქტის წარდგენის უნარი; შეფასების რუბრიკა და კომპლექსური დავალების კრიტერიუმები თანხვედრაში არ არის - დავალება არ

	მოიცავს ყველა ცნებას, თუმცა შეფასების რუბრიკა გაწერილია ყველა მათგანზე. რუბრიკები წარმოდგენილია სამივე საგნობრივი მიმართულებით: ისტორიის, მოქალაქეობისა და გეოგრაფიის მიმართულებით. პედაგოგებს გააჩნიათ მიზნობრივი ხედვა და ცდილობენ შეფასებისას ორიენტირებულნი იყვნენ გრძელვადიან მიზნებზე შუალედური მიზნების საშუალებით, რაც ნათლად გამოიკვეთა როგორც ინტერვიუს დროს, ისე განმსაზღვრელი შეფასების რამდენიმე რუბრიკის განხილვისას. **რჩევა:** სასურველია, ყველა კლასში და ყველა საგნის ფარგლებში კომპლექსური დავალების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები დაეყრდნოს დავალების პირობაში ჩაშენებულ კრიტერიუმებსა და მოთხოვნებს. **2.1.2.5 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლამ წარმოადგინა, როგორც განსამზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ფორმები, აგრეთვე შევსებული და მათი გამოყენებით შეფასებული ნამუშევრები. მათში იკვეთება სამიზნე ცნებებთან და შედეგებთან, აგრეთვე განმავითარებელი შეფასებების შემთხვევაში მკვიდრ წარმოდგენებთან კავშირი. ინსტრუმენტებში იკვეთებოდა ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა და ობიექტურობა. **2.1.2.5 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრის პედაგოგებმა წარმოადგინეს როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების პრაქტიკა. ისინი შეფასების პროცესში იყენებენ შესაბამის ინსტრუმენტებსა და რუბრიკებს, რომლებიც აგებულია გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე. დოკუმენტაციებიდან ჩანს, რომ სკოლაში წარმატებით ხორციელდება მოსწავლეთა განმავითარებელი და განსაზღვრელი შეფასების პრაქტიკა. **2.1.2.5 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და გასაუბრებაზე დაყრდნობით აღვნიშნავთ, რომ სკოლაში მოსწავლეთა შეფსება ხდება ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას.კათედრამ წარმოადგინა სხვადასხვა დავალების შეფასების რუბრიკები,როგორც ზოგადი, ისე ცნებებთან მიმართებით. აღნიშნეს, რომ რუბრიკებს წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს.კათედრა აგრძელებს ცნებებზე ორიენტირებული რუბრიკების შექმნას სახვადასხვა აქტივობისთვის.ეს ყველაფერი უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობასა და ობიექტურობას. **რჩევა**: (დაწყებითი,საბაზო და საშუალო საფეხური) სასურველია, მასწავლებლებმა კურიკულუმით

	გათვალისწინებული ყველა დავალებისთვის შეიმუშაონ ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები.განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში კი აღწერონ თუ რა მოლოდინი უნდა ჰქონდეს მასწავლებელს მოსწავლისგან კონკრეტულ ქვესაკითხთან და მასთან ერთად სამიზნე ცნებასთან მიმართებით. რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებთან, ასევე ზრდის შეფასების ვალიდურობას, სანდოობასა და სამართლიანობას. **2.1.2.5 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლამ წარმოადგინა ესგ-ის მათემატიკის საგნობრივი სტანდარტის თემების ფარგლებში მიღწევის ინდიკატორებისა და გრძელვადიან მიზნებზე დაყრდნობით შეფასების რუბრიკები. კათედრის წევრებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, თუ რა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ მოსწავლეთა შეფასებას, რომ შეფასება არის სწავლა-სწავლების განუყოფელი პროცესი. შეფასების პროცესში მოსწავლეებს ვაძლევთ კონსტრუქციულ უკუკავშირს, სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად აღნიშნეს კათედრის წევრებმა გასაუბრებისას და დაადასტურეს მზაობა, მომავალშიც შეფასების რუბრიკების შემუშავებისას დაეყრდნობიან ესგ-ის მოთხოვნებს და შემუშავდება მოსწავლის შეფასების პრინციპების, მიზნების და ამოცანების გათვალისწინებით მათემატიკის საგნობრივი სტანდარტების მიღწევის შედეგებზე დაყრდნობით. **2.1.2.5 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	მოსწავლეთა ცოდნის კონსტრუირების და შეძენილი ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის განმსაზღვრელია მოსწავლის შეფასება. მასწავლებელი ითვალისწინებს სტანდარტით განსაზღვრულ მიზნებს, მისაღწევ შედეგებს და აქიდან გამომდინარე აკეთებს უკუკავშირს, რომელიც ძირითადად სწავლის პროცესის გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული. პედაგოგებთან გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე, უკუკავშირის გაცემა ძირითადად ვერბალურად და განმავითარებელი კომენტარის სახით განხორციელდა, მათ აქვთ მზაობა ახალი კურიკულუმების დანერგვის პროცესში თემების მიხედვით შეიქმნან ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რის შემუშავებაშიც ასევე აქტიურად იქნებიან ჩართულნი მოსწავლეებიც. **2.1.2.5 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რაც ადასტურებს, რომ შეფასების პროცესი ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებზე. შესაბამისად სწავლება და შეფასება ერთმანეთისგან განუყოფელ ერთ მთლიან პროცესს წარმოადგენს. შეფასების სისტემა არის ვალიდური და ობიექტური.

	2.1.2.5 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე გამოყენებული იყო შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეფუძნებოდა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს. **2.1.2.5 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ამოცანებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- შემაჯამებელი დავალებები;
- მოსწავლეთა ნამუშევრები;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის ვებ-გვერდი;
- შეფასების ვერიფიკაციის წესი;
- კათედრის წევრების მიერ ურთიერთდასწრების რეფლექსია;
- განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალა;
- საგნობრივ კათედრებზე განხორციელებული შემოქმედებითი ტიპის დავალებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლის აქტიურ, შემოქმედებით ჩართულობაზე. კურიკულუმებში ინტეგრირებული შემოქმედებითი ტიპის დავალებები ხელს უწყობს ცოდნის კონსტრუირებას კრიტიკული აზროვნების, პრობლემის გადაჭრისა და მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვის გზით. მრავალფეროვანი მიმყვანი აქტივობები და პროექტული სწავლება ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას და უზრუნველყოფს მათ სრულფასოვან მონაწილეობას საგაკვეთილო პროცესში. **2.2.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნების შესაბამისად. გაკვეთილები, სასწავლო აქტივობები და შეფასების სისტემა შემუშავებულია ისე, რომ მხარს უჭერს მოსწავლეთა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებთან

	ერთობლიობაში, რაც უზრუნველყოფს მათ აკადემიურ წარმატებას. კურიკულუმის გაცნობისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ შესაძლებელია დავასკვნათ, რომ პედაგოგებს გააზრებული აქვთ თავიანთი როლი სასწავლო პროცესში - ინფორმაციის დამუშავების პროცესში მათი მთავარი ფუნქციაა მიზნობრივი და ორგანიზებული სასწავლო გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართულია სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კათედრის წევრები მზად არიან სასწავლო პროცესის განხორციელებისას ხელი შეუწყონ აქტიურ სწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. **2.2.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები (განმსაზღვრელი, განმავითარებელი) მოსწავლეების მიერ შესრულებული სამუშაოთი, ადასტურებს, რომ პედაგოგები მიჰყვებიან კურიკულუმში მითითებულ საკითხებსა და რესურსებს. გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს აქტიური გამოყენება მითითებულ დამატებით რესურსებთან ერთად აგრეთვე მიუთითებს სასწავლო პროცესის შესაბამისობას კურიკულუმთან. **2.2.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრის შემუშავებულ კურიკულუმის ფარგლებში გაწერილი თემები ადაპტირებულია შემოქმედებითი დავალებებით, რომლებიც რეალურად განხორციელდა. წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მასში დაცული მოსწავლეთა შემოქმედებითი პროდუქტები. **2.2.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ინტერვიუ პედაგოგებთან ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება შემუშავებული კურიკულუმების შესაბამისად. სასწავლო პროცესი დინამიკურია და ორიენტირებულია განვითარებაზე. კათედრა აკვირდება და აანალიზებს კურიკულუმის განხორციელების პროცესს. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე შეაქვთ ცვლილებები კურიკულუმში და არგებენ მას მოსწავლეთა საჭიროებს. **2.2.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კათედრის წევრებთან გასაუბრებამ დაადასტურა რომ რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება საგნობრივ სტანდარტებზე დაფუძნებით შემუშავებულ და დამტკიცებული მათემატიკის კურიკულუმების შესაბამისად. სასწავლო პროცესს ვახორციელებთ სამიზნე ცნებებისა და თემის ფარგლებში შედეგის მიღწევის ინდიკატორების ორიენტირით, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებით: განხორციელებული პროექტები, დაგეგმილი აქტივობები, ინტეგრირებული გაკვეთილები და ა.შ

	2.2.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
სპორტი	საგნობრივი კურიკულუმი მიემართება სამიზნე ცნებებს და ემსახურება მკვიდრი წარმოდგენების გააზრებას. წარმოდგენილია ასევე კომპლექსური დავალებების ნიმუშები და/ან პირობები. საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენს, სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზების და ურთიერთდაკავშირების საშუალებას იძლევა. წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვლილი თემები, მოსწავლეს ხელს შეუწყობს საგნობრივი საკითხების გააზრებაში. ხოლო კომპლექსური დავალებები მოსწავლეს დაეხმარება პრობლემის გადაჭრაში, გამოწვევასთან გამკლავებაში, პროდუქტის შექმნაში, სხვისი მოსაზრებების გათვალისწინებასა და ყველა გამოცდილების მობილიზებაში, გამომდინარე აქედან სასწავლო პროცესი დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. **2.2.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი მიდინარეობს სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, სადაც ყველა აქტივობა, გაკვეთილი და შეფასება დაგეგმილია ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს კურიკულუმის მოთხოვნების შესრულება და მოსწავლეების მრავალმხრივი განვითარება. **2.2.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაგეგმვის პროცესში მკაფიოდ არის გათვალისწინებული კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგები, რომლებიც წარმართავს როგორც გაკვეთილის, ასევე სასწავლო თემისა და სემესტრის დონეზე განხორციელებულ დაგეგმვას. პედაგოგები სისტემურად ითვალისწინებენ კურიკულუმის მოთხოვნებს გაკვეთილების შემუშავებისა და სასწავლო მასალების შერჩევის პროცესში, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მიმართულებას კონკრეტული კომპეტენციების განვითარებისაკენ. **2.2.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სკოლას აქვს მოქნილი მექანიზმი რომელიც უზრუნველყოფს სწავლის პროცესის შეუფერხებელ განხორციელებას. კერძოდ, რომელიმე მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში ხდება სხვა მასწავლებლით ჩანაცვლება. სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალსიწინებს ინკლუზიური განათლების პროგრამა, რომელიც გულიხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე

მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში თანატოლებთან ერთად. რისთვისაც სკოლა შეიმუშავებს ინდივიდუალურ გეგმას, ქმნის ისგ ჯგუფს. საჭიროების შემთხვევაში გათვალიწინებულია შინ სწავლებაზე გადაყვანის წესები.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

3.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სამივე საფეხურის სწავლებისთვის. წარმოდგენილია საშინაო დავალების, შემაჯამებელი სამუშაოს რუბრიკები. თითოეულ რუბრიკაში იდენტიფიცირებულია შესაბამისი სწავლის შედეგები და რელევანტურად განსაზღვრულია შეფასების კრიტერიუმები. **რჩევა: საბაზო და საშუალო საფეხურზე**სასწავლო პროცესის სრულყოფილად მართვისა და მონიტორინგის მიზნით, სასურველია, თითოეული თემატური ერთეულისთვის შემუშავდეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. აღნიშნული უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის ხარისხის ობიექტურ შეფასებასა და მოსწავლეთათვის დროული, კონსტრუქციული უკუკავშირის მიწოდებას. **2.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	დაწყებით საფეხურზე მოცემულია ზოგადი შეფასების რუბრიკები - როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი. წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე ნათელია, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების სისტემური ხედვა და მზაობა, რომ შეფასების კონცეფციის, მეთოდიკური ორიენტირებისა და მიდგომის შემუშავებით შეარჩიონ და განსაზღვრონ შეფასების ინსტრუმენტი და შეიმუშაონ შეფასების კრიტერიუმები. არსებულ რუბრიკებში მკაფიოდ არ ჩანს კავშირი შუალედურ მიზანს, შეფასებასა და გრძელვადიან მიზნებს შორის. შეფასების კრიტერიუმები ზოგიერთ შემთხვევაში ზოგადია და ზუსტად ვერ ამოწმებს შემოქმედებით დავალებაში მოცემულ საკითხს, რომლის კონტექსტშიც ამუშავებს გარკვეულ ცნებებს. V–VI კლასების კონკრეტული შემოქმედებითი დავალების შეფასების რუბრიკაში შეფასების კრიტერიუმები არ არის ასახული. საბაზო და საშუალო საფეხურის დოკუმენტაციაში მოცემულია ზოგადი შეფასების რუბრიკები - როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი. სასკოლო სასწავლო გეგმაშიც განსაზღვრულია

	წინასწარ შემუშავებული სხვადასხვა აქტივობის შეფასების ინსტრუმენტები, თუმცა მათი ნაწილი არ შეესაბამება ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და გადახედვას საჭიროებს. წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე ნათელია, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. კერძოდ, საბაზო და საშუალო საფეხურის გეოგრაფიის განმავითარებელი შეფასების კერძო რუბრიკა საშუალებას აძლევს მოსწავლეებს იცოდნენ, თუ როგორ ფასდება მათი ცოდნა, თუმცა შეფასების სქემა დამატებით დახვეწას საჭიროებს. რაც შეეხება განმსაზღვრელ შეფასებას, ზოგიერთ შემთხვევაში შეფასების კრიტერიუმები ზედმეტად ზოგადია და არ ჩანს კავშირი შუალედურ მიზნებს, შეფასებასა და გრძელვადიან მიზნებს შორის. გარდა ამისა, შემაჯამებელი დავალებები ძირითადად მხოლოდ დეკლარატიულ ცოდნას ამოწმებს, რის გამოც სასწავლო მიზნებსა და შეფასებას შორის კავშირი არ ჩანს. შეფასების კრიტერიუმების განხილვისას გამოვლინდა, რომ პედაგოგები ზოგიერთ შემთხვევაში ეყრდნობიან მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის წინა რედაქციას, რის გადახედვა და განახლებაც სასურველია. ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს გააჩნიათ შეფასების სისტემური ხედვა და მზაობა, რათა შეფასების კონცეფციისა და მეთოდიკური ორიენტირების გათვალისწინებით სწორად შეარჩიონ შეფასების ინსტრუმენტები და შეიმუშაონ შეფასების კრიტერიუმები. **რჩევა:** სასურველია, კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკები დაეყრდნოს დავალების პირობაში ჩაშენებულ კრიტერიუმებს და იყოს ცნებებზე ორიენტირებული, რაც უზრუნველყოფს შეფასების შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან; სასურველია, შემაჯამებელ დავალებებში ჩაიდოს მაღალი სააზროვნო დონის დავალებები; სასურველია, სასწავლო პროცესის დაგეგმვაში სასწავლო პროცესის დაგეგმვაში ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების გათვალისწინე. **2.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენლია როგორც განმსაზღვრელი, აგრეთვე განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები და ნაშრომის შეფასების დოკუმენტები, რითაც დასტურდება, რომ განსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ეფუძნება სამიზნე ცნებებისა და შედეგების ნაწილს და შესაბამისად არის ვალიდური, ობიექტური სანდო და სამართლიანი. პედაგოგების მიერ მათი წინასწარი წარდგენისა და მოსწავლეებში სწორი და შესაბამისი მოლოდინის გაჩენით სისტემა ხდება

	სანდო და გამჭვირვალე. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა ეფუძნება მკვიდრ წარმოდგენებს და შესაბამისად აკმაყოფილებს ვალიდური სისტემისთვის საჭირო კრიტერიუმებს. **2.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრაზე დანერგილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემა, რომელიც სწავლა-სწავლების პროცესის განუყოფელი ნაწილია და გაზიარებულია სკოლის საზოგადოებასთან. შეფასება ეფუძნება ობიექტურობის პრინციპს, რაც უზრუნველყოფს მის სანდოობასა და ვალიდურობას. გამოიყენება როგორც მიმდინარე, ისე შემაჯამებელი ფორმები; დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ პედაგოგები აქტიურად იყენებენ შესაბამის ინსტრუმენტებსა და რუბრიკებს და მზად არიან მათი შემდგომი დახვეწისთვის. **2.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და გასაუბრებაზე დაყრდნობით აღვნიშნავთ, რომ სკოლაში მოსწავლეთა შეფსება ხდება ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. შეფასება ემყარება მოსწავლეთა ინდივიდუალურ წინსვლასა და პროგრესს,იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. შეფასებისთვის გამოიყენება მრავალფეროვანი ინსტრუმენტები და მეთოდები - ტესტები, პროექტები,ურთიერთშეფასება ,თვითშეფასება, რაც უზრუნველყოფს პროცესის სანდოობასა და ობიექტურობას. მოსწავლეები წინასწარ იცნობენ შეფასების კრიტერიუმებსა და მიზნებს, რაც ზრდის გამჭვირვალობასა და სამართლიანობას. **რჩევა**: (დაწყებითი,საბაზო და საშუალო საფეხური) სასურველია, მასწავლებლებმა კურიკულუმში წარმოდგენილი ყველა დავალებისთვის შეიმუშაონ ცნებებსა და ქვეცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები. ეს ხელს შეუწყობს შეფასების სისტემატურობასა და თანმიმდევრულობას,ობიექტურობასა და გამჭვირვალობას. **2.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლამ წარმოადგინა მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები, რომლის შემუშავება დაფუძნებულია მათემატიკის საგნობრივ სტანდარტებში მიღწევის ინდიკატორებზე, რაც ადასტურებს მის ვალიდურობას. სანდოა, რადგან გასაზომი კრიტერიუმებია წარმოდგენილი, სამართლიანია, რადგან შეფასება დამოკიდებულია ობიექტურ შეფასების სისტემაზე. გამჭირვალეა, რადგან მოსწავლეებისათვის წინასწარ ცნობილია კრიტერიუმები, იგივე დასტურდება კათედრის წევრების მიერ გასაუბრების დროს და განმტკიცებულია წარმოდგენილი რუბრიკებით. **2.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლის მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე,

	სანდო, ობიექტური და სამართლიანი, სისტემის გამჭვირვალობას და ობიექტურობას ადასტურებს ის გარემოება, რომ მასწავლებლები შეფასების რუბრიკებს წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს რათა მოსწავლეებს ჰქონდეთ სრულყოფილი ინფორმაცია იმ შეფასების კრიტერიუმების შესახებ, რითაც ისინი შეფასდებიან სპორტული აქტივობების დროს, ეს ყოველივე საშუალებას მისცემს მოსწავლეებს უფრო ორგანიზებულად და მონდომებით შეასრულონ აქტივობები. შეფასების სისტემა ასევე აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმით და იგი ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. **2.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან გამომდინარე შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე და ობიექტური. სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი- განმავითარებელი თუ განმსაზღვრელი რუბრიკები. წარმოდგენილი შეფასების ფორმები უზრუნველყოფს მოსწავლეთა თანაბარ შესაძლებლობებს და ასახავს მათ მიღწევებსა და პროგრესს. **2.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	შეფასების სისტემა დაწყებით საფეხურზე აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს, მასწავლებლები ქმნიან განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს და აქვთ მზაობა გაითვალისწინონ ყველა რჩევა, რათა გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული რუბრიკები შექმნან. **2.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლას შემუშავებული აქვს „მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესი“ (ბრ.N 19; 04.05.2026), რომელიც არეგულირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესსა და ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებს. დოკუმენტის მიხედვით, შეფასების ვერიფიკაცია ხორციელდება სამი მიმართულებით: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია (მუხლი 1, პუნქტი 2; მუხლი 3, პუნქტი 1).

ვერიფიკაციის პროცესის წარმართვაზე პასუხისმგებელია სპეციალურად შექმნილი ვერიფიკაციის ჯგუფი, რომლის შემადგენლობასა და ხელმძღვანელს ამტკიცებს დირექტორი (მუხლი 2, პუნქტი 1). სასწავლო წლის დასაწყისში მუშავდება ვერიფიკაციის გეგმა, რომელიც განსაზღვრავს შესამოწმებელ მიმართულებებსა და პროცესებს (მუხლი 2, პუნქტი 2).
დოკუმენტი ასევე განსაზღვრავს შეფასების სისტემის ძირითად პრინციპებს — ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობასა და ობიექტურობას (მუხლი 3, პუნქტი 2), ხოლო ვერიფიკაციის შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესისა და პროგრამების გაუმჯობესების მიზნით (მუხლი 2, პუნქტი 5; მუხლი 4, პუნქტი 6). აღსანიშნავია, რომ ვერიფიკაციის წესით განსაზღვრული ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელი, დირექტორის მოადგილე, სკოლის სტრუქტურით საერთოდ არ არის გათვალიწინებული.
რჩევა: სასურველია „მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესი“ მორგებული იყოს სკოლის რეალურ მდგომარეობას და ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელობა დაეკისროს სკოლაში რელურად არსებულ პოზიციაზე დასაქმებულ თანამშრომელს.
ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებული

5.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

დასკვნის პროექტის მიხედვით, სკოლას არც ერთი დოკუმენტით არა აქვს განსაზღვრული შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ /ინფორმაციების/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის წესები და ვადები. **არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში, ინდიკატორთან მიმართებით, წარმოდგრნილია ბრძანება N 51 სსიპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვინთის საჯარო სკოლის მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესში ცვლილების შეტანის შესახებ. ცვლილება ეხება ვერიფიკაციის წესში, შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით შენახვის განსაზღვრას. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის პოზიციას, ხარვეზი სრულად გასწორებულია, შესაბამისად იცვლება ინდიკატორის შეფასება**
ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის*კომპლექსური დავალებების მაგალითები დაწყებით კათედრაზე.

- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
- საგნობრივი კურიკულუმები;
- მოსწავლეთა ნამუშევრები;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;

- სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- შემოქმედებითი ტიპის დავალების ნიმუში, განმავითარებელი შეფასებით;
- კათედრის წევრების მიერ ურთიერთდასწრების რეფლექსია;
- კათედრის სხდომის ოქმი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 წ.წ.;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალა;
- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- ბრძანება N 51 სსიპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვინთის საჯარო სკოლის მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესში ცვლილების შეტანის შესახებ.
- ელექტრონული ჟურნალი.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების რეალიზება ეფუძნება გრიფირებული სახელმძღვანელოებისა და დამხმარე ციფრული რესურსების კომპლექსურ გამოყენებას. აღნიშნული რესურსები ქმნის საფუძველს სწავლის შედეგების ეფექტურად მისაღწევად. **რჩევა: დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე** სასურველია, კურიკულუმში დეტალურად აისახოს ის მატერიალური რესურსებიც, რომლებიც საგაკვეთილო პროცესში საგანმანათლებლო მიზნების მისაღწევად გამოიყენება. **2.2.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების სამივე საფეხურზე სკოლა საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებაში იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამის ძირითად (სამინისტროს მიერ გრიფირებული სახელმძღვანელოები, ისტორიული რუკები, ატლასები) და დამხმარე რესურსებს, რომლებიც ინტეგრირდება გაკვეთილებში პროექტების, დებატებისა და სიმულაციების საშუალებით, რაც ზრდის მოსწავლეთა ჩართულობასა და კრიტიკულ აზროვნებას; ანალიზი აჩვენებს, რომ რესურსები სრულად აკმაყოფილებს კურიკულუმის მოთხოვნებს. **რჩევა:** სასურველია, კურიკულუმებში დაემატოს დამატებითი რესურსები.

	2.2.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
უცხოური ენები	კურიკულუმში მითითებულია ძირითადი გრიფმინიჭებული სახელმღვანელო, რომელსაც სკოლა ზედმიწევნით იყენებს. გარდა ამისა სკოლა იყენებს ციფრულ რესურსებს და ყველა მათგანი პედაგოგებთან საუბარში გაირკვა, რომ არ არის მითითებული კურიკულუმებში. პედაგოგები იყენებენ უფრო მრავალფეროვან ციფრულ რესურსებს ვიდრე ამას, კურიკულუმებში ვხედავთ, განსაკუთრებით ინგლისური ენის კურიკულუმების ნაწილში. **2.2.2.1ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრაზე მოქმედებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემა, რომელიც სწავლა-სწავლების პროცესის განუყოფელი ნაწილია და გაზიარებულია სკოლის საზოგადოებასთან. შეფასება ეფუძნება ობიექტურობის პრინციპს, რაც უზრუნველყოფს მის სანდოობასა და ვალიდურობას. გამოიყენება როგორც მიმდინარე, ისე შემაჯამებელი ფორმები; დოკუმენტაცია აჩვენებს, რომ პედაგოგები ეფექტიანად იყენებენ შესაბამის ინსტრუმენტებსა და რუბრიკებს და მუშაობენ მათი დახვეწის მიმართულებით. **2.2.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი სახელმძღვანელოები, ისე დამატებითი რესურსები (სასწავლო მასალები, ვიზუალური და ციფრული რესურსები), რომელთა გამოყენება უზრუნველყოფს სწავლების პროცესის დინამიურობასა და ინტერესის ზრდას მოსწავლეთა შორის, ხელს უწყობს მათ აქტიურ ჩართულობასა და ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას. **2.2.2.1ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია თითოეული თემის დამუშავების ფარგლებში სწავლის და სწავლების მიზნის შესაბამისი საგანმანათლებლო როგორც გრიფმინიჭებული სახელმძღვნელოები, ასევე სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსი, სწავლების დროს იყენებენ სხვადასხვას საგანმანთლებლო პლათფორმებსაც რაც დაადასტურა კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს. **2.2.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	კურიკულუმების გაცნობის და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსები გამოიყენება სასწავლო პროცესში, სკოლას აქვს საკმარისი სპორტული ინვენტარი, მაგრამ არ აქვს სპორტული დარბაზი, რაც თავის მხრივ შეფერხებაა ზამთრის და უამინდობის პირობებში, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს დაუბრკოლებლად, ამის გამო პედაგოგებს საგაკვეთილო პროცესის წარმართვა

	უხდებათ საკლასო სივრცეში, რისთვისაც გეგმავენ შესაბამის აქტივობებს. **რჩევა:** გამომდინარე სკოლაში სპორტული დარბაზის არ არსებობიდან, პედაგოგებს მიეცა რჩევა, კურიკულუმები დაიტვირთოს და გაძლიერდეს თეორიული კომპონენტებით, კერძოდ: ოლიმპიზმით, ქართული ეროვნული სპორტის სახეობების ისტორიით, ჯანსაღი ცხოვრების წესის და მავნე ჩვევების პრევენციის მიმართულებით, რაც პედაგოგებს მისცემს მარტივად ლავირების საშუალებას საკლასო სივრცეში (რაც ხშირი შემთხვევა იქნება ზამთრის და უამინდობის პირობებში) დაგეგმონ და წარმართონ საგაკვეთილო პროცესი. **2.2.2.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილ კურიკულუმებზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას რომ სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებელი ცდილობს გამოიყენოს სახვადასხვა სასწვლო და დამხმარე რესურსები, ქმნის საინტერსეო გარემოს სწავლის პროცესში და მოსწავლეებს სთავაზობს საინტერესო, მათ შესაძლებლობებზე მორგებული დავალებებს, რათა საგაკვეთილო პროცესი იყოს ხალისიანი, სადაც მოსწავლეები მაქსიმალურად იქნებიან ჩართული სასწავლო პროცესში. **2.2.2.1ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლაში გამოყენებულია ძირითად რესურსად სახელმძღვანელო, ხოლო დამხმარედ, ძირითადად, ელექტრონული ბმულები. **2.2.2.1ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2.სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევისას სკოლა ხელმძღვანელობს ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასკოლო კურიკულუმის პრინციპებით. საბუნებისმეტყველო კათედრაზე წინასწარ ხდება ელექტრონული რესურსების განხილვა და ვალიდაცია. მათი პრაქტიკული გამოყენება კი მიმართულია მოსწავლეთა მრავალმხრივი უნარების ფორმირებასა და ინდივიდუალური თუ გუნდური მუშაობის სტიმულირებაზე. **2.2.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურზე სკოლა ზრუნავს, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისთვის გამოყენებული მასალები იყოს მაღალი ხარისხის. კათედრის წევრები ერთად ირჩევენ და ამოწმებენ, რომ ეს რესურსები ერგებოდეს ეროვნულ სასწავლო გეგმას და მოსწავლეების საჭიროებებს. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ჩამოთვალეს ის ინტერნეტრესურსები რასაც საგაკვეთილო

	პროცესში იყენებენ. **2.2.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენის კათედრა, სხდომის განმავლობაში ერთ-ერთ მთავარ შემადგენელ პუნქტად ასახელებს რესურსების ნაწილს და წარადგენს დამატებითი რესურსების დამტკიცების წინადადებებს. შესაბამისად ვადგენთ რომ სკოლა, კათედრის მეშვეობით ახდენს საჭირო რესურსების ვალიდაციას. **2.2.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრის წევრების გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოფს სასწავლო რესურსების შერჩევასა და ვალიდაციას, რათა დაცული იყოს მოსწავლეთა ინტერესები და უსაფრთხოება და მათ არ მიეწოდოთ გადაუმოწმებელი ან მცდარი ინფორმაცია. პედაგოგების განმარტებით, გამოყენებული მასალა უნდა შეესაბამებოდეს თემატიკას, მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებსა და მოქმედ პროგრამას, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ხარისხსა და მიზნობრიობას. **2.2.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრაზე დამატებითი რესურსების შერჩევა ხდება ურთიერთშეთანხმებით და ამ შერჩეული დამხმარე რესურსების ვალიდაციას სკოლა თავად უზრუნველყოფს. **2.2.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კათედრის წევრებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში ძირითადად იყენებენ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, ამასთანავე სასწავლო პროცესში იყენებენ სხვადასხვა დამხმარე რესურსებს, რომლის ვალიდაციას განახორციელებენ კათედრაზე, რამდენადაა ეს თუ ის რესურსი ესგ-ით მათემატიკის საგნობრივი სტანდარტით განსაზღრულ მოთხოვნების შესაბამისი, დაეხმარება თუ არა მოსწავლეს სტანდარტში წარმოდგენილი მიზნების მიღწევაში და დააკმაყოფილებს თუ არა მოთხოვნებს. ზემოთქმული კი დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითაც. **2.2.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლას არ წარმოუდგენია კონკრეტული დოკუმენტი ვალიდაციის პროცესის, თუმცა გასაუბრებაზე აღინიშნა, რომ მუდმივად ხდება კათედრის სხდომაზე წევრებს შორის დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდურობის შეფასება, ასევე აღინიშნა მზაობა დოკუმენტაციის შექმნის შესახებ. **2.2.2.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	გამოყენებული რესურსები, როგორიცაა ონლაინ საიტები, საგანმანათლებლო პორტალი, ციფრული

	თუ დამატებითი სასწავლო რესურსები, სახელმძღვანელო შესაბამისია განათლების სტანდარტებთან, ვალიდურია და ორიენტირებულია მოსწავლეთა მრავალმხრივი განვითარებაზე, რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია ასაკობრივი თავისებურებები. **2.2.2.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლები ერთობლივად ქმნიან რესურსებს და უზიარებენ ვალიდაციის პროცესი მოიცავს დამხმარე სასწავლო რესურსების შინაარსობრივ, მეთოდოლოგიურ და ასაკობრივ შესაბამისობაზე სისტემურ შემოწმებას, რაც უზრუნველყოფს მათ სრულ შესაბამისობას კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებთან და სწავლის შედეგებთან. **2.2.2.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3.კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.
ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას ამ ეტაპზე არ გააჩნია ფუნქციონირებადი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რაც ასახულია შესაბამისობის გეგმაშიც. ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ დაწესებულებას მოეპოვება სათანადო ტექნიკური აღჭურვილობა (კომპიუტერები, პროექტორი) და ვიზუალური მასალები (პლაკატები, მოდელები). აღნიშნული რესურსების განთავსება დაგეგმილია სპეციალურად გამოყოფილ სივრცეში ლაბორატორიის მოწყობის დასრულებისთანავე. რეკომენდაცია, სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბოლატორიის მოწყობა. კურიკულუმით გათვალიწინებული კვლევითი კომპონენტის განსახორციელებლად.**2.2.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებული,**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას შესაბამისი მატერიალური რესურსებით, მათ შორის გრიფირებული

	სახელმძღვანელოებით, ისტორიული რუკებით, ატლასებითა და ციფრული მასალებით, რომლებიც გამოიყენება კლასებში. რაც განაპირობებს მოსწავლეთა ჩართულობასა და სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა, კურიკულუმში ნაკლებად არის ასახული რესურსები. **რჩევა**: კურიკულუმებში აისახოს დამატებითი სასწავლო რესურსები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლის მიერ მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით უცხოური ენის კურიკულუმის განსახორციელებლად სკოლას აქვს საკმარისი მატერიალური აღჭურვილობა, რომელიც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი ინვენტარიზაციის აქტით. **2.2.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ჩატარებული ინტერვიუების ანალიზი მიუთითებს, რომ სასწავლო პროცესის ეფექტიან განხორციელებას მუსიკის და ხელოვნების მიმართულებით, რის განხორციელებაც შესაძლებელი გახდა შესაბამისი ტექნიკური და მატერიალური რესურსების გამოყენებით . არსებული ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგაკვეთილო პროცესის ორგანიზებულ და ხარისხიან წარმართვას, საგნების სპეციფიკის გათვალისწინებით. **2.2.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	დოკუმენტაციის განხილვისა და კათედრის წევრებთან ინტერვიუს შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. **2.2.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლა აქვს მატერიალური რესურსი, მოსწავლეთა ადგილების ზღრული რაოდენობის გათვალისწინებით და უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭირო რესურსებზე წდომას. სკოლას აქვს შემუშავებული მატერიალური რესურსების სარგებლობის წესი. სკოლაში არის საკმარისი რაოდენობის მაგიდები, სკამები, დაფები, კომპიუტერები, თვალსაჩინოებები, ტაბულები და ა.შ რომელთა გამოყენებითაც უზრუნველყოფილია კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა, რაც წარმოდგენილია სკოლის მიერ შესაბამისი დოკუმენტებით და დასტურდება კათედრის წევრებმა გასაუბრების დროსაც. **2.2.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლას აქვს ღია სპორტული მოედანი, მწირი სპორტული ინფრასტრუქტურა და შესაბამისი სპორტული ინვენტარი, მაგრამ გამომდინარე აქედან პედაგოგის საგაკვეთილო პროცესის სწორი

	დადგეგმვით დაუბრკოლებლად ხორციელდება საგაკვეთილო-სასწავლო პროცესი, ამ მიმართულებით (სკოლა მცირეკონტინენტიანია) 2.2.2.1-ში სპორტის მიმართულებით ექსპერტის მხირდან გაიცა რჩევა, რაც დაეხმარება პედაგოგებს გამოწვევის დაძლევაში და უფრო მეტი საშუალებების გაჩენაში საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვის და წარმართვის პროცესში. გამომდინარე აქედან, კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. **2.2.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმში გათვალისიწინებულია სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი ყველა კომპონენტი, როგორც მატერიალური რესურსი ისე დამხმარე მასალა. სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას ხელს უწყობს შესაბამისი ინფრასტრუქტურა. **2.2.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მატერიალური რესურსების სათანადო მართვა და მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინება ერთობლივად ქმნის იმ საფუძველს, რომელიც აუცილებელია კურიკულუმით დასახული სწავლის შედეგების წარმატებით მიღწევისთვის. **2.2.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

დასკვნის პროექტის მიხედვით, სსიპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვინთის საჯარო სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი და კურიკულუმის ეფექტიანი განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი. სკოლაში არის 20 მასწავლებელი, მათ შორის 1 არის წამყვანი მასწავლებელი, 19 კი უფროსი. სკოლას ჰყავს 1 სპეციალური მასწავლებელი და სსსმ მოსწავლის 1 ინდივიდუალური ასისტენტი. დაწყებით საფეხურზე მე და საზოგადოებას, ისტ-ს, ხელოვნებას (1-3-4 კლასი) და სპორტს (1-3-4) ასწავლიან მასწავლებლები, რომლებსაც არა აქვთ შესაბამისი საგნების კომპეტენციები. **არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში, ინდიკატორთან მიმართებით, წარმოდგრნილია შესაბამისობის გეგმა, რომელიც განსაზღვრავს ხავეზის გამოსწორების პერიოდს 2026 წლის 15 სექტემბრამდე და დაგეგმილ აქტივობებს ხარვეზის აღმოსაფხვრელად.ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის პოზიციას და ინდიკატორის შეფასება იცვლება**

ინდიკატორი 2.2.2.4 დაწყებით საფეხურზე მეტწილად დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმები საზოგადოებრივ მეცნიერებებში (მესამიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით)

- შრომითი ხელშეკრულებები;
- პირადი საქმები;
- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზა;
- მოსწავლეთა ნამუშევრები;
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- განხორციელებული პროექტების ბმულები;
- მიღება-ჩაბარების აქტი;
- საგნობრივი კურიკულუმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად

სკოლის კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია მოიცავს ჩანაწეს მონიტორინგის და შეფასების შესახებ. კერძოდ, მონიტორინგის პროცესი მოიაზრებს დადგინდეს თუ რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში. ხოლო შეფასების პროცესი განსაზღვრას რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი.

რჩევა: სასურველია მეთოდოლოგიური დოკუმენტი მეტ ინფორმაციას მოიცავდეს კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების პროცესების შესახებ. კერძოდ, ვინ და რა პერიოდულებით განახორციელებს მონიტორინგს/შეფასებას და რა ინსტრუმენტები გამოიყენება მონიტორინგის და შეფასების პროცესში.

ინდიკატორი 2.3.1.1 დაკაყოფილებულია

2.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია მოიცავს მწირ ინფორმაცია მონიტორინგის და შეფასების საკითხებთან მიმართეით. თუმცა, კურიკულუმის განვითარების პროცესში მონაწილე ერთ- ერთი სუბიექტია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის ფუნქციაა მონაწილეობა მიიღოს სკოლის დონეზე კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში, იყოს შუამავალი რგოლი სკოლის დირექციასა და პედაგოგებს შორის, ფასილიტაცია გაუწიოს დანერგვისა და კვლევის ინსტრუმენტებისა და მათი გამოყენების რეჟიმის შეთანხმებას, ხელი შეუწყოს სკოლის ბაზაზე მასწავლებლების პროფესიულ განვითარებას. აღნიშნულით დასტურდება, რომ სკოლაში არსებობს ორგანო, რომელიც მონაწილეობს კურიკულუმის განვითარების პროცესში. აანალიზებს სასწავლო პროცესს და ხელს უწყობს გამოვლენილი საჭიროებების პრობლემების გადაჭრის გზების დასახვას..

ინდიკატორი 2.3.1.2 დაკაყოფილებულია

3.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

დოკუმენტებისა და ინტერვიუების ანალიზი აჩვენებს, რომ სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების პროცესი აღიქმება როგორც მხარდაჭერასა და განვითარებაზე ორიენტირებული მექანიზმი. კურიკულუმის მეთოდოლოგიით განსაზღვრულია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ფუნქცია ხელი შეუწყოს სკოლის ბაზაზე მასწავლებლების პროფესიულ განვითარებას. „ვერიფიკაციის წესში“ აღნიშნულია, რომ შეფასებისა და ვერიფიკაციის შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისა და მოსწავლეთა შემდგომი განვითარებისათვის (მუხლი 4, პუნქტები 6-7).

გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლაში არსებობს ურთიერთდასწრებისა და უკუკავშირის გაცემის პრაქტიკა, რაც ხელს უწყობს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და მასწავლებელთა პროფესიულ ზრდას. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ შეფასებისა და მონიტორინგის პროცესში გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე იღებენ როგორც შიდა, ისე გარე პროფესიულ მხარდაჭერას.

სკოლაში იკვეთება მზაობა პროცესების გაუმჯობესებისა და ისეთი გარემოს შექმნისათვის, სადაც შეფასება ემსახურება არა კონტროლს, არამედ განვითარებასა და მხარდაჭერას.

ინდიკატორი 2.3.1.3 დაკაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- შეფასების ვერიფიკაციის წესი
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- გაკვეთილზე ურთიერთდასწრების უკუკავშირის ნიმუში;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს

დოკუმენტების ანალიზისა და მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში შეფასების პროცესი მრავალწყაროიან მიდგომას ეფუძნება. „მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესის“ მიხედვით, ვერიფიკაცია მოიცავს როგორც შეფასების ინსტრუმენტების, ისე შეფასების პროცესისა და მტკიცებულებების შემოწმებას (მუხლი 1, პუნქტი 2; მუხლი 4, პუნქტი 2), რაც მიუთითებს, რომ შეფასება ერთ კონკრეტულ მონაცემს არ ეფუძნება.

სკოლაში შეფასების პროცესში გამოიყენება მოსწავლეთა ნამუშევრები, კომპლექსური დავალებები, პროექტები, შეფასების რუბრიკები, დაკვირვება, ზეპირი და წერითი აქტივობები, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ როგორც აკადემიურ მიღწევებს, ისე მოსწავლის ჩართულობას, აქტიურობასა და პროგრესს.

რჩევა: სასურველია, შეფასების შედეგების ანალიზისა და რეფლექსიის პროცესის უფრო სისტემური ორგანიზება, რაც ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების ხარისხის უწყვეტ განვითარებასა და მოსწავლეთა ინდივიდუალურ საგანმანათლებლო საჭიროებებზე დროულ და ეფექტიან რეაგირებას.

ინდიკატორი 2.3.2.1 დაკმაყოფილებულია.

2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

დოკუმენტების მიხედვით, შეფასების პროცესი ითვალისწინებს მოსწავლის ინდივიდუალურ, სოციალურ და საგანმანათლებლო კონტექსტს. „ვერიფიკაციის წესში“ სამართლიანობის პრინციპი გულისხმობს ისეთი გარემოს შექმნას, სადაც შეფასებისას გათვალისწინებულია დრო, გარემო პირობები, რესურსები და მოსწავლის შესაძლებლობები (მუხლი 3, პუნქტი 6). „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“ ასევე განსაზღვრავს, რომ სასწავლო პროცესი უნდა ეფუძნებოდეს მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს (მუხლი 1, პუნქტი 1; მუხლი 3, პუნქტი 2).

გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასებისას ყურადღებას აქცევენ მოსწავლის ინდივიდუალურ პროგრესსა და ჩართულობის ხარისხს. საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება დიფერენცირებული მიდგომები და ინდივიდუალური მხარდაჭერის ფორმები, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლესთან მუშაობისას.

ინდიკატორი 2.3.2.2 დაკმაყოფილებულია.

3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

დოკუმენტების ანალიზით იკვეთება, რომ სკოლაში მონაცემთა შეგროვება მრავალფეროვანი მეთოდებით ხორციელდება. „მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესი“ აღწერს შეფასების ინსტრუმენტების, მტკიცებულებებისა და პროცესების მრავალსაფეხურიან შემოწმებას (მუხლი 4, პუნქტები 2-3), რაც მონაცემთა სისტემურ შეგროვებასა და ანალიზს უზრუნველყოფს. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასების პროცესში იყენებენ დაკვირვებას, ტესტირებას, მოსწავლეთა ნამუშევრების ანალიზს, პროექტებს, კომპლექსურ დავალებებს და ზეპირ განმავითარებელ უკუკავშირს. დოკუმენტებში და პრაქტიკაში იკვეთება, რომ სკოლა ცდილობს შეფასების პროცესის მრავალმხრივად წარმართვას, რათა შეფასება მხოლოდ ერთჯერად ან ფორმალურ აქტივობად არ დარჩეს და რეალურად ასახავდეს მოსწავლის მიღწევებსა და პროგრესს.

ინდიკატორი 2.3.2.3 დაკმაყოფილებულია

4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

დოკუმენტების მიხედვით, შეფასების პროცესი ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპებს (მუხლი 3, პუნქტი 2). შეფასებისას გათვალისწინებულია როგორც მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები და პროგრესი, ისე სასწავლო გარემო, რესურსები, დროითი ფაქტორი და სასწავლო მიზნების შესაბამისობა.

გასაუბრების პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ მოსწავლის ასაკობრივ თავისებურებებს, სწავლის სტილს, ჩართულობას, მოტივაციას. ასევე, საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება ინდივიდუალური და დიფერენცირებული მიდგომები.
დოკუმენტებში იკვეთება, რომ სკოლა ცდილობს შეფასების პროცესის სამართლიანად წარმართვას და გადაწყვეტილებების მიღებას მრავალმხრივი ანალიზის საფუძველზე.

ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები.
- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- დამრიგებლის პორტფოლიო

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი

„კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის“ მიხედვით, კურიკულუმის განვითარება წარმოადგენს უწყვეტ პროცესს, რომელიც მოიცავს დაგეგმვას, დანერგვას, მონიტორინგს, შეფასებასა და რევიზიას (მუხლი 9). დოკუმენტი ასევე განსაზღვრავს, რომ მონიტორინგისა და შეფასების შედეგები გამოიყენება კურიკულუმის შემდგომი განვითარებისათვის.

„მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესის“ მიხედვით, ვერიფიკაციის შედეგების საფუძველზე მუშავდება სამოქმედო გეგმა და შესაბამისი რეკომენდაციები (მუხლი 2, პუნქტი 6; მუხლი 4, პუნქტი 9), რაც ქმნის საფუძველს საჭიროებებზე დაფუძნებული სარეკომენდაციო პაკეტების შექმნისთვის.

გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ პედაგოგები განიხილავენ სასწავლო პროცესში გამოვლენილ სირთულეებს, აანალიზებენ შედეგებს კათედრების დონეზე და გეგმავენ რეკომენდაციების შემუშავებას როგორც სწავლების მეთოდების, ისე კურიკულუმის განვითარების მიმართულებით. ასევე იკვეთება ურთიერთდასწრებისა და რეფლექსიის პრაქტიკის გამოყენება.

ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია

2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს

დოკუმენტების მიხედვით, კურიკულუმის განვითარება განიხილება როგორც უწყვეტი და ციკლური პროცესი, რომელიც მოიცავს დაგეგმვას, განხორციელებას, მონიტორინგს, შეფასებასა და რევიზიას (მუხლი 9). აღნიშნული მიდგომა მიუთითებს, რომ კურიკულუმის გადამუშავება ეფუძნება როგორც პრაქტიკაში დაგროვილ გამოცდილებას, ისე მონიტორინგისა და შეფასების შედეგად მიღებულ მონაცემებს.

„მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესში“ განსაზღვრულია, რომ შეფასებისა და ვერიფიკაციის შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესისა და პროგრამების გაუმჯობესებისთვის (მუხლი 2, პუნქტი 5; მუხლი 4, პუნქტი 6).
გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კათედრებზე განიხილავენ სასწავლო პროცესში გამოვლენილ მიგნებებს, მოსწავლეთა მიღწევებსა და გამოწვევებს, რის საფუძველზეც გეგმავენ მომდევნო სასწავლო წლისათვის რეკომენდაციებისა და ცვლილებების შემუშავებას. ასევე, სკოლაში იკვეთება მზაობა კურიკულუმის რეგულარული გადასინჯვისა და დახვეწის მიმართულებით.

ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- კათედრის სხდომის ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი 20.05.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: მაკა ტუკვაძე- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის

Maka Tukvadze

Digitally signed by Maka Tukvadze
Date: 2026.06.10

ექსპერტი -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი -----კახაბერ ფარცვანია

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი --- მარინა ჯალიაშვილი

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი --- მანანა სეხნიაშვილი

უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი -----ვარდო გოგილავა



ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი --- ეთერ ქუთათელაძე

ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი --- მაკა აფრიამაშვილი

სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი ---- თეა გაბისონია

მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი-------მაია ჩაჩხიანი



სპორტის საგნობრივი ექსპერტი ------- მურად ფახურიძე



ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი ---სალომე ცხვედიანი

თარიღ: 10/06/2026